

**სს მიკრობანკი კრისტალი**

**კილარ 3-ის წლიური ანგარიშგება**

**2025**

## სარჩევი

1. შესავალი .....	3
2. მფლობელობა და ჯგუფის სტრუქტურა .....	12
3. კორპორაციული მართვა .....	15
4. რისკების მართვა .....	44
5. კავიტალის ადეკვატურობა .....	51
6. საკრედიტო რისკი .....	59
7. საბაზრო რისკები .....	73
8. სამკერაციო რისკი .....	76
9. ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკები .....	84
10. AML და შესაბამისობის რისკები .....	88
11. ანაზღაურების კოლიტიკა .....	90
12. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები	97
13. სხვა საკითხები .....	98

## 1. შესავალი

### 1.1 მომზადების საფუძველი

პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება (შემდგომში 'ანგარიშგება') წარმოადგენს სს მიკრობანკ კრისტალის (შემდგომში 'კრისტალი' ან 'მიკრობანკი') რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში 'სებ') N110/04 ბრძანების (შემდგომში 'ბრძანება') "მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მიხედვით.

ანგარიშგება მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის, კორპორაციული და რისკების მართვის შესახებ ინფორმაციას. ანგარიშგების მიზანია მიკრობანკის წინაშე არსებული რისკებისა და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ გამჭვირვალობის ზრდა და ნდობის ამაღლება ბაზარზე.

კაპიტალის ადეკვატურობისა და ანაზღაურების შესახებ ანგარიშგებაში გამჟღავნებული ინფორმაცია დაფუძნებულია ბაზელ III-ის ჩარჩოს პილარ 3-ზე, რომელსაც განსაზღვრავს "საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი". ბაზელ III-ის ჩარჩო თანხვედრაშია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 575/2013 (Capital Requirements Regulation - CRR) რეგულაციასთან, რომელიც ეფუძნება სამ „პილარს“: პილარ 1 - კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები; პილარ 2 - კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესი და საზედამხედველო ნორმები; და პილარ 3 - ინფორმაციის გამჟღავნების წესი.

ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოსა და რისკების მართვის კომიტეტის მიერ. დირექტორთა საბჭო ადასტურებს ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს.

სებ-ის რეგულაციით, მიკრობანკს არ მოეთხოვება პილარ 3-ის ანგარიშგებაში გამჟღავნებული ინფორმაციის აუდიტორული შემოწება, შესაბამისად, ანგარიშგება არ არის აუდიტირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ანგარიშგება მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სებ-ის შემდეგი ფორმებიდან: 1. პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგების ფორმა; 2. პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ფორმა; და 3. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმა. რაოდენობრივი ინფორმაციის რეკონსილაციის პროცესში შესაძლოა გამოვლინდეს

არამატერიალური სხვაობები რიცხვების დამრგვალების გამო. რეპორტის ცხრილებში მოცემული რიცხვები არის ლარში.

2025 წლის პილარ 3 ანგარიშგების მიზნებისთვის, შესადარისი საანგარიშგებო პერიოდის ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, რადგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრისტალს არ ჰქონდა მიკრობანკის სტატუსი და შესაბამისი მოთხოვნები.

ანგარიშგება წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ბანკში და გამოქვეყნებულია როგორც კრისტალის, ასევე სებ-ის ვებ-გვერდებზე.

## 1.2 კრისტალის შესახებ

სს მიკრობანკი კრისტალი საქართველოში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც გამოირჩევა დინამიური ზრდითა და მუდმივი განვითარებით. 2025 წლის 12 თებერვალს კრისტალმა საქართველოს ეროვნული ბანკისგან (სებ) მიიღო მიკრობანკის ლიცენზია. აღსანიშნავია, რომ ლიცენზიის მიღებიდან მხოლოდ და მხოლოდ ოთხ თვეში კრისტალმა წარმატებით ჩაუშვა საბანკო ოპერაციები და წარმოადგინა ახალი პროდუქტები.

კრისტალი ამ ახალ ფაზას შეხვდა თითქმის 28 წლიანი გამოცდილებითა და ძლიერი, კარგად ჩამოყალიბებული რეპუტაციით ბაზარზე. 2025 წლისათვის მიკრობანკი მართავს 566 მლნ ლარამდე სასესხო პორტფელს, ასაქმებს 1,000-ზე მეტ თანამშრომელს 48 ფილიალში (მათ შორის, სათავო ოფისები) და ქვეყნის მასშტაბით ემსახურება დაახლოებით 100,000 უნიკალურ მომხმარებელს.

აღნიშნული სტრატეგიული მიღწევა მნიშვნელოვანი პროგრესის სათავეა. კრისტალის პორტფელი გაფართოვდა და პროდუქტები და სერვისები გახდა მკვეთრად დივერსიფიცირებული.

მიკრობანკის ლიცენზირების წარმატებით მიღებასა და საბანკო ოპერირების დაწყებასთან ერთად, კრისტალი აგრძელებს საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებას. ამჟამად, მიკრობანკი მჭიდროდ ურთიერთობს 20-ზე მეტ რეპუტაციულ საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორთან, მათ შორის, მიკროდაფინანსების საინვესტიციო საშუალებები (MIVs), განვითარებული ფინანსური ინსტიტუტები (DFIs) და საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები, რაც კრისტალს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ შეინარჩუნოს ზრდა, არამედ ასევე მნიშვნელოვანი წილი შეიტანოს საქართველოში ბიზნესის განვითარებაში. კრისტალს ასევე აქვს ბიზნეს ოპერაციების დასაფინანსებლად ობლიგაციის გამოშვების პრაქტიკა წარსულში.

კრისტალს ფლობენ ინსტიტუციონალური და ინდივიდუალური აქციონერები, რომლებიც ერთად ქმნიან ძლიერ ფინანსურ და კორპორატიულ მმართველობას. კრისტალს ჰყავს ორი ინსტიტუციონალური ინვესტორი 58.8%-იანი წილით ჯამში (AGRIF COOPERATIEF U.A. and DWM Funds S.C.A-SICAV SIF), ასევე ინდივიდუალური აქციონერები, მათ შორის, ძირითადი/აქტიური მენეჯერების ქვეჯგუფი, თანადამფუძნებლები, რომლებიც არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას მიკრობანკის მართვაში და მცირე აქციონერები.

2017 წლიდან კრისტალის შეფასება ხორციელდებოდა Fitch Ratings-ის მიერ. 2025 წელს რეიტინგულმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო SCOPE-მა კრისტალს მიანიჭა **B+/სტაბილური** საკრედიტო რეიტინგი. აღნიშნული რეიტინგი აჩვენებს კრისტალის მყარ შემოსავლიანობას, წარმატებულ ტრანსფორმაციას, აქტივების სანდო ხარისხსა და ლიკვიდურობის სტაბილურ პოზიციას, რაც განპირობებულია მჭიდროდ ორგანიზებული მართვითა და წამყვანი საერთაშორისო აქციონერების მუდმივი მხარდაჭერით.

**1.3 ძირითადი მაჩვენებლები და ფინანსური ანგარიშგება**

ცხრილში მოცემული ინფორმაციის დასაწყისია 2025 წლის მე-2 კვარტალი, რადგან მიკრობანკს ამ პერიოდთან წარმოექმნა პილარის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება ზედამხედველის მიერ.

N	ძირითადი მაჩვენებლები (ფასს-ის საფუძველზე დაანგარიშებული რიცხვები)	4Q-2025	3Q-2025	2Q-2025
	<b>საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)</b>			
	<b>ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით</b>			
1	ძირითადი პირველადი კაპიტალი	98,551,398	100,251,681	96,736,791
2	პირველადი კაპიტალი	98,551,398	100,251,681	96,736,791
3	საზედამხედველო კაპიტალი	125,603,274	120,022,041	118,094,603
4	ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	70,510,830	65,240,220	65,286,875
5	პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	84,382,889	77,542,813	77,671,112
6	საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	102,808,774	93,894,361	94,131,175
	<b>რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)</b>			
7	რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	658,067,333	622,916,102	627,049,985
	<b>კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები (%)</b>			
	<b>ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით</b>			
8	ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.98%	16.09%	15.43%
9	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.98%	16.09%	15.43%
10	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	19.09%	19.27%	18.83%
11	ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	10.71%	10.47%	10.41%
12	პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	12.82%	12.45%	12.39%
13	საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	15.62%	15.07%	15.01%
	<b>მომგებიანობა</b>			
15	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	27.06%	27.42%	27.49%
16	მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	8.27%	8.20%	8.18%
17	საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	6.66%	8.92%	8.64%
18	წმინდა საპროცენტო მარჟა	18.79%	19.22%	19.32%
19	უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	2.16%	2.63%	2.62%
20	უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	13.26%	16.18%	15.99%
	<b>აქტივების ხარისხი</b>			
21	უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	3.51%	3.53%	3.20%
22	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი / მთლიან სესხებთან	3.64%	3.16%	3.01%
24	უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	4.26%	2.75%	2.37%
25	მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	10.58%	8.30%	7.68%
	<b>ლიკვიდობა</b>			
26	ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	8.58%	9.84%	6.07%
27	უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	55.16%	52.94%	53.25%
28	მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	1.60%	1.61%	1.31%
	<b>ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი*</b>			
29	მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	44,512,331	53,887,412	25,789,729
30	ფულის წმინდა გადინება (სულ)	2,623,699	9,224,867	2,106,809
31	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	1696.55%	584.15%	1224.11%
	<b>წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი</b>			
32	ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება	471,127,509	453,432,267	424,894,296
33	სტაბილური დაფინანსების საჭიროება	418,779,543	407,006,349	400,879,897
34	წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (%)	112.50%	111.41%	105.99%

\*სებ-ის მეთოდოლოგიით გაანგარიშებული კოეფიციენტები, რომელიც ბაზელის მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, უფრო მეტადაა კონცენტრირებული ლოკალურ რისკებზე. აღნიშნული წარმოადგენს მიკრობანკებისათვის სავალდებულოდ დასაცავ მოთხოვნას, ხოლო ბაზელის მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემები წარმოდგენილია საილუსტრაციო მიზნებისათვის #13 თავში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	საანგარიშგებო პერიოდი		
აქტივები	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ
<b>ნაღდი ფული, ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნული ბანკში და სხვა ბანკებში</b>	29,661,997	27,839,564	<b>57,501,561</b>
ნაღდი ფული	12,513,916	17,003,434	<b>29,517,349</b>
ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	16,374,130	-	<b>16,374,130</b>
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	773,951	10,836,131	<b>11,610,082</b>
<b>ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები</b>	568,036,434	21,358	<b>568,057,792</b>
სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-
გაცემული სესხები და მოთხოვნები	568,036,434	21,358	<b>568,057,792</b>
<b>ინვესტიციები შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში</b>	609,791	-	<b>609,791</b>
<b>მატერიალური აქტივები</b>	22,672,753	-	<b>22,672,753</b>
ძირითადი საშუალებები	22,672,753	-	<b>22,672,753</b>
საინვესტიციო ქონება	-	-	-
<b>არამატერიალური აქტივები</b>	7,511,206	-	<b>7,511,206</b>
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	7,511,206	-	<b>7,511,206</b>
<b>საგადასახადო აქტივები</b>	4,221,870	-	<b>4,221,870</b>
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	3,827,004	-	<b>3,827,004</b>
გადავადებული საგადასახადო აქტივები	394,866	-	<b>394,866</b>
<b>სხვა აქტივები</b>	9,183,981	730,907	<b>9,914,888</b>
მათ შორის: დასაკუთრებული ქონება	3,206,755	-	<b>3,206,755</b>
მათ შორის: მისაღები დივიდენდები	-	-	-
<b>სულ აქტივები</b>	641,898,031	28,591,830	<b>670,489,861</b>
ვალდებულებები	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ
<b>საკუთარი შეხედულებისამებრ რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით</b>	12,802,165	-	<b>12,802,165</b>
<b>ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები</b>	237,730,568	256,145,914	<b>493,876,482</b>
დეპოზიტები	22,130,629	10,966,303	<b>33,096,932</b>
ნასესხები სახსრები	168,019,442	226,759,661	<b>394,779,103</b>
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	41,376,158	18,326,900	<b>59,703,058</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,204,339	93,049	<b>6,297,388</b>
<b>ანარიცხები</b>	510,816	-	<b>510,816</b>
<b>საგადასახადო ვალდებულებები</b>	-	-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
<b>სუბორდინირებული ვალდებულებები</b>	-	40,802,676	<b>40,802,676</b>
<b>სხვა ვალდებულებები</b>	1,791,563	14,033,764	<b>15,825,327</b>
მათ შორის: გადასახდელი დივიდენდები	-	64,450	<b>64,450</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	252,835,112	310,982,354	<b>563,817,466</b>
საკუთარი კაპიტალი	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ
<b>ჩვეულებრივი აქციები</b>	3,634,576	-	<b>3,634,576</b>
<b>პრივილეგირებული აქციები</b>	-	-	-
<b>საემისიო კაპიტალი</b>	22,109,970	-	<b>22,109,970</b>
<b>გაუნაწილებელი მოგება</b>	80,927,848	-	<b>80,927,848</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>106,672,394</b>	-	<b>106,672,394</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>359,507,506</b>	<b>310,982,354</b>	<b>670,489,861</b>

მოგება-ზარალის ანგარიშგება	საანგარიშგებო პერიოდი		
	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>	168,656,144	113,599	<b>168,769,743</b>
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	168,656,144	113,599	<b>168,769,743</b>
<b>(საპროცენტო ხარჯები)</b>	(30,000,782)	(21,581,197)	<b>(51,581,980)</b>
(ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები)	(29,735,241)	(20,803,845)	<b>(50,539,086)</b>
(სხვა ვალდებულებები)	(265,541)	(777,353)	<b>(1,042,893)</b>
<b>შემოსავალი დივიდენდებიდან</b>	-	-	<b>-</b>
<b>საკომისიო შემოსავალი</b>	1,955,308	286,699	<b>2,242,007</b>
<b>(საკომისიო ხარჯი)</b>	(180,521)	-	<b>(180,521)</b>
<b>შემოსულობა ან (-) ზარალი საკუთარი შეხედულებისამებრ რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, მოგება-ზარალში ასახვით, წმინდა</b>	(14,506,995)	-	<b>(14,506,995)</b>
<b>საკურსო სხვაობა [შემოსულობა ან (-) ზარალი], წმინდა</b>	6,496,263	-	<b>6,496,263</b>
<b>არაფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან მიღებული შემოსულობა ან (-) ზარალი, წმინდა</b>	(499,704)	-	<b>(499,704)</b>
<b>სხვა საოპერაციო შემოსავალი</b>	18,408,939	460,480	<b>18,869,419</b>
<b>(სხვა საოპერაციო ხარჯი)</b>	(22,566,822)	-	<b>(22,566,822)</b>
<b>(ადმინისტრაციული ხარჯები)</b>	(57,176,795)	(1,702,460)	<b>(58,879,255)</b>
(შრომის ანაზღაურების ხარჯი)	(43,224,208)	-	<b>(43,224,208)</b>
(სხვა ადმინისტრაციული ხარჯი)	(13,952,587)	(1,702,460)	<b>(15,655,047)</b>
<b>(ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯები)</b>	(7,725,674)	-	<b>(7,725,674)</b>
<b>(გაუფასურება ან (-) გაუფასურების ანუღირება იმ ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით)</b>	(23,187,286)	-	<b>(23,187,286)</b>
(ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები)	(23,187,286)	-	<b>(23,187,286)</b>
<b>არაფინანსური აქტივების გაუფასურება ან (-) გაუფასურების ანუღირება</b>	(271,112)	-	<b>(271,112)</b>
<b>მოგება ან (-) ზარალი დაბეგვრამდე</b>	39,400,962	(22,422,879)	<b>16,978,082</b>
<b>(მოგების გადასახადის ხარჯი ან (-) შემოსავალი)</b>	(3,500,810)	-	<b>(3,500,810)</b>
<b>მოგება ან (-) ზარალი დაბეგვრის შემდეგ</b>	<b>35,900,152</b>	<b>(22,422,879)</b>	<b>13,477,273</b>

### 1.4 ბიზნეს სტრატეგია

კრისტალის ძირითადი სერვისები მოიცავს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას, სამომხმარებლო/საყოფაცხოვრებო სესხებს, განვადებას, ძირითადი საშუალებების დაფინანსებას, ასევე მწვანე (ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯია) სესხებსა და ლიზინგს. არასაკრედიტო მომსახურება მოიცავს გადახდებს, დაზღვევას, ვალუტის გადაცვლასა და ფულად გადარიცხვებს.

კრისტალის სტრატეგია ეფუძნება არსებულ ბრენდს, მომხმარებელთა ბაზასა და ფილიალების ვრცელ ინფრასტრუქტურას და ამავდროულად, მიზნად ისახავს კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს შეთავაზებული პროდუქტები, რაც მოიცავს შემნახველ ანაბრებს, ფულად გზავნილებს, ვალუტის

კონვერტაციას, მობილურ ბანკს, საკონსულტაციო და ტექნოლოგიურ მომსახურებას როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლისათვის, აქცენტით სოფლის მეურნეობის, მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებზე.

მიკრობანკის ლიცენზიამ კრისტალს მისცა უკეთესი შესაძლებლობები, რადგან მიკრობანკს უკვე შეუძლია კლიენტებისთვის ისეთი პროდუქტებით მომსახურება, როგორცაა მიმდინარე/შემნახველი ანგარიშები და დეპოზიტები, ლარის დაფინანსების სახსრების დივერსიფიცირება და ამავდროულად ერთ კლიენტზე გაცემული სესხის ლიმიტის ზრდა 1 მლნ ლარამდე, რაც შესაძლებლობას მისცემს შევიდეს და გაიზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში.

კრისტალის დაფინანსების წყაროები არის დივერსიფიცირებული, მაგრამ ძირითადად მომდინარეობს უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებსა და ადგილობრივ კომერციულ ბანკებზე. კრისტალმა ასევე განავითარა დაფინანსების ალტერნატიული წყარო ისეთი, როგორცაა თამასუქების გამოშვება და ასევე აქვს კორპორატიული ობლიგაციის განთავსების გამოცდილება.

2023 წლის იანვარში კრისტალმა წარმოადგინა ფიზიკური პირებისგან, ინდივიდუალური მეწარმეებისა და სხვა არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მისაღები რესურსის ახალი ფორმა თამასუქის სახით სახელად “მონეტა”.

## **დაკრედიტება**

მიკრობანკი აგრძელებს ფოკუსირებას მიკროსესხებზე დაბალი შემოსავლის მქონე მეწარმეებისთვის, რომლებიც ფულად ნაკადს შემოსავლის მომტანი აქტივობებიდან იღებენ (მათ შორის, ვაჭრობა, წარმოება, სოფლის მეურნეობა და სხვა). მიკრობანკმა ასევე გააფართოვა თავისი საკრედიტო შეთავაზებები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

კრისტალის დაკრედიტების მეთოდოლოგია შემუშავებულია მიკრო, მცირე და/ან საშუალო ბიზნესის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სესხების გასაცემად. კრისტალი ახორციელებს კლიენტის ბიზნესის საფუძვლიან ანალიზს ინდივიდუალური სესხებისთვის. ინდივიდუალური სესხების უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია საჭირო გახდეს უძრავი ქონება ან ავტომობილი. ამ შემთხვევებში, სესხის მიზნობრიობის გათვალისწინებით, კრისტალს შეუძლია სესხის ალტერნატივად მომხმარებელს შესთავაზოს სალიზინგო პროდუქტი. სალიზინგო პროდუქტის გაცემაც მეტწილად დაფუძნებულია კლიენტის გადამხდელუნარიანობის შესწავლაზე, რაც მოიცავს მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის (ფინანსური სახრების

ნაკადებს, მოგება-ზარალს და ბალანსს), ბიზნეს აქტივობისა და დასაფინანსებელი აქტივის ლიკვიდობი შეფასებებს.

კრისტალი მომხმარებლებს ასევე სთავაზობს სალომბარდო ტიპის და სწრაფ სალიზინგო პროდუქტებს, სადაც გადაწყვეტილება მეტწილად ეფუძნება აქტივის/უზრუნველყოფის შეფასებას.

სესხის გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები მინიმუმამდელა დაყვანილი ისე, რომ უზრუნველყოფილია სესხის მოცულობის მიხედვით საკრედიტო რისკების მართვა და მომგებიანი შედეგების მიღწევა.

კრისტალი მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგი ზოგადი კატეგორიის პროდუქტებს: მიკრო ბიზნეს სესხები, მცირე და საშუალო ბიზნეს სესხები, აგრო სესხები, ჰაუზინგი, სამომხმარებლო სესხები, სწრაფი განვადება, ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები, ავტო, სალომბარდო სესხები და ლიზინგი.

### **საბითუმო დაფინანსება**

კრისტალი გეგმავს დაფინანსება მოიპოვოს კომბინირებულად კაპიტალის, გრძელვადიანი სესხებისა და დეპოზიტების სახით. კრისტალი მუშაობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის, გავლენიან ინვესტორებთან და უცხოურ ბანკებთან, როგორცაა European Investment Bank, Council of Europe Development Bank (CEB), European Bank for Reconstruction and Development (EBRD), FMO, Proparco, BlueOrchard, Symbiotics, responsAbility, Incofin, Triple Jump, DWM, და ა.შ. საერთაშორისო პარტნიორებს აქვთ სესხებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მოწოდების შესაძლებლობა როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში.

### **საცალო დაფინანსება**

დეპოზიტების შეთავაზების შესაძლებლობამ კრისტალს საშუალება მისცა დივერსიფიცირება მოეხდინა ზრდისთვის საჭირო დაფინანსებაში, მოეზიდა ახალი მომხმარებლები და გაეზარდა ბაზრის წილი, შეენარჩუნებინა არსებული მომხმარებლები და დახმარებოდა მათ მუდმივად მზარდი ფინანსური სერვისების საჭიროებებში.

*მომხმარებელთა მიზნობრივი სეგმენტი:* მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები, ფერმერები, მოშორებული სოფლების მაცხოვრებელნი, სერვისის მიმწოდებლები, ფიზიკური და იურიდიული პირები საქართველოში. აქცენტი კეთდება სახელმწიფო საწარმოებსა და მაღალი შემოსავლის მქონე პირებზე,

რადგან მათ, როგორც წესი, აქვთ დამატებითი ლიკვიდობა, რომელიც შეუძლიათ ადვილად განათავსონ დეპოზიტებზე.

*მოთხოვნამდე დეპოზიტები:* პროდუქტი გათვლილია იმ კლიენტებისთვის, რომლებსაც წარმოეშვებათ ჭარბი ლიკვიდობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში და სჭირდებათ ამ თანხის ხელახალი ინვესტირება ბიზნესში, თუმცა კონკრეტული ვადების წინასწარ ცოდნის გარეშე. ისინი არიან პოტენციურად მცირე და საშუალო ზომის მეწარმეები, მოვაჭრეები, რომელთა საქმიანობა ხასიათდება ფულადი სახსრების უფრო სწრაფი ბრუნვით. ეს არის ფულადი სახსრები, რომლებიც განკუთვნილია მოკლევადიანი სარგებლობისთვის, როდესაც ბიზნესის მფლობელს აქვს შესაძლებლობა თავისუფალ თანხაზე მიიღოს გარკვეული სარგებელი. კრისტალის სეგმენტი იჩენს დიდ ინტერესს ამ ტიპის პროდუქტების მიმართ მათი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე.

*ვადიანი დეპოზიტები:* ჩვეულებრივ, დეპოზიტები 3-დან 12 თვემდე ვადით, თუმცა შესაძლებელია 12 თვეზე მეტი ვადითაც. პროდუქტი საინტერესოა როგორც მიკროსაფინანსო სეგმენტისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

*შემნახველი ანაბრები:* ეს პროდუქტი გამოიყენება თითქმის ყველა ტიპის მომხმარებლისთვის, ვისაც სურს ფულის დაზოგვა სხვადასხვა შემნახველი პროგრამით, როგორიცაა განათლება, ოჯახის დანაზოგი, პენსიები და ა.შ.

*თამასუქები:* პროდუქტი განკუთვნილია მაღალშემოსავლიანი პირებისა და კორპორაციებისთვის. სტანდარტული მოცულობა არის 100,000 ლარზე მეტი.

## 2. ფლოგელობა და ჯგუფის სტრუქტურა

### 2.1 ფლოგელების სტრუქტურა

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ მიკრობანკის გამოშვებული კაპიტალიდან ჩვეულებრივ აქციებს:

31 დეკემბერი 2025				
აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/ არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	აქცია, %	სმის უფლება, %
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,454,938	ჩვეულებრივი	40.03%	40.03%
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	683,332	ჩვეულებრივი	18.80%	18.80%
ინდივიდუალური აქციონერები	1,297,211	ჩვეულებრივი	35.69%	35.69%
სხვა მცირე აქციონერები (1%)	199,095	ჩვეულებრივი	5.48%	5.48%
<b>ჯამი</b>	<b>3,634,576</b>		<b>100%</b>	<b>100%</b>

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი ბენეფიციარი მესაკუთრეები პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობდნენ მიკრობანკის აქციების 5%-ს ან მეტს:

ბენეფიციარი მესაკუთრეები, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტ წილს	31 დეკემბერი 2025
<b>არჩილ ბაკურაძე</b>	<b>12.10%</b>
<b>მალხაზ ძაძუა</b>	<b>9.31%</b>
<b>დავით ბენდელიანი</b>	<b>5.73%</b>
<b>agRIF Cooperatief U.A (Netherlands)</b>	<b>40.03%</b>
agRIF Feeder BV (Netherlands) reg# 855273975	14.90%
Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V. (FMO) (Netherlands)	5.23%
European Investment Bank (EIB)	6.54%
Societe De Promotion Et De Participation Pour La Cooperation Economique (PROPARCO) SA (France)	6.27%
Agence Française de Développement (AFD) (France)	5.34%
AXA Impact Fund II (Ireland)	6.54%
Axa Investment Managers UK Limited (UK)	6.54%

AXA Investment Managers UK Holdings Limited (UK)	6.54%
AXA Investment Managers S.A. (France)	6.54%
AXA S.A (France)	6.54%
<b>DWM Funds SCA SICAV SIF (Luxembourg)</b>	<b>18.80%</b>
DWM Funds S.a.r.l. (Luxembourg)	17.59%
Developing World Finance, LLC (USA)	17.59%
DWM Holdings, LLC (USA)	18.80%
Peter Johnson (USA)	9.40%

სებ-ის მიერ 2025 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით 2024 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული აქციათა მართვის ხელშეკრულება და მისი მონაწილე აქციონერები დაკვალიფიცირდნენ, როგორც მნიშვნელოვანი წილის მფლობელ ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი. აქციონერთა ჯგუფის მართვის უფლებამოსილება აქციონერების მიერ შეთანხმებულია აქციათა მართვის ხელშეკრულებით და სანოტარო მინდობილობებით განსაზღვრულია, რომ აქციათა მმართველს წარმოადგენს სს ლოტუს იმპექტ ფაინენსი (ს/კ 405633845), რომელიც აქციონერი გახდა 2025 წლის 28 თებერვალს.

<b>ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის წევრები საანგარიშო პერიოდში არიან ფიზიკური პირი აქციონერები და ერთი იურიდიული პირი:</b>	<b>31 დეკემბერი 2025</b>
ბაკურაძე არჩილი	12.10%
ალფაიძე ბადრი	0.29%
ბენდელიანი დავითი	5.73%
ბაკურაძე ვახტანგ	1.26%
გაბესკირია კახა	0.46%
გამახარია ალუ	3.08%
გეგეშიძე ნიკოლოზი	0.22%
ჩიტაიშვილი მანუჩარ	0.64%
ლომიძე მირიანი	0.26%
მეგენიშვილი გიორგი	0.13%
ზამბახიძე ზვიადი	0.24%
სს ლოტუს იმპექტ ფაინენსი	0.10%
ძაძუა მალხაზი	9.31%
წოწონავა პაატა	2.63%
<b>ჯამი</b>	<b>36.45%</b>

მიკრობანკს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი პირი.

## 2.2 ჯგუფის სტრუქტურა და კონსოლიდაცია

2018 წლის 16 იანვარს კრისტალმა დაარსა შვილობილი კომპანია 100%-იანი წილით - შპს კრისტალ კონსალტინგი. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანია არ ახორციელებს რაიმე ტიპის მომსახურებას და არის უმოქმედო.

პილარ 3-ის ფარგლებში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგენს მიკრობანკის შვილობილ საწარმოსთან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ('ფასს') შესაბამისად. საზედამხედველო მიზნებისთვის შვილობილი საწარმო არ კონსოლიდირდება და სებ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოდგენილია ინდივიდუალურად მიკრობანკის დონეზე.

კონსოლიდაცია საწარმოების მიხედვით			საზედამხედველო კონსოლიდაციის მეთოდი				აღწერა
#	კომპანიის დასახელება	სააღრიცხვო კონსოლიდაციის მეთოდი	სრული კონსოლიდაცია	პროპორციული კონსოლიდაცია	არც კონსოლიდირებული და არც დაქვითული	დაქვითული	
1	შპს კრისტალ კონსალტინგი	სრულად კონსოლიდირებული				X	ნიკეას ქ. №22, ქუთაისი, საქართველო; ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება; აქტივი - 21 477 ლ; საწესდებო კაპიტალი - 60 9791 ლ

### 3. კორპორაციული მართვა

#### 3.1 კორპორაციული მართვის კოდექსი

კორპორაციული მართვის კოდექსი (შემდგომში 'კოდექსი') წარმოადგენს სს მიკრობანკ კრისტალის ორგანიზაციული მართვის წესების ერთობლიობას.

კოდექსი შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების, მიკრობანკის წესდებისა (შემდგომში 'წესდება') და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

კოდექსით განისაზღვრება:

- მიკრობანკისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა, ფუნქციები, მმართველობითი თანამდებობები და ანგარიშვალდებულებები;
- დირექტორების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები, ანგარიშვალდებულების საკითხები;
- ისეთი ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება, სადაც გამორიცხულია ინტერესთა კონფლიქტი და არავინ სარგებლობს გადაწყვეტილების მიღების განუსაზღვრელი უფლებამოსილებით.

კოდექსი განსაზღვრავს მიკრობანკის კორპორაციული მართვის ზოგად პრინციპებს. კოდექსის დამტკიცება, აგრეთვე მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ხდება მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მიკრობანკის **ხელმძღვანელ ორგანოთა** სტრუქტურას ქმნის მიკრობანკის აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტები, და დირექტორთა საბჭო (გენერალური დირექტორის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ბანკის უმაღლეს აღმასრულებელ პირს და ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას).

მომდევნო თავებში ჩამოთვლილი კომიტეტის წევრები და თავმჯდომარეები მოცემულია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### 3.2 აქციონერთა საერთო კრება

მიკრობანკის აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მიკრობანკის მართვის უმაღლეს ორგანოს. საერთო კრების მოწვევის და ჩატარების წესები,

უფლებამოსილება და სხვა საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და მიკრობანკის წესდებით.

მიკრობანკის კორპორაციული მართვის ჩარჩო ეფუძნება აქციონერთა დაცვის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. აქციონერთა უფლებები, მათი დაცვის მექანიზმები და მათი აღსრულების პროცედურები მკაცრად რეგულირდება მიკრობანკის წესდებითა და საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“.

მიკრობანკის წესდება წარმოადგენს უზენაეს შიდა მმართველ დოკუმენტს, რომელიც ადგენს საერთო კრების ექსკლუზიურ კომპეტენციას მიკრობანკის სტრატეგიულ მართვაზე.

წესდების თანახმად, აქციონერთა ფუნდამენტური უფლებები მოიცავს:

- *გადაწყვეტილების მიღების ექსკლუზიური უფლებამოსილება.*  
საერთო კრება ფლობს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას გადაწყვიტოს ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორცაა წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება, მიკრობანკის რეორგანიზაცია და კაპიტალის სტრუქტურის ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის, აქციების ემისია ან კაპიტალის შემცირება).
- *ზედამხედველობისა და ნომინირების უფლებები.*  
წესდების საფუძველზე, აქციონერები ირჩევენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, განსაზღვრავენ მათი უფლებამოსილების ვადებს და ამტკიცებენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების პოლიტიკას.
- *ფინანსური კონტროლი და აუდიტი.*  
წესდება გარანტიას იძლევა აქციონერთა უფლებაზე, განიხილონ და დაამტკიცონ ყოველწლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და შეარჩიონ მიკრობანკის გარე აუდიტორი.
- *ქონებრივი უფლებების დაცვა.*  
წესდება არეგულირებს დივიდენდების განაწილების პროცედურას და იცავს აქციონერთა უპირატეს შესყიდვის უფლებას აქციების ახალი ემისიის დროს, კაპიტალის წილის გაუფასურების (dilution) თავიდან ასაცილებლად.
- *ინფორმაციის მიღების უფლება.*  
წესდება ავალდებულებს მიკრობანკს უზრუნველყოს აქციონერთა სრული და დროული ინფორმირება კრების დღის წესრიგში შეტანილ ყველა საკითხზე.

## 2025 წლის აქციონერთა კრებების მიმოხილვა, ძირითადი საკითხები და დასწრება

საანგარიშგებო პერიოდში ჩატარდა აქციონერთა 5 კრება (წლიური და რიგგარეშე). აქციონერებმა გამოიყენეს წესდებით მინიჭებული უფლებები შემდეგი ძირითადი საკითხების განსახილველად და დასამტკიცებლად:

*ფინანსური და დივიდენდებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები:*

- 2024 წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობით ანგარიშგების დამტკიცება;
- წინადადება 2024 წლის მოგებიდან დივიდენდების განაწილების გადავადების შესახებ.

*სამეთვალყურეო საბჭოს მართვა:*

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამტკიცება, მათ შორის, დამოუკიდებელი წევრების დანიშვნა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების მოდიფიცირება მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და ცნობად მიღება.

*წესდებისა და სამართლებრივი ცვლილებები:*

- წესდების ცვლილება დირექტორთა საბჭოს მიერ ტრანზაქციების დამტკიცების ლიმიტის გაზრდის მიზნით;
- აქციონერთა შეთანხმების ცვლილებებისა და შესწორებული და ჩამოყალიბებული სადამფუძნებლო შეთანხმების (Amended and Restated Founding Agreement) დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის უფლებამოსილების მინიჭება, მოახდინოს დირექტორებზე ფილიალების (წარმომადგენლობების) დაფუძნებისა და ლიკვიდაციის უფლებამოსილების შემდგომი დელეგირება.

*სტრატეგიული და ოპერაციული მანდატები:*

- შემოთავაზებული ინიციატივა ბალანსირებული მმართველობის უზრუნველყოფისა და უმცირესობის აქციონერთა უფლებების დაცვის შესახებ;
- აქციონერთა ინფორმირება სს მიკრობანკი კრისტალის ზოგადი საქმიანობის შესახებ.

ჩატარებული კრებები (ლიცენზირების დღიდან) და დასწრების სტატისტიკა შემდეგნაირია:

აქციონერთა კრება 2025	
თარიღი	დასწრება
31.03.2025	98%
11.06.2025	98%
29.10.2025	98%
25.11.2025	98%
29.12.2025	98%

### 3.3 სამეთვალყურეო საბჭო

მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება შემდეგი წევრებისგან:

- რობერტ კოსმანი – თავმჯდომარე და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;
- ლილიტ გარაიანი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და დამოუკიდებელი წევრი;
- იან დევიზგარტი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- არჩილ ბაკურაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული 'მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსით' განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო მინიმუმ კვარტალში ერთხელ მართავს შეხვედრებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდის შეხვედრების სიხშირეს.

სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია, მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსით. აღნიშნული გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოს განსხვავებული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ 2 (ორი) წევრისა უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ წევრებს.

სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, პირველ რიგში, ითვალისწინებს მიკრობანკის, დეპოზიტარების, აქციონერებისა და

სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველთან ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ისეთი საკითხ(ებ)ის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრს აქვს პირდაპირი კავშირი განსახილველ საკითხთან, რამაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, აღნიშნული წევრი არ იღებს მონაწილეობას საკითხის განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს და ამავე საბჭოს კომიტეტების გადაწყვეტილებებზე იწარმოება შესაბამისი ოქმები.

მიკრობანკის საქმიანობის ეფექტურად მართვის მიზნით სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ შექმნილია **რისკების მართვის, აუდიტისა და გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის კომიტეტები**.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს რისკის მართვის ჩარჩოს, რისკის აპეტიტსა და რისკების პოლიტიკებს. ის რეგულარულად აკვირდება ძირითად რისკებს რისკების კომიტეტის საშუალებით, ხოლო აუდიტის კომიტეტის საშუალებით აფასებს რისკების მართვის სისტემებს.

### განათლება და გამოცდილება

კრისტალის სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია განსხვავებული გამოცდილების მქონე წევრებით:

წევრი	განათლება და გამოცდილება
რობერტ კოსმანი	რობერტ კოსმანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ბანკირია. 33 წელია, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 13 სხვადასხვა ქვეყანაში საცალო, მცირე და საშუალო საბანკო მომსახურების სფეროში მუშაობს. 2004-2020 წლებში მას Raiffeisen Bank International-ში, უკრაინის ოფისში საცალო/SME ბანკინგის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა;

	<p>ხელმძღვანელობდა SME რისკებს ავსტრიაში, 3 წლის მანძილზე ეკავა CIO-სა და COO-ს თანამდებობები. მანამდე კი განვითარების უფროსი ბანკირის რანგში EBRD-თან, მსოფლიო ბანკთან, აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და USAID-თან მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების რესტრუქტურების კუთხით თანამშრომლობდა. ამჟამად, იგი აქტიურად საქმიანობს როგორც Fintech Angel ინვესტორი, ასევე არის მრავალი სტარტაპის მრჩეველი/ მენტორი უკრაინაში.</p>
<p><b>ლილიტ გარაიანი</b></p>	<p>ლილიტ გარაიანი არის ფინანსისტი. მას აქვს საბანკო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე კონსულტანტის პოზიციაზე ფინანსური მართვის, რისკების მართვისა და ოპერაციული მართვის მიმართულებით. 2015 წლიდან მონაწილეობს SDC-ის, KfW-ისა და AFD-ის პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და სომხეთში. იგი სწავლობდა სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში MBA ფინანსების სპეციალიზაციით, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის პროკრედიტის მენეჯმენტ აკადემიის კურსდამთავრებული და ACCA-ის წევრი.</p>
<p><b>იან დევინგარტი</b></p>	<p>იან დევინგარტი Incofin IM-ის კერძო ინვესტირების ფონდის დირექტორი და agRIF-ის ფონდის მენეჯერი. სამეთვალყურეო საბჭოში agRIF-ის ფონდს 2016 წლიდან წარმოადგენს. მას აქვს კაპიტალის ბაზარზე სააქციო კაპიტალის შეძენის, მართვისა და რეალიზების მიმართულებით მდიდარი გამოცდილება. განხორციელებული აქვს ევროპასა და აზიაში 70-ზე მეტი საინვესტიციო ტრანზაქცია; იყო არაერთი კერძო ფონდის მმართველი პარტნიორი, მმართველი</p>

	<p>დირექტორი და საინვესტიციო კომიტეტის წევრი. ბატონ დევინგარტს საბჭოს შემადგენლობაში საქმიანობის მდიდარი გამოცდილება აქვს მრავალ ქვეყანასა და სექტორში. ამჟამად, ის ბანკების – Lovcen-ის (მონტენეგრო) და Arvand-ის (ტაჯიკეთი) საბჭოს წევრიცაა. ასევე არის წყლის რესურსების მართვის ფონდის საინვესტიციო კომიტეტის წევრი.</p>
<p><b>არჩილ ბაკურაძე</b></p>	<p>არჩილ ბაკურაძე არის მიკროსაფინანსო ცენტრის საბჭოს თავმჯდომარე. იგი არის ფონდ „კრისტალის“ გამგეობის თავმჯდომარე და მოღვაწეობს სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაციის მმართველობაში. იგი ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2004), არის ჯონ სმიტის ფონდის (2000) სტიპენდიანტი და ჰოლანდიის დევნილთა ფონდის (Stichting Vluchteling) Van HeuvenGoedhart-ის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (2003).</p>

**სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები**

მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, სხვა ფუნქციებთან ერთად, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად პასუხისმგებელი არიან:

- განსაზღვრონ მიკრობანკის ღირებულებები, ხედვა, მისია, ორგანიზაციული სტრუქტურა და უზრუნველყონ, რომ მიკრობანკი იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;
- განსაზღვრონ მიკრობანკის ეთიკის სტანდარტები და ქცევის კოდექსი და მუდმივად აფასებდნენ დირექტორატის როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში, რომელიც არ შემოიფარგლება, თუმცა, მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას;
- მუდმივი მონიტორინგი გაუწიონ მიკრობანკის ანონიმური მხილების სისტემის (whistleblowing) მიმართულებით მიკრობანკში არსებული პოლიტიკა-პროცედურების ეფექტურობასა და მიუკერძოებლობას;

- განსაზღვრონ მიკრობანკის სტრატეგია დირექტორებთან ერთად და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორების მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;
- უზრუნველყონ მიკრობანკის საქმიანობის კანონმდებლობის, მათ შორის, საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- განსაზღვრონ მიკრობანკის რისკის აპეტიტი;
- განსაზღვრონ ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის, როლები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ჯეროვანი შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;
- მონიტორინგი გაუწიონ დირექტორების საქმიანობას, შეაფასონ დირექტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასების შედეგად მიიღონ შესაბამისი ზომები. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსების არსებობა ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სწავლებებისა და გადამზადების პროგრამების საჭიროებისამებრ განსახორციელებლად. სამეთვალყურეო საბჭომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ დირექტორების მხრიდან იღებდეს საკმარის ინფორმაციას, მათ შორის, განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორების საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების აპეტიტს და მიკრობანკის შიდა კონტროლის მექანიზმები ქმედითად მუშაობს;
- წარადგინონ და დაამტკიცონ დირექტორთა საბჭოს წევრთა კანდიდატურები, ასევე რეგულარულად გადახედონ და შეაფასონ ისეთი კანდიდატურები, როგორცაა გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭოში შემავალი სხვა დირექტორები, მათ შორის, ფინანსური დირექტორი და რისკების დირექტორი, ასევე გადახედონ სხვა პირთა დანიშვნის კრიტერიუმებს;
- უზრუნველყონ, რომ მიკრობანკში არსებობდეს ადეკვატური პოლიტიკა-პროცედურები დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადარჩევის კუთხით;
- მონიტორინგი გაუწიონ მიკრობანკის ანაზღაურების სისტემასა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას, რაც, მათ შორის, გულისხმობს აღმასრულებელ პოზიციაზე მყოფი პირების ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, მიკრობანკის რისკის კულტურასა და რისკის აპეტიტთან შესაბამისობას;

- უზრუნველყონ კონტროლის ფუნქციების ეფექტურობა და დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს საქმიანობის განხორციელებისას ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, სხვა ნებისმიერი მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე;
- უზრუნველყონ ეფექტური მართვის პროცესების დანერგვა და შენარჩუნება, რაც მათ შორის, მოიცავს მატერიალური რისკის ამღებ პირთა მიკრობანკიდან გადინებისას, ბიზნეს უწყვეტობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული შესაბამისი სტრატეგიებისა და პროცედურების შემუშავებას. ეფექტური მართვის პროცესის დანერგვა ასევე მოიცავს მიკრობანკის დასაქმებული პირების მუდმივ შეფასებასა და განვითარებას, ასევე, პოტენციურ კანდიდატთა მოძიებას;
- მონიტორინგი გაუწიონ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს და ამ მიზნით, უზრუნველყონ შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების არსებობა;
- მონიტორინგი გაუწიონ და პერიოდულად შეაფასონ ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურის ეფექტურობა და მიიღონ შესაბამისი ზომები იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;
- უზრუნველყონ შესაბამისობის ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის დამოუკიდებლობა, უფლებამოსილება და შეუზღუდავი წვდომა სამეთვალყურეო საბჭოსთან;
- უზრუნველყონ რისკის კულტურის საუკეთესო პრაქტიკის წახალისება და თანამშრომელთა შორის ეფექტური კომუნიკაციის, კონსტრუქციული დისკუსიისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა;
- დაამტკიცონ დირექტორთა საბჭოსა და კონტროლის ფუნქციების ანაზღაურების პოლიტიკა;
- უზრუნველყონ ESG საკითხების სათანადო ასახვა მიკრობანკის სტრატეგიაში და მონიტორინგი გაუწიონ მათ ეფექტიან განხორციელებას;
- რეგულარულად შეხვდნენ დირექტორთა საბჭოს და კონტროლის ფუნქციებს პოლიტიკებისა და კონტროლების განსახილველად მნიშვნელოვანი რისკებისა და იმ საკითხებისა და სფეროების გამოსავლენად, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ;
- რეგულარულად განიხილონ სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირების ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- ჩართული იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების საქმიანობის ეფექტურობის შეფასების პროცესში ისევე, როგორც მიკრობანკის შიდა პერსონალისა და ადამიანური რესურსების პოლიტიკების შესრულების მონიტორინგის პროცესებში;

- ყოველწლიურად შეიმუშავონ რეკომენდაციები მატერიალური რისკის ამღებ პირთა (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) ანაზღაურების თაობაზე;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ანაზღაურების გარე კონსულტანტების მომსახურების მიღების გადაწყვეტის შემთხვევაში, მიმოიხილოს გარე კონსულტანტთა დანიშვნა და განიხილოს მათი რეკომენდაციები;
- დარწმუნდნენ, რომ აქციონერთათვის ანაზღაურების პოლიტიკებისა და პრაქტიკების შესახებ მიწოდებული ინფორმაცია, მათ შორის, წლიური ცვალებადი ანაზღაურების მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ, არის ადეკვატური;
- შეაფასონ მატერიალური რისკის ამღები პირების (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლების (KPI) შესრულება და ცვალებადი ანაზღაურების მინიჭებამდე და მინიჭების შემდგომ, საქმიანობის შედეგებსა და რისკებზე დაფუძნებული კორექტირებების საჭიროება, მათ შორის, ცვალებადი ანაზღაურების დაბრუნება ან შემცირება;
- განიხილონ სხვადასხვა სცენარი, რათა შეფასდეს სხვადასხვა შიდა თუ გარე მოვლენების გავლენა ანაზღაურების პოლიტიკასა და პრაქტიკაზე და რისკზე დაფუძნებული კორექტირებებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები.

### სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასება და დამოუკიდებლობა

2025 წლის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს დამოუკიდებელი და არადამოუკიდებელი წევრების ბალანსირებულ წარმომადგენლობას მიუკერძოებელი ზედამხედველობის განსახორციელებლად.

წევრების **დამოუკიდებლობა** დასტურდება შემდეგი არგუმენტებით:

- მარეგულირებელი და სამართლებრივი შესაბამისობა: მათი დამოუკიდებლობა დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მიკრობანკის წესდებით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე.
- ეთიკური და პროფესიული სტანდარტები: წევრები მოქმედებენ ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობასა და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას.
- სტრუქტურული დამოუკიდებლობა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა: მმართველობითი ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ დამოუკიდებელი წევრები თავისუფალი იყვნენ ნებისმიერი

მატერიალური ან პროფესიული ურთიერთობისგან, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ მიუკერძოებელ მსჯელობას. დამოუკიდებელ წევრებს არ აქვთ ოჯახური ან ახლო ბიზნეს ურთიერთობები მიკრობანკის აღმასრულებელ მენეჯმენტთან ან მსხვილ აქციონერებთან, რაც მათ ობიექტურობას ზიანს მიაყენებდა.

- პროფესიული ავტონომია: წევრები ავლენენ მყარ პროფესიულ მსჯელობას და წარმოადგენენ დამოუკიდებელ ხედვებს საბჭოსა და კომიტეტების განხილვებისას, საჭიროების შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მენეჯმენტის წინადადებებს.
- ვადების ლიმიტი: მიკრობანკი უზრუნველყოფს, რომ მათი საქმიანობის ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს დამოუკიდებლობისთვის დადგენილ მარეგულირებელ ლიმიტებს.
- გარე გამოცდილება: დამოუკიდებელ წევრებს შემოაქვთ მრავალფეროვანი გამოცდილება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან და კერძო სექტორიდან, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი გადაწყვეტილებები ეფუძნება ობიექტურ საბაზრო სტანდარტებს და არა შიდა ორგანიზაციულ ზეწოლას.

### *სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების პროცესის აღწერა*

#### 2024 წლის რეტროსპექტივა

გასულ წელს სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასება ჩატარდა შიდა ელექტრონული გამოკითხვის გზით. შეფასება მოიცავდა ხუთ ძირითად მიმართულებას: სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, ოპერაციული ეფექტურობა, პროფესიული განვითარება, სტრატეგიული ჩართულობა და რისკების მართვა. მონაცემთა შეგროვების შემდეგ, აგრეგირებული შედეგები კოლექტიურად იქნა განხილული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების მიზნით.

#### 2025 წლის პერსპექტივა და მიკრობანკის სტატუსი

ვინაიდან 2025 წელი კრისტალისთვის მიკრობანკის სტატუსით საქმიანობის პირველი წელია, კორპორაციული მართვის მოთხოვნები ბუნებრივად გახდა უფრო მკაცრი. ახალ მარეგულირებელ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, შეფასების ჩარჩო გადადის უფრო მყარ მოდელზე. ეს მოიცავს დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვას საბჭოს საქმიანობის ყოვლისმომცველი გარე მიმოხილვის ჩასატარებლად, რაც უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას საბანკო სექტორის საუკეთესო პრაქტიკასთან და საქართველოს ეროვნული ბანკის სახელმძღვანელო მითითებებთან.

## 2025 წლის კრებავის მიმოხილვა, ძირითადი საკითხები და დასწრება

2025 წელს მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებდა ჩართულობის მაღალ დონეს მიკრობანკის სტრატეგიული მიზნებისა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის ზედამხედველობისთვის. წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხორციელდებოდა როგორც ფორმალური სხდომების, ისე წერილობითი პროცედურების მეშვეობით.

კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა 2025 წელს მოიცავდა (ლიცენზირების დღიდან):

- 16 სხდომას, ჩატარებულს ერთობლივი დასწრების ფორმით (პირისპირ ან ელექტრონული კომუნიკაციით), რომელთაგან სამ კრებაზე დასწრების სტატისტიკა იყო 67%, ერთზე - 83%, ხოლო დანარჩენზე 100%;
- 8 გადაწყვეტილებას, მიღებულს წერილობითი რეზოლუციების გზით.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

*სტრატეგიული ტრანსფორმაცია და მარეგულირებელი შესაბამისობა:*

- მიკრობანკის ტრანზიციის გარდამავალი ღონისძიებების ზედამხედველობა აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტის უწყვეტი კონტროლის უზრუნველსაყოფად; ლიცენზირების პროცესის მართვა და მიკრობანკის სტატუსზე გადასვლა.
- შიდა მმართველობა: სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკის, რისკების რეგულაციების, ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსის დამტკიცება და განახლება.
- საბჭოს შემადგენლობა: მმართველობითი ცვლილებების მართვა, მათ შორის, საბჭოს ახალი თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევა, და სპეციალური (ad-hoc) კომისიის შექმნა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი დამოუკიდებელი წევრების ნომინირებისთვის.
- მარეგულირებელი დიალოგი: აქტიური კომუნიკაციის ხელშეწყობა საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან მოთხოვნებსა და ზოგად მარეგულირებელ შესაბამისობაზე.

*ფინანსური ზედამხედველობა და დაფინანსება:*

- საკრედიტო რესურსების დამტკიცება: საერთაშორისო პარტნიორებისგან მისაღები მსხვილი სასესხო რესურსების განხილვა და დამტკიცება.
- კაპიტალისა და საქმიანობის მართვა: 2024 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განხილვა; გადაწყვეტილებები

დივიდენდების განაწილება/გადავადებაზე; ბიუჯეტისა და საინვესტიციო გეგმის დამტკიცება.

- ოპერაციული ეფექტურობა: მენეჯმენტის ანგარიშების, აუდიტის დასკვნებისა და 2025-2026 წლების საქმიანობის ძირითადი ინდიკატორების (KPI) მონიტორინგი.

ადამიანური რესურსები და ანაზღაურება:

- აღმასრულებელი რგოლის კომპენსაცია: ანაზღაურებისა და ცვლადი ანაზღაურების კორექტირება.

### 3.3.1 რისკების მართვის კომიტეტი

მიკრობანკის რისკების მართვის კომიტეტი (RMC) შედგება შემდეგი წევრებისგან:

- რობერტ კოსმანი – რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე და დამოუკიდებელი წევრი;
- ლილიტ გარაიანი – რისკების მართვის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი;
- იან დევიზგარტი – რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

კოდექსით გაწერილია, რომ რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხოლო თავად კომიტეტი შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისგან, რომელთა უმრავლესობას დამოუკიდებელი წევრები უნდა შეადგენდნენ.

რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციები შემდეგია:

- განიხილოს რისკის სტრატეგიები როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ქრილში და მიაწოდოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, მიკრობანკის რისკის აპეტიტზე;
- მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიშგება მიკრობანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილოს მიკრობანკის რისკის პოლიტიკები, სულ მცირე, ყოველწლიურად;
- მონიტორინგი გაუწიოს დირექტორატს რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- ითანამშრომლოს და მონიტორინგი გაუწიოს რისკების დირექტორის საქმიანობას;
- რეკომენდაცია გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის,

- იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
- მონიტორინგი გაუწიოს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა რისკის აპეტიტთან;
  - რეკომენდაცია გასცეს გარე კონსულტანტის დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭომ ან მისმა კომიტეტებმა შესაძლოა მიმართონ კონსულტაციისთვის ან რჩევისთვის;
  - განიხილოს სხვადასხვა შესაძლო სცენარები, მათ შორის, სტრეს სცენარები, რათა შეაფასოს გარე და შიდა მოვლენების გავლენა მიკრობანკის რისკის პროფილზე;
  - მონიტორინგი გაუწიოს კლიენტებისთვის შეთავაზებული მატერიალური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების, მათ შორის, მათი ფასების შესაბამისობას ორგანიზაციის ბიზნეს მოდელთან და რისკის სტრატეგიასთან;
  - შეაფასოს შიდა და გარე აუდიტორის რეკომენდაციები და აუდიტის კომიტეტთან თანამშრომლობით მონიტორინგი გაუწიოს შესაბამისი ზომების განხორციელებას;
  - მონიტორინგი გაუწიოს პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესს, მათ შორის, ESG საკითხების ანგარიშგებას და დაამტკიცოს გამოსაქვეყნებელი წლიური პილარ 3-ის ანგარიშგება.

RMC-სა და აუდიტის კომიტეტებს შორის არსებობს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის დაიდენტიფიცირებას, მათ შორის, ახლადგამოვლენილი რისკების და ასევე, ნებისმიერი სახის საჭირო კორექტირებების შეტანას მიკრობანკის რისკის მართვის ჩარჩოში.

### **2025 წლის კრებების მიმოხილვა, ძირითადი საკითხები და დასწრება**

2025 წელს რისკების მართვის კომიტეტი ორიენტირებული იყო მიკრობანკის რისკების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებაზე ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პერიოდში.

ძირითადი საკითხები და გადაწყვეტილებები მოიცავდა შემდეგს:

*ფინანსური და პორტფელის რისკების ზედამხედველობა:*

- კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების, ლიკვიდობის, საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკების შეფასება რეგულარული შიდა ანგარიშგებისა და სტრეს-ტესტების შედეგების საფუძველზე;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მეთოდოლოგიის განხილვა და კორექტირება, და საჯარიმო და საპროცენტო შემოსავლებთან დაკავშირებული სააღრიცხვო ცვლილებების ფინანსური გავლენის მონიტორინგი;
- პორტფელის პროდუქტების მომგებიანობის ანალიზი და პროდუქტების მიქსის სტრატეგიის განახლება მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად;
- პრობლემური აქტივების მართვისა და სესხების ანდერრაიტინგის პროცესების ცენტრალიზაციის ხელახალი დადასტურება და მონიტორინგი.

*სტრატეგიული რისკების ინფრასტრუქტურა და ინოვაცია:*

- მაღალი ზეგავლენის მქონე ტექნოლოგიური პროექტების დამტკიცება, მათ შორის, რისკების მონაცემთა საცავის (Risk Data Warehouse) და AI სქოპინგის სისტემების;
- პროდუქტის დონეზე რისკის ღირებულების ლიმიტების შემუშავება მიკრობანკის საერთო რისკის აპეტიტთან შესაბამისობაში და 2026 წლის NPL გაყიდვის ლიმიტის განახლება;
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმის (BCP) ტესტირების რეკომენდაციების განახლება და იმპლემენტაციის ვადების მონიტორინგი.

*პოლიტიკა და შესაბამისობის ჩარჩო:*

- 2025 წლის რისკის აპეტიტთან დაკავშირებული განაცხადისა და საკრედიტო პოლიტიკის განახლება;
- Whistleblowing ჩარჩოს ინსტიტუციონალიზაცია;
- მმართველობის ოპტიმიზაცია ALCO-ს ფუნქციების დირექტორთა საბჭოზე გადაცემით, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურულ ანგარიშგებას რისკების მართვის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

ჩატარებული კრებები (ლიცენზირების დღიდან) და დასწრების სტატისტიკა შემდეგნაირია:

რისკების მართვის კომიტეტის კრება 2025	
თარიღი	დასწრება
24.04.2025	67%
24.07.2025	67%
18.08.2025	100%
30.10.2025	100%

### 3.3.2 აუდიტის კომიტეტი

მიკრობანკის აუდიტის კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- ლილიტ გარაიანი – აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და დამოუკიდებელი წევრი;
- რობერტ კოსმანი – აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი;
- არჩილ ბაკურაძე – აუდიტის კომიტეტის წევრი.

კოდექსით გაწერილია, რომ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხოლო თავად კომიტეტი შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისგან, რომელთა უმრავლესობას დამოუკიდებელი წევრები უნდა შეადგენდნენ.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციები შემდეგია:

- მიიღოს შიდა აუდიტის ინდივიდუალური შემოწმების შედეგების ამსახველი ანგარიშები და საქმიანობის პერიოდული საანგარიშგებო ინფორმაცია და უზრუნველყოს დირექტორთა საბჭოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობისა ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;
- მონიტორინგი გაუწიოს მიკრობანკის სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის სამართლიანობას, სისრულესა და შესაბამის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობას;

- განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები მიკრობანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და სტრუქტურის თაობაზე;
- უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და მათი ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;
- განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორების მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას.

### **2025 წლის კრებების მიმოხილვა, ძირითადი საკითხები და დასწრება**

აუდიტის კომიტეტი ფოკუსირებული იყო ფინანსური ანგარიშგების უტყუარობისა და შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობის უზრუნველყოფაზე.

ძირითადი საკითხები და გადაწყვეტილებები მოიცავდა შემდეგს:

*შიდა აუდიტის მართვა:*

- განიხილა და დაამტკიცა შიდა აუდიტის წლიური გეგმა, ახორციელებდა მისი შესრულების მონიტორინგს და დეპარტამენტის წლიური ანგარიშის შეფასებას;
- განაახლა და დაამტკიცა შიდა აუდიტის პოლიტიკა და პროცედურები საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

*აუდიტის ზედამხედველობა და რემედიაცია:*

- ჩაატარა აუდიტის შედეგების დეტალური განხილვა და აწარმოებდა აუდიტის პროცესში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის სტატუსის მონიტორინგს.

*დაინტერესებულ მხარეთა და მმართველობის მიმოხილვა:*

- შეაფასა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინების კვლევა (Stakeholder Expectation Survey) შიდა აუდიტის საქმიანობასთან დაკავშირებით, მმართველობისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

ჩატარებული კრებები (ლიცენზირების დღიდან) და დასწრების სტატისტიკა შემდეგნაირია:

აუდიტის კომიტეტის კრება 2025	
თარიღი	დასწრება
11.04.2025	67%
29.09.2025	67%
18.12.2025	100%
22.12.2025	100%

გამართული სხდომების გარდა, აუდიტის კომიტეტმა საანგარიშგებო პერიოდში მიიღო ერთი გადაწყვეტილება ცირკულარული რეზოლუციის გზით, რაც უზრუნველყოფდა გადაუდებელი საკითხების დროულ და ეფექტურ მართვას.

### 3.3.3 გარემოსა და სოციალური დაცვის კომიტეტი

მიკრობანკის გარემოსა და სოციალური დაცვის (E&S) კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- იან დევინგარტი – E&S კომიტეტის თავმჯდომარე;
- ლილიტ გარაიანი – E&S კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი;
- არჩილ ბაკურაძე – E&S კომიტეტის წევრი.

კოდექსით გაწერილია, რომ E&S კომიტეტი დაკომპლექტებული უნდა იყოს მინიმუმ 3 წევრისგან და კომიტეტში წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი წევრი.

E&S კომიტეტის ფუნქციები შემდეგია:

- უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და მენეჯმენტის მონაწილეობას პროგრამებში, რაც მათ ეხმარება ცნობიერების ამაღლებაში გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან მიმართებით;
- განიხილავს და ზედამხედველობას უწევს გარემოსა და სოციალური დაცვის სტრატეგიებს, მათ თანმიმდევრულობას და შესაბამისობას მიკრობანკის სტრატეგიასთან და ფინანსებთან დაკავშირებულ გეგმებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს;

- ზედამხედველობას უწევს მიკრობანკის დირექტორატის მხრიდან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმებისა და რეკომენდაციების შესრულებას;
- განიხილავს გარემოსა და სოციალური დაცვის პროექტების ეფექტურობასა და კრისტალის მხრიდან ახალი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას;
- კრიტიკული მიდგომით აფასებს განხორციელებული პროექტების შედეგებს;
- უზრუნველყოფს გარემოსა და სოციალური დაცვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას სამეთვალყურეო საბჭოსათვის.

**2025 წლის კრებების მიმოხილვა, ძირითადი საკითხები და დასწრება**

E&S კომიტეტი უზრუნველყოფდა, რომ ESG პრინციპები დარჩენილიყო მიკრობანკის გრძელვადიანი მდგრადობის სტრატეგიის ძირითად კომპონენტად.

ძირითადი საკითხები და გადაწყვეტილებები მოიცავდა შემდეგს:

*სტრატეგია და ზეგავლენის მართვა:*

- ხელმძღვანელობდა ზეგავლენის სტრატეგიის (Impact Strategy) ყოვლისმომცველ გადახედვას მიკრობანკის სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- უზრუნველყო ESG პრინციპების, მათ შორის, კლიმატის ცვლილების რისკებისა და თანამშრომელთა მრავალფეროვნების ინტეგრირება მიკრობანკის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში.

ჩატარებული კრებები (ლიცენზირების დღიდან) და დასწრების სტატისტიკა შემდეგნაირია:

E&S კომიტეტის კრება 2025	
თარიღი	დასწრება
15.04.2025	75%

### 3.4 დირექტორთა საბჭო

კრისტალის ყოველდღიურ ოპერაციებს სათავეში უდგას დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა გენერალური დირექტორი. კოდექსით დირექტორთა საბჭოს წევრებს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 4 წლის ვადით ხელახლა დანიშვნის უფლებით. წევრები აკმაყოფილებენ ადმინისტრატორთა კრიტერიუმებს საქართველოს კანონის “მიკრობანკების საქმიანობის შესახებ” და სებ-ის ბრძანება N119/04 “მიკრობანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების” მიხედვით.

დირექტორთა საბჭოს ფუნქციები შემდეგია:

- მიკრობანკის მიმდინარე აქტივობების მართვა;
- ყველა იმ საკითხის წინასწარ განხილვა, რომელიც აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგშია, საკითხებისთვის შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტის მომზადება;
- მიკრობანკის განვითარების სტრატეგიის მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსთან წარდგენა დასამტკიცებლად, მიმდინარე წლის ბიზნეს გეგმა, მათ შორის, წლიური ბიუჯეტი და მოგება-ზარალის გაანგარიშება, ასევე საზოგადოების საინვესტიციო გეგმა;
- დაკრედიტების, ანგარიშსწორების, დაფინანსების, საკასო სერვისების, ფულადი სახსრებისა და საზოგადოების ფასეულობათა დაცვის, აღრიცხვის, ანგარიშგების, შიდასაბანკო, კლიენტთა ინტერესების უზრუნველყოფის ორგანიზებისა და სხვა ძირითადი საკითხების ზედამხედველობა;
- ფილიალებისა და მიკრობანკის განყოფილებების მუშაობის მონიტორინგი, მათ მმართველებზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- შიდა და გარე აუდიტორთა მასალების გამოკვლევა, ასევე, ფილიალებისა და განყოფილებების ანგარიშგებების შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;
- აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანის უზრუნველყოფა;
- მიკრობანკის შიდა ორგანიზაციული წესების შედგენა და მათი შესრულების უზრუნველყოფა;
- კადრების შერჩევის, გათავისუფლების, პროფესიული განვითარებისა და ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;
- მიკრობანკის წესდებისა და ქართული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა.


დირექტორთა საბჭო დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას. რეგულარული შეხვედრები იმართებოდა ყოველკვირეულად 2025 წლის განმავლობაში. შეხვედრები ასევე იმართებოდა საჭიროებისამებრ. შეხვედრა ჩატარებულად ითვლება 4 წევრის დასწრების შემთხვევაში. ყველა წევრს აქვს ერთი ხმა. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების შესახებ ხმები გაიყო, თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითვლება საბოლოოდ.

მიკრობანკის დირექტორთა საბჭო შედგება შემდეგი წევრებისგან:

- ილია რევია – გენერალური დირექტორი (თავმჯდომარე)
- დავით ბენდელიანი – ფინანსური დირექტორი
- მელანია კუჭუხიძე – კომერციული დირექტორი
- ნინო ფანჯიკიძე – საოპერაციო დირექტორი
- გიორგი მეგენიშვილი – რისკების დირექტორი
- კახა გაბესკირია – ლიზინგის დირექტორი

### ორგანიზაციული სტრუქტურა

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მიკრობანკში მოქმედებს შემდეგი ორგანიზაციული სტრუქტურა (ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსი ოფიცერი ექვემდებარება გენერალურ დირექტორს):



### განათლება და გამოცდილება

კრისტალს სათავეში უდგას მდიდარი გამოცდილების მქონე დირექტორთა გუნდი. ერთობლივად დირექტორთა საბჭოში თავმოყრილია ღრმა ცოდნა და გამოცდილება საბანკო, მიკროსაფინანსო, ფინანსური, ოპერაციული მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

დირექტორი	განათლება და გამოცდილება
ილია რევია გენერალური დირექტორი	ილია რევია არის წარმატებული მენეჯერი, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და საფინანსო სექტორში ტრანსფორმაციისა და ცვლილებების მართვის მდიდარი გამოცდილებით. კარიერა 1998 წელს დაიწყო, როგორც ვებ დეველოპერმა. 2001-2006 წლებში მუშაობდა IT პროექტების მართვის მიმართულებით

	<p>აშშ-ის იურიდიულ კომპანიაში, 2007-2009 წლებში კი დასაქმებული იყო თიბისი ბანკში პროექტების მენეჯერად. 2009 წელს ილია რევია საქართველოს ბანკს შეუერთდა, სადაც მოგვიანებით უფროსი საინფორმაციო ოფიცრის მოადგილედ დაინიშნა და სათავეში ჩაუდგა ბანკის არაერთ კომპლექსურ პროექტს, მათ შორის, „პრივატბანკ საქართველოს“ შექმნასა და Agile- ტრანსფორმაციას. კრისტალის გუნდს 2019 წლის მეორე ნახევრიდან შემოუერთდა და მას შემდეგ უძღვება მიკრობანკის ხედვის ჩამოყალიბებას, ზრდასა და ტრანსფორმაციას. ილია არის სერტიფიცირებული პროფესიონალი პროექტების მართვაში (PMP), ფლობს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს პროექტების მართვაში და შვედეთის იონჩეპინგის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ბიზნესინოვაციებში. მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში. ილია პროექტების მართვის ინსტიტუტის (Project Management Institute) საქართველოს წარმომადგენლობის არჩეული პრეზიდენტია.</p>
<p><b>დავით ბენდელიანი</b> ფინანსური დირექტორი</p>	<p>2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე ეკავა ფონდ „კრისტალის“ ფინანსური მენეჯერის თანამდებობა. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთში“. იგი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მიღებული აქვს სერტიფიკატი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახაზინო მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ცვლილებების მართვაში, მიკროსაფინანსო პროდუქტების</p>

	<p>განვითარებაში, რისკების მართვის მეთოდოლოგიაში, შიდა აუდიტის განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიული დაგეგმვის პროგრამაში.</p>
<p><b>მელანია კუჭუხიძე</b> კომერციული დირექტორი</p>	<p>იგი გახლავთ მენეჯმენტის ექსპერტი, ფინანსურ სექტორში 15+ წლიანი მენეჯერული გამოცდილებით. 2006-2010 წლებში მუშაობდა „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საცალო და მცირე ბიზნესის განვითარების უფროსად. 2010-2015 წლებში იყო „ბანკი კონსტანტას“ ქსელის მართვის დეპარტამენტის უფროსი. შემდგომ, 2016 წლამდე მუშაობდა „თიბისი ბანკის“ მიკრობიზნესის მართვის გუნდში. 2018 წელს შემოუერთდა „კრისტალს“ ქსელის მართვის უფროსის პოზიციაზე, მანამდე 2 წლის განმავლობაში იყო „მწვანე ლისის“ ურბანული განვითარების პროექტის კომერციული დირექტორი. 2019 წელს დაინიშნა „კრისტალის“ უფროსი ბიზნესოფიცრის მოადგილედ, ხოლო 2020 წლის მაისიდან არის უფროსი ბიზნესოფიცერი. იგი არის „ვითიბი ბანკის“ კორპორაციული უნივერსიტეტის მაგისტრანტი მენეჯმენტში. მიღებული აქვს ეკონომიკისა და მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხი საქართველოს სუბტროპიკული ბიზნესის უნივერსიტეტში. 2023 წელს გახდა სერტიფიცირებული ბიზნეს ქოუჩი.</p>
<p><b>ნინო ფანჯიკიძე</b> ოპერაციების დირექტორი</p>	<p>ნინო ფანჯიკიძეს აქვს საბანკო სფეროში მუშობის 15 წლიანი გამოცდილება. პროკრედიტ ბანკში თავისი კარიერის მანძილზე არაერთი მენეჯერული პოზიცია ეკავა და ხელმძღვანელობდა ოპერაციების, საცალო კონტროლის, ცენტრალიზებული ბექ-ოფისის და პროდუქტების განვითარების მიმართულებებს. ტრანსფორმაციის პერიოდში ფინკა ბანკში გადასვლისას, იგი სათავეში ჩაუდგა საბანკო მომსახურებისა და</p>

	<p>მხარდაჭერის, მეთოდოლოგიების განვითარების, საკრედიტო და არასაკრედიტო ბექ-ოფისის მიმართულებებს, მათ შორის, უნაღდო გადახდებს, სახაზინო ბექ-ოფისის ფუნქციებს, ასევე საბანკო ბარათებთან დაკავშირებულ პროცესებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში, იგი იყო ოპერაციების მენეჯერი არასაბანკო სექტორში. ნინოს აქვს სერტიფიცირებული ფინანსური მენეჯერის კვალიფიკაცია თავისუფალი უნივერსიტეტიდან. მან გაიარა კავკასიის უნივერსიტეტში ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. ფლობს კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მიმართულებით. ნინომ, ასევე, წარმატებით დაასრულა იელის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსური ბაზრების შემსწავლელი სრული კურსი.</p>
<p><b>გიორგი მეგენეიშვილი</b> რისკების დირექტორი</p>	<p>გიორგი მეგენეიშვილი 2005 წლიდან სხვადასხვა თანამდებობა ეკავა და განვითარების საინტერესო გზა განვლო. რისკების მართვის კლასიკური მიდგომების დანერგვით მან მიკრობანკის განვითარებაში ღირებული წვლილი შეიტანა. არის რისკების სერტიფიცირებული მენეჯერი. მას, ასევე, მიღებული აქვს მიკროფინანსების მართვის საერთაშორისო სერტიფიკატი (ფინანსებისა და მენეჯმენტის ფრანკფურტის სკოლა). გავლილი აქვს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.</p>
<p><b>კახა გაბესკირია</b> ლიზინგის დირექტორი</p>	<p>კახა გაბესკირია 2009 წლიდან კრისტალში წარმატებულად მოღვაწობს. ამ დროის მანძილზე მას ეკავა სხვადასხვა აღმასრულებელი პოზიცია, როგორცაა, უფროსი საკრედიტო ოფიცერი, უფროსი ოპერაციების ოფიცერი და უფროსი</p>

	<p>ბიზნესოფიცერი. 2020 წლიდან იგი დაინიშნა ლიზინგის დირექტორად. ბატონ გაბესკირიას „პროკრედიტ ბანკსა“ და კრისტალში, MSME სექტორში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. მიღებული აქვს საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი. გარდა ამისა, სერტიფიცირებულია პროექტების მართვაში, ბიზნესის ანალიზში, ადამიანური რესურსების მართვაში, პროდუქტის განვითარებაში, საკრედიტო პორტფელის დაგეგმვასა და მენეჯმენტში, საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვაში.</p>
--	--

### 3.5 აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO) დაფუძნებულია დირექტორთა საბჭოს ქვეშ. ის რეგულირდება ალკოს დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ALCO პასუხისმგებელია იდენტიფიცირება მოახდინოს, მართოს და აკონტროლოს საბალანსო უწყისიდან წარმოშობილი რისკები, კაპიტალის მართვაზე ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად, დაფინანსების მიღებასა და კაპიტალის ინსტრუმენტებზე, ლიკვიდური აქტივების განთავსებაზე, საფასო პოლიტიკაზე და ა.შ. მისი ფუნქციაა აკონტროლოს ლიკვიდურობის, დაფინანსების, კონტრაგენტისა და საბაზრო რისკები, კაპიტალის ადეკვატურობა და საფასო გადაწყვეტილებები. ალკო ზედამხედველობას უწევს რისკის აპეტიტის თრიგერების/ლიმიტების, მარეგულირებლის მოთხოვნებისა და ფინანსური ქოვენანტების დაცვას.

ALCO შედგება შემდეგი მუდმივი (ხმის მიმცემი) წევრებისგან:

- გენერალური დირექტორი (თავმჯდომარე)
- ფინანსური დირექტორი
- კომერციული დირექტორი
- რისკების დირექტორი
- ლიზინგის დირექტორი
- ფინანსური დაგეგმარებისა და კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

- ზოგადი რისკების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
- ხაზინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ალკოს შეხვედრების ოქმების, პრეზენტაციისა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაზე პასუხისმგებელია ზოგადი რისკების დეპარტამენტი. ამჟამად, ზოგადი რისკების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქციები ალკოს ფარგლებში შეთავსებული აქვს ფინანსური რისკების მართვის მენეჯერს, რომელიც ასევე არის ალკოს ხმის მიმცემი წევრი.

ალკო ტარდება რეგულარულად თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. შეკრებამდე ფინანსური რისკები ალკოს აწვდის პრეზენტაციას, დღის წესრიგსა და სხვა საჭირო მასალებს.

შეხვედრას თავმჯდომარეობს გენერალური დირექტორი ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, ფინანსური დირექტორი. სხდომა ჩატარებულად ჩაითვლება, თუ 50% წევრებს დამატებული ერთი წევრი ესწრება კომიტეტს, მათ შორის, აუცილებელია რისკების დირექტორისა და ფინანსური დირექტორის დასწრება (პოზიციის ვაკანტურობის/არყოფნის შემთხვევაში მათ მაგივრად დანიშნული წევრები მათივე დეპარტამენტებიდან). კომიტეტის ყველა მუდმივ წევრს აქვს ერთი ხმა და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. მოწვეულ სტუმრებსა და არამუდმივ წევრებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება, თუმცა, აქტიურად მონაწილეობენ დისკუსიებში. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ხმების რაოდენობა თანაბარია, მიიღება ის გადაწყვეტილება, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარემ მისცა ხმა.

### 3.6 ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსი

მიკრობანკში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული **ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსი**, რომელიც განსაზღვრავს მიკრობანკის პერსონალის, მმართველი ორგანოების წევრებისა და სხვა შესაბამისი პირების ქცევის ძირითად პრინციპებსა და ვალდებულებებს.

მიკრობანკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კეთილსინდისიერების, პროფესიონალიზმის, პასუხისმგებლობის, მიუკერძოებლობის, კონფიდენციალურობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპების დაცვას. ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ეთიკური და პროფესიული ქცევის ერთიანი სტანდარტი როგორც მომხმარებლებთან და პარტნიორებთან, ისე თანამშრომლებს შორის ურთიერთობაში.

მიკრობანკის პერსონალი ვალდებულია იმოქმედოს პატიოსნად, კომპეტენტურად, ყურადღებითა და ეთიკის ნორმების სრული დაცვით; პროფესიული საქმიანობისას იხელმძღვანელოს გონივრული სიფრთხილითა და დამოუკიდებელი განსჯით; დაიცვას მომხმარებლების ინტერესები, კონფიდენციალური ინფორმაცია და მიკრობანკის რეპუტაცია.

მიკრობანკში ასევე მოქმედებს **ინტერესთა კონფლიქტის მართვის** დებულება, რომელიც დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და წარმოადგენს შრომის შინაგანაწესის დანართს. დებულების ფარგლებში განსაზღვრულია ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიკაციისა და გაცხადების პროცედურები. მიკრობანკი უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები თავისუფალნი იყვნენ ინტერესთა კონფლიქტისგან და მოქმედებდნენ მიკრობანკის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

მიკრობანკში დაუშვებელია დისკრიმინაცია და მისი ნებისმიერი ფორმა. იმის გათვალისწინებით, რომ სექსუალური შევიწროება წარმოადგენს დისკრიმინაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას და ქმნის სამართლებრივ, რეპუტაციულ და ოპერაციულ რისკებს, მიკრობანკში შემუშავებულია სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მართვის წესი. აღნიშნული წესი მიზნად ისახავს უსაფრთხო, ღირსეული და ინკლუზიური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ქცევის შესაბამისი სტანდარტების განსაზღვრას, დარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბებასა და თანამშრომელთა დაცვის უზრუნველყოფას.

ამასთან, მიკრობანკში დაუშვებელია კორუფციული ან არაკეთილსინდისიერი ქცევა, ფინანსური ბაზრის მანიპულაცია, კონფიდენციალური ინფორმაციის არასათანადო გამოყენება ან ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მიკრობანკის საქმიან რეპუტაციას, მომხმარებლებს ან სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსი ასევე არეგულირებს მომხმარებლებთან სამართლიანი და ობიექტური მოპყრობის, საჩუქრების მიღებისა და ინტერესთა კონფლიქტის მართვის, ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, უსაფრთხო სამუშაო გარემოს, დარღვევების მხილების, საჩივრების განხილვისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

ეთიკური ნორმების შესაძლო დარღვევების შესახებ შეტყობინებისთვის მიკრობანკში დანერგულია შესაბამისი მექანიზმები, მათ შორის, **Whistleblowing** არხი და თანამშრომელთა უფლებების მართვის პორტალი, რომელიც იძლევა განცხადების ან საჩივრის, მათ შორის, ანონიმურად წარდგენის შესაძლებლობას. ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება ტალანტების განვითარებისა და

მართვის დეპარტამენტისა და საოპერაციო რისკების მართვის განყოფილების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში (საოპერაციო რისკებზე დამატებითი ინფორმაცია მოცემულია #8.1 თავში).

მიკრობანკი უზრუნველყოფს ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსის ფარგლებში დაფიქსირებული ინციდენტების, დარღვევების, საჩივრებისა და გატარებული ზომების შესახებ შესაბამის ანგარიშგებას საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

## 4. რისკების მართვა

### 4.1 რისკების მართვის ჩარჩო

რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, კრისტალმა განავითარა, დანერგა და მუდმივად აუმჯობესებს რისკების მართვის ჩარჩოს იმისათვის, რომ რისკის მართვის პროცესები დანერგოს მიკრობანკის მთლიან მმართველობაში, სტრატეგიასა და დაგეგმარებაში, მართვაში, ანგარიშვალდებულების პროცესებში, პოლიტიკებში, ღირებულებებსა და კულტურაში.

რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში, მიკრობანკი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის რეგულაციებს, ISO სტანდარტებს, ბაზელის რეგულაციებსა და ეროვნული თუ საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოცემულ სხვა შესაბამის სტანდარტებს.

კრისტალის რისკების მართვის სისტემა აგებულია მიკრობანკის რისკების კულტურაზე, აპეტიტსა და რისკების მართვის ჩარჩოზე.

მიკრობანკის მენეჯმენტი თანამშრომელთა ჩართულობით ნერგავს კორპორატიულ კულტურას, რომელიც ეფუძნება რისკების მართვის მყარ სისტემას და უზრუნველყოფს პროფესიული და პასუხისმგებლიანი ქცევის მხარდაჭერას სათანადოდ დანერგილი სტანდარტებითა და სამოტივაციო სქემებით. პერსონალი ყველა დონეზე პასუხისმგებელია რისკების მართვასა და ესკალაციაზე. თანამშრომლებისგან მოითხოვება ისეთი ქცევა, რომელიც განამტკიცებს რისკების მართვის მხრივ არსებულ კულტურას და თანხვედრაში იქნება **ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსთან**.

**რისკის აპეტიტი** გამოხატავს რისკის იმ საერთო დონეს, რომლის აღებაც მისაღებია კრისტალისთვის მის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული ბიზნეს მიზნების მისაღწევად. რისკის აპეტიტი ბიზნეს დაგეგმარების პროცესის განუყოფელი ნაწილია.

რისკის ჩარჩო მოიცავს რისკის მართვის ორგანიზაციულ მოწყობას, პასუხისმგებლობებსა და ფუნქციებს, რისკის მართვის პროცესს, ინდივიდუალური რისკების მართვის პოლიტიკებს, რომლებიც რისკის მართვის ჩარჩოს განუყოფელი დოკუმენტებია.

რისკების მართვის ეფექტური ჩარჩოს არსებობა უზრუნველყოფს:

- მდგრადობის გაუმჯობესებას.
- მიზნების მიღწევის ალბათობის გაზრდას.

- პროაქტიული მმართველობის წახალისებას.
- გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვისთვის სანდო საფუძვლების შექმნას.
- შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებას.
- მარეგულირებლის მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- დაინტერესებული მხარეების ნდობის მოპოვებას.
- კონტროლის გაუმჯობესებას.
- რისკების სამართავად რესურსების ეფექტურად განაწილებასა და გამოყენებას.
- ოპერაციული ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.
- უსაფრთხოდ საქმიანობას, ასევე გარემოს დაცვას.
- დანაკარგების პრევენციასა და შემცირებას.
- ორგანიზაციული ცნობიერების დონის ამაღლებას.

კრისტალის რისკების მართვის მოდელი ემყარება **სამი დონის დაცვის პრინციპს**, რომლის ფარგლებშიც სამივე დონე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს:

- **პირველი დონე** - ბიზნეს ერთეული, ოპერაციული მენეჯმენტი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებში ზედმიწევნით დაიცვას პოლიტიკა-პროცედურები, უზრუნველყოს შემუშავებული კონტროლების შესაბამისი გამოყენება, განახორციელოს შესაძლო დამატებითი რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისად აცნობოს დაცვის მეორე დონეს. ბიზნეს ერთეულების თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში წამყვან როლს ასრულებენ სათანადო რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების პროცესში, არსებული პოლიტიკის, პროცედურებისა და კონტროლის მექანიზმების შესაბამისად.
- **მეორე დონე** - რისკის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რისკის მართვის სისტემის შემუშავებაზე და განახლებაზე, რისკის მართვის ინსტრუმენტების დანერგვაზე. აფასებენ არსებული კონტროლის მექანიზმების ხარისხსა და მათ შესაბამისობას მიკრობანკის რისკების აპეტიტთან.
- **დაცვის მესამე დონე** - დამოუკიდებელი შიდა აუდიტი, რომელიც გასცემს რწმუნებას მიკრობანკის რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტურობის შესახებ.

## რისკის აპეტიტის ჩარჩო

რისკის აპეტიტის ჩარჩო განსაზღვრავს მიკრობანკის ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიისთვის შესაბამისი მატერიალური რისკების მაჩვენებლების ლიმიტებისა და ადრეული ინდიკატორების (თრიგერების) ერთობლიობას.

მიკრობანკი რისკების მონიტორინგისთვის კიდევ უფრო მეტ საზომს იყენებს, ვიდრე მხოლოდ სებ-ის მოთხოვნები და არჩეულ ინდიკატორებს ნერგავს თავის ბიზნეს მოდელსა და რისკის პროფილში.

რისკის აპეტიტის ჩარჩო დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. რეალური შედეგებისა და რისკის აპეტიტის თრიგერებთან/ლიმიტებთან შედარების რეპორტი მზადდება კვარტალურად და წარდგენილია რისკების მართვის კომიტეტზე. რისკის აპეტიტის თრიგერების/ლიმიტების ნებისმიერი დარღვევა წარდგენილია რისკების მართვის კომიტეტზე გამოსასწორებელ გეგმასა და საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად.

რისკის აპეტიტით გაწერილი თრიგერებისა და ლიმიტების ზღვრები მჭიდრო კავშირშია სებ-ის მოთხოვნებთან, შიდა პოლიტიკებთან და ფინანსურ ქოვენანტებთან.

რისკის აპეტიტის საშუალებით ხორციელდება შემდეგ რისკების მონიტორინგი:

- საკრედიტო რისკი
- საოპერაციო რისკი
- ინფორმაციული უსაფრთხოება
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- კონტრაგენტის რისკი
- შესაბამისობის რისკი
- კაპიტალის ადეკვატურობა
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკები

გარდა ამისა, ლიკვიდურობის, სავალუტო, კონტრაგენტის, საპროცენტო განაკვეთის რისკებისა და კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება ყოველთვიურად ალკოზე და საჭიროების შემთხვევაში.

## 4.2 რისკების დირექტორატი

რისკების დირექტორატი წარმოდგენილია შემდეგი დეპარტამენტებით:

- **AML (ფულის გათეთრების აღკვეთა) და შესაბამისობის დეპარტამენტი**, რომლის მიზანია უზრუნველყოს მიკრობანკის დაცვა შესაბამისობისა და AML მიმართულებით არსებული თუ მოსალოდნელი რისკებისგან, რომლებიც წარმოიქმნება კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, დადგენილ სტანდარტებთან, პრაქტიკასთან ან ეთიკის ნორმებთან შეუსაბამობის შედეგად.

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია: ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავება, დანერგვა და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა.

- **ზოგადი რისკების დეპარტამენტი**, რომელიც საოპერაციო რისკების, ფინანსური რისკებისა და შიდა კონტროლის მართვის გამართული და ეფექტური სისტემის დანერგვით, ხელს უწყობს მაღალი რისკ-კულტურის დამკვიდრებას, მიკრობანკის ბიზნეს სტრატეგიის განხორციელებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია: საოპერაციო რისკების მართვის პროცესის სტანდარტიზაცია და ძირითადი პრინციპების განსაზღვრა; მიკრობანკის საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა საბანკო ზედამხედველობის შესახებ ბაზელის კომიტეტის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად; საოპერაციო რისკების მართვისა და ეფექტური კომუნიკაციის კორპორაციული კულტურის დანერგვის ხელშეწყობა; საოპერაციო რისკების მართვის პროცესების ინტეგრირება ყოველდღიურ საქმიანობაში და მათი დანერგვა მიკრობანკის მასშტაბით ყველა დონეზე; ფინანსური რისკების (საბაზრო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, კონტრაგენტის რისკი, ქოვენანტების მონიტორინგი და კაპიტალის ადეკვატურობა) მიმდინარე ანალიზი და რეგულარული შეფასება; ფინანსური რისკების შესახებ ანგარიშგება და მათი შედარება სტრატეგიულ მიზნებთან და რისკის პროფილთან; სესხების უზრუნველყოფის შეფასება; შიდა კონტროლის პროცესის სტანდარტიზაცია და ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, ჯანსაღი და გამართული შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს მიკრობანკის მიერ განსაზღვრული პოლიტიკისა და მიზნების სრულყოფილად შესრულებას, შესაბამისი

ლონისძიებების გატარება კონტროლის სისტემის მართვის, ქმედითობისა და ეფექტიანობის სისტემატური მონიტორინგისათვის.

- **საკრედიტო რისკების დეპარტამენტი**, რომლის მიზანია საკრედიტო რისკების მართვის გამართული და ეფექტიანი სისტემის დანერგვით ხელი შეუწყოს მიკრობანკის ბიზნეს სტრატეგიის განხორციელებას და უზრუნველყოს მიკრობანკის შესაბამისობა ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან.

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია: საკრედიტო რისკის დონის შენარჩუნება მიკრობანკის სტრატეგიისა და რისკების აპეტიტის შესაბამისად; საკრედიტო რისკების ანალიზი (ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება), ბაზარზე არსებული თანამედროვე მიდგომების შესწავლა და გაანალიზება, არსებულ სტატისტიკაზე დაყრდნობით საკრედიტო რისკის ანალიზის ფორმირება; საკრედიტო რისკის შეფასების სტრატეგიის შემუშავება და კონტროლი; პორტფელური რისკების ანალიზი და მართვა.

- **პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტი**, რომლის მიზანია მიკრობანკის პრობლემური სესხების პორტფელის მართვის მხარდაჭერა ვადაგადაცილებული სესხების ეფექტური მართვით, როგორც ვადაგადაცილების ადრეულ, ასევე ხანდაზმულ პერიოდში.

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია: ვადაგადაცილებული სესხების ამოღება და პრობლემური აქტივების, მათ შორის, დასაკუთრებული უძრავი ქონების მართვა; პრობლემურ სესხებზე გარე კომპანიებთან თანამშრომლობა; სასამართლო და სააღსრულებლო საქმისწარმოება.

ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების დეპარტამენტი ექვემდებარება გენერულ დირექტორს.

### 4.3 ძირითადი რისკები

რისკის მართვის ჩარჩოს ფარგლებში კრისტალი აიდენტიფიცირებს მიკრობანკის წინაშე არსებულ შემდეგ ძირითად რისკებს:

რისკის დასახელება	რისკის განმარტება
სტრატეგიული რისკი	რისკი დანაკარგისა, რასაც იწვევს მიკრობანკის მიერ სტრატეგიის სუსტი დაგეგმარება და ცუდად განხორციელება. მაგ.: არასწორი ბიზნეს გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების არასწორი შესრულება,

	რესურსების არასწორი გადანაწილება, გარემო ფაქტორებში მომხდარ ცვლილებებზე არასწორი რეაგირება.
<b>საკრედიტო რისკი</b>	საფრთხე იმისა, რომ მსესხებელმა ან კონტრაგენტმა შესაძლოა ვერ შეასრულოს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულება.
<b>საოპერაციო რისკი</b>	რისკი დანაკარგისა, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესების შედეგად, ასევე ადამიანებითა და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით. აღნიშნული განმარტება ასევე მოიცავს სამართლებრივ რისკს, მაგრამ არ განიხილავს სტრატეგიულ და რეპუტაციულ რისკებს.
<b>ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი</b>	ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან/და ხელმისაწვდომობის დარღვევით გამოწვეული რისკი.
<b>შესაბამისობის და AML რისკები</b>	შესაბამისობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის რისკები წარმოიქმნება მარეგულირებლის მიერ დადგენილ საკანონდებლო მოთხოვნებთან, კანონქვემდებარე აქტებთან შეუსაბამობის შედეგად, ასევე ზედამხედველის მხრიდან მითითების შეუსრულებლობისას.
<b>გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები</b>	მიკრობანკის ქმედებით არასასურველი ეკოლოგიური და სოციალური შედეგის გამოწვევის ალბათობა.
<b>ლიკვიდურობის რისკი</b>	რისკი, რომ შესაძლოა მიკრობანკმა ვერ შეძლოს დადგენილ ვადაში მიმდინარე და სამომავლო ვალდებულებების დაფარვა.
<b>დაფინანსების რისკი</b>	რისკი, რომ მიკრობანკმა ვერ შეძლოს დაფინანსების მოპოვება, ძირითადად, გრძელვადიანის.
<b>სავალუტო რისკი</b>	ვალუტის გაცვლითი კურსის შედეგად მოსალოდნელი ზარალის ალბათობა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მიკრობანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობით სხვადასხვა ვალუტაში.
<b>საპროცენტო განაკვეთის რისკი</b>	პოტენციური ზარალი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილების შედეგად, როცა არსებობს სტრუქტურული სხვაობები

	საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძობიარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის (ვადიანობა/საპროცენტო ტიპი/ვალუტა) განაკვეთის
<b>კონტრაგენტის რისკი</b>	კონტრაგენტის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობიდან გამომდინარე განთავსებული თანხის დაკარგვის რისკი (არასაკრედიტო კონტრაგენტი).
<b>კაპიტალის ადეკვატურობის რისკი</b>	რისკი, რომ მიკრობანკმა ვერ შეძლოს მოსალოდნელი ზარალის დაფარვა რისკით შეწონილი აქტივების გაუფასურების შედეგად.
<b>რეპუტაციული რისკი</b>	საფრთხე, რომელიც შეიძლება შეექმნას მიკრობანკის იმიჯს დაინტერესებულ მხარეთა თვალში; რეპუტაციული რისკის წყარო შეიძლება იყოს მიკრობანკის საქმიანობა, თანამშრომლები ან მასთან დაკავშირებული კონტრაგენტები.
<b>მოდელის რისკი</b>	დანაკარგების (ფინანსური, რეპუტაციული, სტრატეგიული და სხვ.) მიღების რისკი მოდელის არასწორი ფორმულირების, იმპლემენტაციის, გამოყენების, კალიბრაციის, კოდირებისა ან/და მონაცემების გამოყენების შედეგად.

სებ-ის ბრძანების მიხედვით, ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემები უფრო მეტად კონცენტრირებულია საკრედიტო, საბაზრო, კონტრაგენტის, საოპერაციო რისკებსა და კაპიტალის ადეკვატურობაზე, თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი რისკები ასევე დაფარულია რისკის აპეტიტით, ლიკვიდურობის ადეკვატურობის შიდა შეფასებისა (ILAAP) და კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესებით (ICAAP).

## 5. კაპიტალის ადეკვატურობა

### 5.1 კაპიტალის მართვა

კრისტალი კაპიტალის მართვის პრინციპებს განსაზღვრავს **კაპიტალის ადეკვატურობის პოლიტიკის** მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის ადეკვატური დონისა და ოდენობის მიმართ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მიკრობანკის დაცვას ზარალისა და გადახდისუნარობისგან. პოლიტიკა შემუშავებულია სებ-ისა და შიდა მოთხოვნების დაცვით.

პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგ პრინციპებს:

- კაპიტალის ადეკვატურობისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
- რისკების მართვა;
- სტრატეგიული გეგმების უზრუნველყოფა.

სებ-ის მიერ დაწესებული მინიმალური მოთხოვნები გათვალისწინებულია რისკის აპეტიტში შიდა ბუფერების დამატებით.

მიკრობანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები და მათი დაცვა რეგულირდება სებ-ის N111/04 ბრძანების “მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების” მიხედვით. აღნიშნული დებულებით დადგენილი მოთხოვნები ეფუძნება სამ “პილარს”, როგორც ეს განსაზღვრულია “საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის” კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოში, CRR რეგულაციითა და 2013/36/EU დირექტივით (Capital Requirements Directive - CRD IV).

გარდა საზედამხებლო მოთხოვნებისა, საკრედიტო, საბაზრო, კონტრაგენტისა და საოპერაციო რისკები გაითვალისწინება კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის (ICAAP) მოდელში. ICAAP განსაზღვრავს სტანდარტული და სტრეს სცენარების დაშვებებს აღნიშნული რისკებისთვის, უდარებს შედეგებს კაპიტალსა და რისკის დასაფარად ხელმისაწვდომ რესურსებს და აღნიშნული რისკებისათვის ადგენს მინიმალურ შიდა მოთხოვნებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს გრძელვადიანი სტაბილურობა. ICAAP-ის თრიგერები და ლიმიტები რისკის აპეტიტის ნაწილია და მონიტორინგდება ყოველთვიურად ალკოზე.

მიკრობანკის კაპიტალის ადეკვატურობა განისაზღვრება მისი **საზედამხებლო კაპიტალით**, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისგან:

- 1) **პირველადი კაპიტალი**, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისგან:
  - ძირითადი პირველადი კაპიტალი; და

- დამატებითი პირველადი კაპიტალი;
- 2) მეორადი კაპიტალი.

## 5.2 კაპიტალის მოთხოვნები

ძირითადი პირველადი, პირველადი და საზედამხებველო კაპიტალის შეფარდებით რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან მიკრობანკს განესაზღვრება მინიმალური მოთხოვნები. კაპიტალის მიზნებისთვის შეწონილი რისკის პოზიციები აღწერილია #5.4 ქვეთავში.

კაპიტალის კოეფიციენტების დათვლისთვის მიკრობანკი იყენებს ფასს-ის მიხედვით გაანგარიშებულ რიცხვებს.

სებ-ის N111/04 ბრძანების მიხედვით კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები რეგულირდება **პილარ 1-ის, კომბინირებული და პილარ 2-ის ბუფერების** საშუალებით.

### პილარ 1-ის ბუფერები

პილარ 1-ის ფარგლებში მიკრობანკი ვალდებულია გააჩნდეს საზედამხებველო კაპიტალის ის ოდენობა, რომელიც ყოველთვის მეტია ან ტოლი შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებზე:

- ძირითადი პირველადი კაპიტალი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 4.5%;
- პირველადი კაპიტალი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 6.0%;
- საზედამხებველო კაპიტალი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 8.0%.

### კომბინირებული ბუფერი

კომბინირებული ბუფერი შედგება კონსერვაციისა და კონტრციკლური ბუფერების ჯამისგან.

მიკრობანკი ვალდებულია კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა უზრუნველყოს ძირითადი პირველადი კაპიტალით.

**კონსერვაციის** ბუფერი არის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5% და მისი მიზანია მინიმალურ მოთხოვნებთან ახლოს ფუნქციონირების თავიდან არიდება.

**კონტრციკლური** ბუფერი დგინდება რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 0%-2.5%-მდე შუალედში და გადაიხდება ყოველკვარტალურად სებ-ის მიერ. მისი მიზანია სტრესული პერიოდებისთვის კაპიტალის ბუფერების დაგროვება. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონტრციკლური ბუფერი შეადგენს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 0.50%-ს და ყოველი წლის მარტში გაიზრდება 0.25 პროცენტული პუნქტით 2027 წლის მარტამდე, როცა მიაღწევს 1%-ს.

## პილარ 2-ის ბუფერები

პილარ 2-ის ბუფერები შედგება წმინდა GRAPE (General Risk Assessment Process) ბუფერისა და საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერებისგან. პილარ 2-ის ბუფერების მოთხოვნა ფარავს იმ რისკებს, რომლებიც არა არის საკმარისად დაფარული პილარ 1-ით.

მიკრობანკი ვალდებულია CRA ბუფერის მოთხოვნა უზრუნველყოს ძირითადი პირველადი კაპიტალით. მისი მიზანია აქტივებისთვის შექმნილი არასაკმარისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით გამოწვეული საკრედიტო რისკის შემცირება.

წმინდა GRAPE ბუფერი არის ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) რისკის კატეგორიების შეფასებისა და მიკრობანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი. წმინდა GRAPE ბუფერის დაწესების მიზანია კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა GRAPE-ის ფარგლებში იდენტიფიცირებული იმ რისკებისათვის, რომლებსაც არ მოიცავს ან არასათანადოდ ასახავს პილარ 2-ის კაპიტალის ბუფერები.

წმინდა GRAPE ბუფერის მოთხოვნა კაპიტალის მოთხოვნებში ნაწილდება პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნების პროპორციულად. შესაბამისად, მიკრობანკი ვალდებულია დაიცვას წმინდა GRAPE ბუფერის მოთხოვნები შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალი - წმინდა GRAPE ბუფერის 56%;
- პირველადი კაპიტალი - წმინდა GRAPE ბუფერის 75%;
- საზედამხედველო კაპიტალი - წმინდა GRAPE ბუფერის 100%.

კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები			
	მინიმალური მოთხოვნები	კოეფიციენტი	თანხა (ლარი)
<b>1</b>	<b>პილარ 1-ის მოთხოვნები</b>		
1.1	ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	4.50%	29,613,030
1.2	პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	6.00%	39,484,040
1.3	საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	8.00%	52,645,387
<b>2</b>	<b>კომბინირებული ბუფერი</b>		
2.1	კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	2.50%	16,451,683
2.2	კონტრციკლური ბუფერი	0.50%	3,290,337
<b>3</b>	<b>პილარ 2-ის მოთხოვნა</b>		
3.1	პილარ 2-ის მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე	3.21%	21,155,780
3.2	პილარ 2-ის მოთხოვნა პირველად კაპიტალზე	3.82%	25,156,829
3.3	პილარ 2-ის მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე	4.62%	30,421,368
	<b>ჯამური მოთხოვნები</b>	<b>კოეფიციენტი</b>	<b>თანხა (ლარი)</b>
<b>4</b>	ძირითადი პირველადი კაპიტალი	10.71%	70,510,830
<b>5</b>	პირველადი კაპიტალი	12.82%	84,382,889
<b>6</b>	საზედამხედველო კაპიტალი	15.62%	102,808,774

### 5.3 საზედამხედველო კაპიტალი

ძირითადი პირველადი კაპიტალი არის უმაღლესი ხარისხის საზედამხედველო კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს ზარალების წარმოქმნისთანავე დაფარვის უმთავრეს წყაროს. ეს არის კაპიტალი, რომლითაც ზარალების გადაფარვის შემდეგ მიკრობანკი გააგრძელებს ფუნქციონირებას შეფერხების გარეშე.

მეორადი კაპიტალი არის სალიკვიდაციო კაპიტალი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიკრობანკის ზარალის დაფარვა დეპოზიტორებამდე და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებამდე ლიკვიდაციისას და/ან მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების დროს.

კრისტალისთვის ძირითადი პირველადი კაპიტალის მთავარი წყაროებია ჩვეულებრივი აქციები და გაუნაწილებელი მოგება, რომელიც შემდგომ შემცირებულია საზედამხედველო კორექტირებებით (არამატერიალური აქტივები და ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში).

მეორადი კაპიტალის მთავარ წყაროს წარმოადგენს სუბორდინირებული სესხები, რომლებიც სრულად გაითვალისწინება მეორად კაპიტალში მაშინ, როდესაც ინსტრუმენტის ნარჩენი ვადიანობა აღემატება 5 წელს. დარჩენილ პერიოდში მისი აღიარება საზედამხედველო კაპიტალში ხდება ამორტიზებული ღირებულებით წრფივად.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კრისტალის სუბორდინირებული სესხების საშუალო შეწონილი ნარჩენი ვადიანობა არის 4 წელი და მთლიანი სუბორდინირებული სესხების 67% გაითვალისწინება მეორად კაპიტალში.

საზედამხედველო კაპიტალი	ლარი
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე</b>	<b>106,672,394</b>
ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	3,634,576
დამატებითი სახსრები ჩვეულებრივ აქციებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	22,109,970
აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი	-
სხვა რეზერვები	-
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	80,927,848
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები</b>	<b>8,120,997</b>
აქტივების გადაფასების რეზერვი	-
მოგებასა და ზარალში აქტივების არარეალიზებული გადაფასების შედეგად მიღებული აკუმულირებული მოგების ის ნაწილი, რომელიც აღემატება მოგებასა და ზარალში არარეალიზებული გადაფასების შედეგად ასახულ აკუმულირებულ ზარალს	-
არამატერიალური აქტივები	7,511,206
აქტივების კლასიფიკაციის შედეგად მიღებული რეზერვების უკმარისობა	-
ინვესტიციები საკუთარ აქციებში	-
მიკრობანკების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების კაპიტალში ორმხრივი მფლობელობა	-
ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებზეც არ ვრცელდება ზღვრული დაქვითვის მეთოდი (დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების გამოკლებით)	-
ინვესტიციები მიკრობანკების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებში (რომლებიც არაა ჩვეულებრივი აქციები)	-
აქციების ფლობა და სხვა სახით 10%-ზე მეტი წილის ფლობა კომერციული დაწესებულებების სააქციო კაპიტალში	609,791
სხვა დაქვითვები	-
დროებითი სხვაობებით წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივები (ნაწილი, რომელიც აღემატება 10%-იან ზღვარს, დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების გამოკლებით)	-
ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო დაქვითვები, რომლებიც გამოწვეულია დამატებითი პირველადი კაპიტალისა და მეორადი კაპიტალის უკმარისობით ინვესტიციების დაქვითვისათვის	-
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი</b>	<b>98,551,398</b>
<b>დამატებითი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებებამდე</b>	<b>-</b>
ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
მათ შორის, კლასიფიცირებული კაპიტალად შესაბამისი ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტებით	-
მათ შორის, კლასიფიცირებული ვალდებულებად შესაბამისი ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტებით	-
დამატებითი სახსრები ინსტრუმენტებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
<b>დამატებითი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები</b>	<b>-</b>
ინვესტიციები საკუთარ აქციებში, რომლებიც აკმაყოფილებენ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებში ჯვარედინი მფლობელობა	-
ინვესტიციები მიკრობანკების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებში (რომლებიც არაა ჩვეულებრივი აქციები)	-
დამატებითი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო დაქვითვები, რომლებიც გამოწვეულია მეორადი კაპიტალის უკმარისობით ინვესტიციების დაქვითვისათვის	-
<b>დამატებითი პირველადი კაპიტალი</b>	<b>-</b>
<b>მეორადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებებამდე</b>	<b>27,051,876</b>

ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	27,051,876
დამატებითი სახსრები ინსტრუმენტებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
ზოგადი რეზერვები საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების მაქსიმუმ 1.25%-ის ოდენობით	-
<b>მეორადი კაპიტალის საზედამხებელო კორექტირებები</b>	<b>-</b>
ინვესტიციები საკუთარ აქციებში, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებში ორმხრივი მფლობელობა	-
ინვესტიციები მიკრობანკების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებში (რომლებიც არაა ჩვეულებრივი აქციები)	-
<b>მეორადი კაპიტალი</b>	<b>27,051,876</b>

#### 5.4 რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები

რისკის პოზიციების (აქტივების) სახეობებისა და შესაბამისი წონების განსაზღვრა რეგულირდება სებ-ის N111/04 ბრძანების “მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების” მიხედვით.

აღიშნული დებულების მიხედვით კრისტალს დანერგილი აქვს „**რისკის პოზიციების იდენტიფიცირებისა და კლასიფიცირების პოლიტიკა**“.

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები მოიცავს საკრედიტო (საბალანსო, გარეაბალანსური და კონტრაგენტის რისკები), საბაზრო და საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს.

კრისტალი არ იყენებს სებ-ის ნებადართულ საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმებს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შესამცირებლად.

ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე კრისტალისთვის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებში ყველაზე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს, უფრო ზუსტად, კი საბალანსო ელემენტებს, რომლის მთავარი ნაწილი საკრედიტო პორტფელია. შემდეგ ადგილზეა საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები.

N	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ლარებით)	4Q-2025	3Q-2025	2Q-2025	თავი
1	<b>საკრედიტო</b> რისკი მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	475,908,069	468,606,209	470,563,129	
1.1	<b>საბალანსო</b> ელემენტები	471,190,481	460,539,016	461,008,125	#6.3
1.1.1	მათ შორის: ზღვრული დაქვითვის მეთოდს დაქვემდებარებული რისკის პოზიციები, რომლებიც არ იქვითება კაპიტალიდან (რომლებიც იწონება 250%-ში)	394,866	1,366,380	1,366,380	
1.2	<b>გარესაბალანსო</b> ელემენტები	610,070	589,013	581,639	#6.3
1.3	<b>კონტრაგენტთან</b> დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	4,107,518	7,478,180	8,973,364	#6.2
2	<b>საბაზრო</b> რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	2,260,967	2,753,339	4,930,303	#7.1
3	<b>საოპერაციო</b> რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	179,898,297	151,556,554	151,556,554	#8.2
4	<b>სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</b>	<b>658,067,333</b>	<b>622,916,102</b>	<b>627,049,985</b>	

## 5.5 ლევერიჯის კოეფიციენტი

მიკრობანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნები რეგულირდება სებ-ის N109/04 ბრძანების “მიკრობანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულების” მიხედვით. აღნიშნული დებულებით დადგენილი მოთხოვნები ეფუძნება “საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის” ჩარჩოს.

ლევერიჯის კოეფიციენტი გამოიყენება რისკებზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შემავსებლად.

მისი მიზანია საბანკო სექტორში ჭარბი ლევერიჯის დაგროვების თავიდან არიდება.

ლევერიჯის კოეფიციენტი გამოითვლება პირველადი კაპიტალის შეფარდებით მთლიან საბალანსო და გარებალანსურ რისკის პოზიციებთან. სებ-ის მოთხოვნებით კოეფიციენტი უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნა გათვალისწინებულია რისკის აპეტიტში შიდა ბუფერის დამატებით.

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, მიკრობანკი აკმაყოფილებდა სებ-ის მოთხოვნებს ლევერიჯის კოეფიციენტზე.

ლევერიჯის კოეფიციენტი		
	<b>საბალანსო ელემენტები</b>	
1	საბალანსო ელემენტები	670,489,860
2	(პირველადი კაპიტალიდან დაქვითული ელემენტები)	(8,120,997)
<b>3</b>	<b>სულ საბალანსო ელემენტები</b>	<b>662,368,864</b>
	<b>წარმოებული ინსტრუმენტები</b>	
4	წარმოებული ინსტრუმენტები ჩანაცვლების ღირებულება	390,257
5	მოსალოდნელი საკრედიტო რისკის პოზიციები	2,614,091
6	კონტრაქტის საკრედიტო რისკის დებულებით განსაზღვრული რისკის პოზიციები	4,206,087
7	წარმოებული ინსტრუმენტების სანაცვლოდ მიღებული უზრუნველყოფების ღირებულება	-
<b>8</b>	<b>სულ წარმოებული ინსტრუმენტები</b>	<b>4,206,087</b>
	<b>ფასიანი ქაღალდებით დაფინანსებული ტრანზაქციები</b>	
9	ფასიანი ქაღალდებით დაფინანსებული ტრანზაქციების მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება	-
10	(მისაღები და გადასახდელი თანხების ურთიერთგაქვითვა)	-
11	კონტრაქტის საკრედიტო რისკთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულება	-
12	განსხვავებული მიდგომა კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ ფასიანი ქაღალდებით დაფინანსებული ტრანზაქციებისთვის	-
13	საშუამავლო ტრანზაქციები	-
14	(საშუამავლო ტრანზაქციების დაქვითვები)	-
<b>15</b>	<b>სულ ფასიანი ქაღალდებით დაფინანსებული ტრანზაქციები</b>	<b>-</b>
	<b>გარესაბალანსო რისკის პოზიციები</b>	
16	გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება	2,435,484
17	(გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი)	(1,825,414)
<b>18</b>	<b>სულ გარესაბალანსო ელემენტები</b>	<b>610,070</b>
	<b>საბალანსო და გარესაბალანსო ელემენტების ნებადართული დაქვითვები</b>	
19	(შიდაჯგუფური რისკის პოზიციების დაქვითვა)	-
20	(საჯარო დაწესებულებების მიმართ არსებული რისკის პოზიციების დაქვითვა)	-
	<b>კაპიტალი და მთლიანი რისკის პოზიციები</b>	
<b>21</b>	<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>98,551,398</b>
<b>22</b>	<b>მთლიანი რისკის პოზიციები ლევერიჯის კოეფიციენტის მიზნებისთვის</b>	<b>667,185,021</b>
<b>23</b>	<b>ლევერიჯის კოეფიციენტი</b>	<b>14.77%</b>
	<b>გარდამავალი მიდგომები და აუღიარებელი ფიდუციარული აქტივები</b>	
EU-23	გარდამავალი მიდგომები კაპიტალის განსაზღვრისთვის	-
EU-24	ფიდუციარული აქტივების მოცულობა რომლებიც აკლდება მთლიან რისკის პოზიციებს	-

## 6. საკრედიტო რისკი

### 6.1 საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ მსესხებელი, ლიზინგის მიმღები ან სხვა საკონტრაქტო კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კრისტალს შეიძლება წარმოექმნას ფინანსური დანაკარგი. კრისტალის ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკი წარმოადგენს მიკრობანკის ერთ-ერთ ყველაზე მატერიალურ რისკს.

კრისტალი ემსახურება მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებს, აგრო მიმართულებას, საოჯახო მეურნეობებს, დასაქმებულ და თვითდასაქმებულ ფიზიკურ პირებს, ასევე სალიზინგო პროდუქტების მომხმარებლებს. აღნიშნული სეგმენტები საჭიროებენ მაღალი ხარისხის საკრედიტო ანალიზს, მსესხებლის გადახდისუნარიანობის რეალისტურ შეფასებას, პორტფელის მუდმივ მონიტორინგსა და ადრეული რეაგირების მექანიზმებს.

კრისტალი საკრედიტო რისკს განიხილავს, როგორც ორ ძირითად განზომილებას:

- **ინდივიდუალური ტრანზაქციის რისკი** – დაკავშირებულია კონკრეტული მსესხებლის/ლიზინგის მიმღების ფინანსურ მდგომარეობასთან, გადახდისუნარიანობასთან, საკრედიტო ისტორიასთან, უზრუნველყოფასა და გარიგების სტრუქტურასთან;
- **პორტფელის/კონცენტრაციის რისკი** – დაკავშირებულია პორტფელში ერთგვაროვანი მახასიათებლების, სეგმენტების, პროდუქტების, გეოგრაფიის, საკრედიტო ხარისხის ან სხვა რისკ-ფაქტორების კონცენტრაციასთან.

### მიზანი და პრინციპები

კრისტალის საკრედიტო რისკის მართვის მიზანია უზრუნველყოს პორტფელის მდგრადი ზრდა, საკრედიტო დანაკარგების დროული იდენტიფიკაცია, პორტფელის ხარისხის კონტროლი და რისკის დონის შენარჩუნება მიკრობანკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ფარგლებში.

საკრედიტო რისკის მართვა ეფუძნება შემდეგ **პრინციპებს**:

- პასუხისმგებლიანი დაკრედიტება – სესხი/ლიზინგი უნდა გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ან ლიზინგის მიმღების გადახდისუნარიანობა დასაბუთებულია და ვალდებულების

მომსახურება არ იწვევს ჭარბვალუიანობას. გამონაკლისი არის აქტივზე/უზრუნველყოფაზე დაფუძნებული დაკრედიტება.

- დამოუკიდებელი რისკის შეფასება – საკრედიტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილია რისკების ფუნქციის მონაწილეობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც გარიგების მოცულობა, სირთულე ან რისკის პროფილი მოითხოვს დამატებით ანალიზს.
- რისკზე დაფუძნებული მიდგომა – კლიენტის შეფასება მოიცავს გარე საკრედიტო ბიუროს მონაცემებს, შიდა ქულას/რეიტინგს, შემოსავლების ხარისხს, საკრედიტო ისტორიას, უზრუნველყოფას, გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებს და სხვა რელევანტურ ფაქტორებს.
- ლიმიტებისა და კონცენტრაციების კონტროლი – პორტფელის სტრუქტურა და საკრედიტო ზრდა იმართება რისკის აპეტიტითა და საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში.
- ადრეული რეაგირება – პორტფელის ხარისხის გაუარესების ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, კრისტალი იყენებს პრევენციულ ზომებს, მათ შორის, საკრედიტო არხების, ფილიალების, პროდუქტების ან კონკრეტული თანამშრომლების დონეზე შეზღუდვებს.
- გამონაკლისების კონტროლი – საკრედიტო პოლიტიკიდან გამონაკლისები უნდა იყოს დოკუმენტირებული, იდენტიფიცირებადი და პერიოდული მონიტორინგის საგანი.
- მონაცემებზე დაფუძნებული მართვა – საკრედიტო რისკის მართვა ეყრდნობა პორტფელის ანალიტიკას, ქცევით მონაცემებს, ადრეულ ინდიკატორებს, IFRS 9/ECL მოდელს.

## პასუხისმგებლობები

კრისტალი საკრედიტო რისკების მართვისას ეყრდნობა **სამი დონის დაცვის** პრინციპს, რაც უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიკაციის, შეფასების, კონტროლისა და დამოუკიდებელი ზედამხედველობის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნას.

**დაცვის პირველი დონე** – კომერციული მიმართულება. კომერციული სტრუქტურული ერთეულები პასუხისმგებელნი არიან კლიენტთან პირველადი ურთიერთობის მართვაზე, სესხის/ლიზინგის განაცხადის მიღებაზე, პირველადი ინფორმაციის შეგროვებაზე, ფინანსური ანალიზის ჩატარებაზე, კლიენტისა და ტრანზაქციის ძირითადი რისკების იდენტიფიკაციასა და განაცხადის საკრედიტო კომიტეტზე განსახილველად მომზადებაზე. პირველი ხაზი ასევე პასუხისმგებელია საკრედიტო

პოლიტიკის მოთხოვნების დაცვაზე, კლიენტის საქმიანობისა და შემოსავლების რეალისტურ შეფასებასა და საკრედიტო გადაწყვეტილებისთვის საჭირო ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენაზე.

**დაცვის მეორე დონე** – რისკების მართვის სტრუქტურული ერთეულები. მეორე ხაზი მოიცავს რისკების დირექტორატსა და საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ საკრედიტო რისკის მართვის ჩარჩოს, პოლიტიკების, მეთოდოლოგიების, ლიმიტებისა და კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და მონიტორინგს. მეორე ხაზი მონაწილეობს ინდივიდუალური საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღებაში დადგენილი ლიმიტებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, აკონტროლებს პორტფელის ხარისხს, ახორციელებს ადრეული გამაფრთხილებელი ინდიკატორების მონიტორინგს, ამზადებს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მენეჯმენტისა და შესაბამისი კომიტეტებისთვის ანგარიშგებას.

**დაცვის მესამე ხაზი** – შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი დამოუკიდებლად აფასებს საკრედიტო რისკების მართვის ჩარჩოს, შიდა კონტროლების, პოლიტიკებისა და პროცესების ეფექტიანობას. მესამე ხაზი ამოწმებს, რამდენად სათანადოდ არის დანერგილი საკრედიტო რისკების მართვის პროცედურები და რამდენად ეფექტიანად მუშაობს პირველი და მეორე ხაზის კონტროლები.

**საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი** წარმოადგენს რისკების დირექტორის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულს და მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

- ანდერრაიტინგის განყოფილება;
- პორტფელური რისკების განყოფილება.

საკრედიტო რისკები შედის **რისკის აპეტიტშიც**, რომელიც აწესებს შიდა თრიგერებსა და ლიმიტებს. აღნიშნული ჩარჩო წარმოადგენს საკრედიტო რისკების მართვის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს და გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების, რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრის პროცესში. რისკის აპეტიტი მოიცავს შიდა ინდიკატორებს, მაგალითად, ისეთი, როგორცაა რისკის ხარჯის შეფარდება მთლიან პორტფელთან, პორტფელის ხარისხობრივი ინდიკატორები, ჩამოწერისა და რესტრუქტურისაციის მაჩვენებლები, პორტფელის კონცენტრაციის ლიმიტები.

ყოველთვიურად საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი ამზადებს ჩამოთვლილ ინდიკატორებზე ანგარიშგებას და ტენდენციების ანალიზს

შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად, რომელიც წარედგინება **პორტფელის რისკების მართვის კომიტეტს**, ხოლო კვარტალურად რისკების მართვის კომიტეტს.

### **საგადასხადველო მოთხოვნები**

სებ-ის N117/04 ბრძანების „მიკრობანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ“ მიხედვით, მიკრობანკებისთვის ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 მილიონ ლარს. ასევე, ყველა მსხვილი რისკის პოზიციების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მიკრობანკის პირველადი კაპიტალის 100%-ს.

მსხვილი რისკის პოზიცია ნიშნავს მიკრობანკის რისკის პოზიციას ერთი პირის ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის მიმართ, რომლის ოდენობა უდრის ან აღემატება 500,000 ლარს.

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, მიკრობანკი აკმაყოფილებდა მსხვილი რისკების პოზიციისთვის სებ-ის მიერ დადგენილ ზემოთ აღნიშნულ ლიმიტებს. აღნიშნული მოთხოვნა ფასდება ჯამურად სხვა რისკის პოზიციების გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკებთანაც და აღწერილია #6.2 თავში.

საკრედიტო პორტფელთან დაკავშირებული კაპიტალის მოთხოვნები აღწერილია #6.3 თავში.

### **პოლიტიკა**

კრისტალის **საკრედიტო პოლიტიკა** წარმოადგენს საკრედიტო და სალიზინგო საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს. პოლიტიკა განსაზღვრავს საკრედიტო საქმიანობის მიზნებს, სტრატეგიას, პრიორიტეტებს, საკრედიტო რისკის მართვის სტანდარტებს, ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს.

საკრედიტო პოლიტიკა მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც სავალდებულოა საკრედიტო საქმიანობაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულისა და თანამშრომლისთვის. პოლიტიკა ასევე წარმოადგენს ჩარჩოს სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტებისთვის.

საკრედიტო პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა:

- მიზნობრივი მომხმარებელთა ჯგუფების განსაზღვრას;
- შესაბამისობის კრიტერიუმებსა და დაფინანსების არეალს;
- დაკრედიტების ლიმიტებსა და ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფს;
- ეკოლოგიური და სოციალური რისკების იდენტიფიკაციას;
- პროდუქტის მახასიათებლებს, ვადიანობას, ვალუტას, საპროცენტო განაკვეთსა და საკომისიოებს;
- საკრედიტო რისკის შეფასების ინსტრუმენტებს;
- საკრედიტო კომიტეტისა და დამტკიცების ლიმიტებს;
- პრობლემური სესხების, რესტრუქტურირებისა და ჩამოწერის წესებს;
- საკრედიტო კონტროლსა და მონიტორინგს;
- საკრედიტო დანაკარგის დარეზერვებას.

## გადაწყვეტილების დამუშავებისა და მიღების პროცესი

აღნიშნულ პოლიტიკასთან ერთად, მიკრობანკში დანერგილია დამატებითი შიდა წესები, პროცედურები და ინსტრუქციები, რომლებიც არეგულირებენ კონკრეტულ პროცესებს და უზრუნველყოფენ საკრედიტო რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტურ განხორციელებას პრაქტიკაში.

კრისტალში საკრედიტო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საკრედიტო პოლიტიკის, საკრედიტო კომიტეტის დონეებისა და ინდივიდუალური ლიმიტების მატრიცების შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღების არხები და უფლებამოსილებები დამოკიდებულია პროდუქტის ტიპზე, თანხის მოცულობაზე, საკრედიტო რისკის პროფილსა და განაცხადის დამუშავების არხზე.

საკრედიტო განაცხადები შეიძლება დამუშავდეს სხვადასხვა არხებით, რომელიც მოიცავს სასესხო განაცხადის ავტომატიზებული დამტკიცების პროცესსაც. ავტომატური გადაწყვეტილებები გამოიყენება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული პირობებისა და ლიმიტების ფარგლებში.

## საკრედიტო რისკის შეფასების ინსტრუმენტები

კრისტალი მიკრო სესხების ნაწილში იყენებს სქორინგ მოდელსა და ავტომატური გადაწყვეტილების სისტემას, რაც საშუალებას იძლევა სტანდარტიზებული, სწრაფი და მონაცემებზე დაფუძნებული შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში. ავტომატური გადაწყვეტილების სისტემა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც განაცხადი აკმაყოფილებს დადგენილ

პარამეტრებს, ლიმიტებსა და საკრედიტო პოლიტიკის მოთხოვნებს. უფრო მაღალი რისკის, მაღალი მოცულობის ან არასტანდარტული განაცხადები ექვემდებარება დამატებით ანდერრაიტინგის განხილვას.

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს. ინდივიდუალური განაცხადის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

- გარე საკრედიტო ბიუროს ქულა და საკრედიტო ისტორია;
- შიდა ქულა/რეიტინგი/რისკ კლასი;
- მსესხებლის შემოსავლების სტრუქტურა და მდგრადობა;
- PTI (payment to income) ან DSCR (debt service coverage ratio) კოეფიციენტები, მსესხებლის ტიპისა და პროდუქტის შესაბამისად;
- უზრუნველყოფის ხარისხი, საბაზრო ღირებულება და LTV (loan to value);
- კლიენტის გამოცდილება, საქმიანობის სტაბილურობა და ბიზნესის ფორმალიზაციის დონე;
- გადახდის ქცევა და პარალელური ვალდებულებები;
- პროდუქტთან, მიზნობრიობასთან, ვალუტასთან და ვადიანობასთან დაკავშირებული რისკები;
- ეკოლოგიური და სოციალური რისკების სკრინინგი, საჭიროების შემთხვევაში.

საკრედიტო პოლიტიკა მოითხოვს, რომ ყველა კლიენტის შეფასება განხორციელდეს და შეფასების შედეგები შეინახოს მონაცემთა ბაზაში.

### **პორტფელის მონიტორინგი და ადრეული რეაგირების მექანიზმები**

პორტფელის მონიტორინგი საკრედიტო რისკის მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. კრისტალი აკონტროლებს პორტფელის ხარისხს როგორც მთლიანი პორტფელის, ისე პროდუქტის, სეგმენტის, ფილიალის, რეგიონის, საკრედიტო არხის, საკრედიტო ოფიცრის და საკრედიტო გადაწყვეტილების ტიპის დონეზე.

ძირითადი მონიტორინგის მაჩვენებლებია:

- PAR30 / PAR90 - portfolio at risk;
- NPL / GLP (non-performing loans/gross loan portfolio);
- Stage 2 და Stage 3 პორტფელის წილი;
- რესტრუქტურირებული პორტფელის მოცულობა და ხარისხი;
- ჩამოწერები და ჩამოწერის მაჩვენებელი;

- საკრედიტო რისკის ხარჯი;
- ECL / GLP და NPL Coverage (expected credit losses/ gross loan portfolio);
- ახალი გაცემების ხარისხი;
- FPD/SPD (First Payment Default and Second Payment Default) და ადრეული ვადაგადაცილების მაჩვენებლები;
- საკრედიტო პოლიტიკიდან გამონაკლისები;
- საკრედიტო ბიუროს ქულების განაწილება;
- მაღალი რისკის პროდუქტებისა და ფილიალების კონტროლი.

2025 წელს საკრედიტო რისკების მართვის მიდგომა უფრო პროაქტიული გახდა. რისკების მართვის ფუნქცია არა მხოლოდ რეაგირებს უკვე მატერიალიზებულ პრობლემებზე, არამედ იყენებს ადრეულ სიგნალებს, რათა დროულად შეიზღუდოს ან შეიცვალოს მაღალი რისკის პრაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შეიზღუდოს ავტომატური დამტკიცება კონკრეტული თანამშრომლის, ფილიალის, პროდუქტის ან არხის დონეზე; განისაზღვროს გამოსწორების კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმები; დაიგეგმოს დამატებითი ტრენინგი, სავლევ ვიზიტი ან ერთობლივი სამუშაო შეხვედრები ბიზნესთან და ანდერრაიტინგთან.

## საკრედიტო რისკის მიტიგაცია

კრისტალი საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის იყენებს როგორც წინასწარ კონტროლებს, ისე პორტფელის შემდგომ მონიტორინგს. მიტიგაციის ძირითადი მექანიზმებია:

- ცენტრალიზებული ანდერრაიტინგი;
- საკრედიტო კომიტეტის დონეები და უფლებამოსილების ლიმიტები;
- საკრედიტო პოლიტიკის მოთხოვნები;
- საკრედიტო ბიუროს და შიდა რეიტინგების გამოყენება;
- გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები;
- უზრუნველყოფისა და LTV მოთხოვნები;
- პორტფელის დივერსიფიკაცია;
- პროდუქტის, ქულის, უზრუნველყოფის და სხვა კონცენტრაციების ლიმიტები;
- საკრედიტო პოლიტიკიდან გამონაკლისების მონიტორინგი;
- პრობლემური სესხების ადრეული მართვა;

- ECL მოდელების გამოყენება მოსალოდნელი დანაკარგების დროული ასახვისთვის.

უზრუნველყოფა განიხილება როგორც რისკის მიტიგაციის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი ინსტრუმენტი. სესხის/ლიზინგის დამტკიცებისას კრისტალის ძირითადი აქცენტი რჩება მსესხებლის რეალურ გადახდისუნარიანობაზე, შემოსავლების ხარისხსა და ვალდებულების მომსახურების შესაძლებლობაზე.

### **პრობლემური სესხების მართვა, რისტრუქტურისა და ჩამონერა**

პრობლემური სესხების მართვა წარმოადგენს საკრედიტო რისკის კონტროლის მნიშვნელოვან ეტაპს. კრისტალის მიზანია პრობლემური პორტფელის დროული იდენტიფიკაცია, რეაგირება და დანაკარგების მინიმიზაცია. პრობლემური აქტივების მართვა ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით, მათ შორის, ანდერრაიტინგის, პორტფელური რისკების, პრობლემური აქტივების მართვისა და ბიზნეს მიმართულებების ჩართულობით.

რესტრუქტურისაცია გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს ან ლიზინგის მიმღებს აქვს ფინანსური სირთულე, თუმცა, არსებობს ვალდებულების მომსახურების აღდგენის რეალისტური შესაძლებლობა. რესტრუქტურისაციის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას, გადახდისუნარიანობის აღდგენის პერსპექტივას, უზრუნველყოფის მდგომარეობასა და მოსალოდნელი დანაკარგის შეფასებას.

რესტრუქტურისაცია არ უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ვადაგადაცილების ფორმალური გადავადების მიზნით. გადაწყვეტილება უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული და ორიენტირებული მოსალოდნელი დანაკარგის შემცირებაზე.

ჩამონერა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ამოღების პერსპექტივა მნიშვნელოვნად შეზღუდულია ან განსაზღვრულია შიდა პოლიტიკით/საზედამხედველო მოთხოვნებით. ჩამონერის მიუხედავად, საჭიროების შემთხვევაში, აღდგენითი სამუშაოები შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისი სამართლებრივი და სესხის ამოღების (collection) პროცესების ფარგლებში.

## ფას 9 / მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება საკრედიტო რისკის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. კრისტალი ECL რეზერვებს აფასებს IFRS 9-ის მოთხოვნების შესაბამისად 3-საფეხურიანი მოდელის გამოყენებით.

ზოგადი მიდგომა ასეთია:

- **Stage 1** – ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა; რეზერვი ითვლება 12-თვიანი ECL-ის საფუძველზე;
- **Stage 2** – ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც თავდაპირველი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა; რეზერვი ითვლება არსებობის მანძილზე ECL-ის საფუძველზე;
- **Stage 3** – გაუფასურებული/დეფოლტირებული ფინანსური ინსტრუმენტები; რეზერვი ითვლება დეფოლტირებული აქტივების შესაბამისი შეფასებით, მათ შორის, მოსალოდნელი ამოღებების გათვალისწინებით.

ECL მოდელში გამოიყენება ძირითადი კომპონენტები:

- **PD** – დეფოლტის ალბათობა;
- **LGD** – დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში;
- **EAD** – დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება;
- **FLI** – საპროგნოზო/მაკროეკონომიკური ინფორმაცია.

სესხების პორტფელისთვის PD მოდელირება ეფუძნება ისტორიულ მონაცემებს, ქცევით და კლიენტის მახასიათებლებს, მათ შორის, გამოყენებულია გადარჩენის (survival) ანალიზის მიდგომა. LGD ეფუძნება ისტორიულ ამოღებებსა და უზრუნველყოფის ღირებულებაზე დაფუძნებულ შეფასებებს, მათ შორის, ავტო სეგმენტისთვის უზრუნველყოფის რეალიზაციის ღირებულების, რეალიზაციის დროისა და ხარჯების გათვალისწინებით. EAD ეფუძნება სესხის ამორტიზაციას და მოსალოდნელ რისკის პოზიციას დეფოლტის მომენტისთვის. საპროგნოზო ინფორმაცია გამოიყენება PD-ის კორექტირებისთვის შერჩეული მაკროეკონომიკური ფაქტორების საფუძველზე.

ლიზინგის პორტფელისთვის მოქმედებს ცალკე ECL მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სალიზინგო კონტრაქტების სპეციფიკას, სალიზინგო აქტივის ღირებულებას, EAD-ის განსაზღვრას სალიზინგო ვალდებულებებისა და დაფარვის გრაფიკის მიხედვით და LGD-ის შეფასებას ლიზინგის სეგმენტის შესაბამისი მიდგომით.

ECL-ის გამოთვლა გამოიყენება არა მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, არამედ როგორც საკრედიტო რისკის მართვის მნიშვნელოვანი ანალიტიკური ინსტრუმენტი. მოდელის შედეგები ეხმარება მენეჯმენტს პორტფელის რისკის ტენდენციების შეფასებაში, მაღალი რისკის სეგმენტების იდენტიფიკაციასა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების განსაზღვრაში.

## 6.2 კონტრაგენტის რისკის მართვა

კრისტალში კონტრაგენტის (საკრედიტო) რისკის მართვის პრინციპები განსაზღვრულია **კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკით**, რომელიც აწესებს შიდა თრიგერებსა და ლიმიტებს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად. დამატებით, პოლიტიკით განსაზღვრულია კონტრაგენტის შიდა ლიმიტები, ლიმიტის მაქსიმალური მოცულობა და ვადიანობა. კონტრაგენტის ლიმიტები არეგულირებს სახაზინო ოპერაციებიდან წარმოქმნილ რისკის პოზიციებს. შესაბამისად, ლიმიტების ძირითადი ნაწილი ეხება ბანკებსა და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს.

თითოეულ კონტრაგენტთან დადგენილი მაქსიმალური ლიმიტი დამტკიცებულია ალკოს მიერ და მათი დაცვა **ხაზინის დეპარტამენტის** პასუხისმგებლობაა. კონტრაგენტის რისკის მართვის ძირითადი პრინციპი არის ახალი ლიმიტის დამტკიცებისას ან არსებული ლიმიტის გადამტკიცებისას კონტრაგენტის სიღრმისეული შეფასება **ფინანსური რისკების** მიერ. ლიმიტის დამტკიცების პროცესს ანიჭირებს ხაზინის დეპარტამენტი. შეფასებას ახორციელებენ ფინანსური რისკები. შეფასების პროცესში გაითვალისწინება როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მონაცემები.

## საგადახადველო მოთხოვნები

კონტრაგენტთან დაკავშირებული რისკების შესაბამისი კაპიტალის მოთხოვნას სებ-ი არეგულირებს N8/04 ბრძანების “კონტრაგენტის რისკის მართვის დებულების” მიხედვით. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2025 წლის 31 იანვარს და უზრუნველყოფს დერივატივებთან დაკავშირებული რისკების დროულ და მართლზომიერ ასახვას კაპიტალში.

გარდა ამისა, ცალკეული ლიმიტი წესდება სებ-ის N117/04 ბრძანების „მიკრობანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და **მსხვილი რისკების** შესახებ” ფარგლებში. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, მიკრობანკის რისკის პოზიცია კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიმართ, ან

ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის მიმართ, როდესაც ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფი მოიცავს ერთ ან მეტ კომერციულ ბანკს/მიკრობანკს, არ უნდა აღემატებოდეს მიკრობანკის პირველადი კაპიტალის 25%-ს.

მსხვილ რისკებთან დაკავშირებული აღნიშნული მოთხოვნა რისკის აპეტიტის შემადგენელი ნაწილია შიდა თრიგერის გათვალისწინებით და ყოველთვიურად მონიტორინგდება ალკოზე. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, მიკრობანკი აკმაყოფილებდა მსხვილი რისკების პოზიციისთვის (ბანკებთან/მიკრობანკებთან) სებ-ის მიერ დადგენილ ლიმიტს.

კონტრაგენტთან დაკავშირებული **რისკის პოზიციასა** და შესაბამის წონას სებ-ი არეგულირებს N8/04 ბრძანების “კონტრაგენტის რისკის მართვის დებულების“ მიხედვით, რომელიც შესაბამისობაში ბაზელ III-ის ჩარჩოსთან და ეფუძნება 575/2013 CRR რეგულაციას. აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს კონტრაგენტის საკრედიტო რისკის კალკულაციის მეთოდებს (სტანდარტიზებული მეთოდი, გამარტივებული სტანდარტიზებული მეთოდი და საწყისი რისკის პოზიციის მეთოდი), რომელიც გამომდინარეობს მიკრობანკის დერივატივების ჯამური ნომინალური ღირებულების, მთლიანი აქტივებისა და ბრძანებით დაწესებული თანხობრივი ზღვრის შედარებით ყოველ საანგარიშგებო პერიოდში (თვეში).

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, კრისტალი კონტრაგენტის რისკის მიხედვით შეწყონილი აქტივებისთვის იყენებს **სტანდარტიზებულ მეთოდს** და დერივატიული კონტრაქტები მხოლოდ კომერციულ ბანკებთან აქვს.

კონტრაგენტის რისკის წონის განსაზღვრისთვის გამოიყენება საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების (სშგი) საკრედიტო შეფასებები სებ-ის N111/04 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

რაც შეეხება ICAAP-ის ფარგლებში დათვლილ კონტრაგენტის რისკს, მიკრობანკი პირველ რიგში იყენებს Fitch-ის საკრედიტო რეიტინგებს (არარსებობის შემთხვევაში, S&P/Moody's/Scope), ასეთი არარსებობის შემთხვევაში, კონტრაგენტის მშობელი კომპანიის რეიტინგს, და უკანასკნელ შემთხვევაში, იმ ქვეყნის რეიტინგს, რომლის იურისდიქციაშიც დაფუძნებულია კონტრაგენტი.

დერივატიული კონტრაქტები	ნომინალური ღირებულება	საბაზრო ღირებულება (CMV)	უზრუნველყოფის ღირებულება	ჩანაცვლების ღირებულება (RC)	პოტენციური მომავალი რისკის პოზიციის ღირებულება (PFE)	საზედამხედველო ალფა ფაქტორი (α)	რისკის პოზიციების ღირებულება
<b>კონტრაქტები კომერციულ ბანკებთან</b>							
დათვლილი სტანდარტიზებული მეთოდით	286,186,624	(12,813,253)	-	390,257	2,614,091	1.4	4,206,087
დათვლილი გამარტივებული სტანდარტიზებული მეთოდით	-	-	-	-	-	1.4	-
დათვლილი საწყისი რისკის პოზიციის მეთოდით	-	-	-	-	-	1.4	-
<b>სულ</b>	<b>286,186,624</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>390,257</b>	<b>2,614,091</b>	<b>1.4</b>	<b>4,206,087</b>

დერივატიული კონტრაქტების წონა	2%	20%	35%	50%	75%	100%	150%	კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
<b>კონტრაქტები კომერციულ ბანკებთან</b>								
დათვლილი სტანდარტიზებული მეთოდით	-	-	-	197,139	-	4,008,949	-	4,107,518
დათვლილი გამარტივებული სტანდარტიზებული მეთოდით	-	-	-	-	-	-	-	-
დათვლილი საწყისი რისკის პოზიციის მეთოდით	-	-	-	-	-	-	-	-
<b>სულ</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>197,139</b>	<b>-</b>	<b>4,008,949</b>	<b>-</b>	<b>4,107,518</b>

**6.3 საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები**

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	საბალანსო რისკის პოზიციები									საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაცია მდე
	0%	20%	35%	50%	75%	100%	150%	250%	შეწონილი	
უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ	16,374,130	-	-	-	-	-	-	-	-	-
უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკების და მიკრობანკების მიმართ	-	397,183	-	10,836,131	-	376,768	-	-	-	<b>5,874,270</b>
უპირობო და პირობითი საცალო მოთხოვნები*	-	-	-	-	562,658,040	-	-	-	-	<b>421,993,530</b>
ვადაგადაცილებული სესხები	-	-	-	-	-	2,199,286	1,042,241	-	-	<b>3,762,647</b>
სხვა ერთეულები	29,517,349	-	-	-	-	38,572,871	-	394,866	-	<b>39,560,035</b>
<b>სულ</b>	<b>45,891,479</b>	<b>397,183</b>	<b>-</b>	<b>10,836,131</b>	<b>562,658,040</b>	<b>41,148,924</b>	<b>1,042,241</b>	<b>394,866</b>	<b>-</b>	<b>471,190,481</b>

\*საცალო მოთხოვნების კლასში ასევე შედის გარებალანსური რისკის პოზიციები ჯამურად 610,070 ლარის ოდენობით, რომელიც 100%-ში იწონება კრედიტ კონვერსიის ფაქტორის გათვალისწინებით.

ცხრილში ჩანს, რომ საბალანსო რისკის პოზიციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიციები ნაწილდება საცალო მოთხოვნებზე, რომლებიც იწონება 75%-ში და გამომდინარეობს საკრედიტო და სალიზინგო პორტფელებიდან. მათგან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე პოზიციები შედის „ვადაგადაცილებულ სესხებში“. „სხვა ერთეულების“ ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიცია, რომელიც იწონება 100%-ში, შედგება ძირითადი საშუალებებისა და იჯარის გამოყენების უფლების ჯამისგან. მოთხოვნები კომერციული/მიკრობანკების მიმართ ძირითადად შეწონილია 50%-ში, რომელიც წარმოადგენს ნოსტრო/დეპოზიტებზე განთავსებულ თანხებს უცხოურ ვალუტაში ადგილობრივ კომერციულ ბანკებთან. მოთხოვნები ცენტრალური ბანკების მიმართ შეიცავს სებ-ში ლარის

საკორექტორული ანგარიშზე განთავსებულ თანხებს, რომლებიც იწონება 0%-ში.

მიუხედავად იმისა, რომ ცხრილი აჩვენებს შეწონილ რისკის პოზიციებს საკრედიტო მიტიგაციამდე, როგორც ეს უკვე აღნიშნულია, კრისტალი არ იყენებს სებ-ის მიერ ნებადართულ საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმებს, ამიტომ, შეწონილი თანხები მიტიგაციის შემდეგაც იგივეა.

## 7. საბაზრო რისკები

### 7.1 სავალუტო რისკის მართვა

მიკრობანკებისთვის სავალუტო რისკის მინიმალური მოთხოვნები რეგულირდება სებ-ის N133/04 ბრძანების “საერთო ღია სავალუტო პოზიციის დებულებების” (OCP) მიხედვით.

სავალუტო პოზიცია არის ღია, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთის ტოლი არ არის. მონაცემები გამოითვლება ფასს-ის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ ვალუტაში აქტივები მეტია, ვიდრე ვალდებულებები, პოზიცია არის „გრძელი“, ხოლო თუ აქტივები ნაკლებია ვალდებულებებზე, პოზიცია არის „მოკლე“. პოზიცია არის „დახურული“, თუ უცხოური ვალუტის აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა ნულის ტოლია.

კრებსითი ღია სავალუტო პოზიცია არის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით საბალანსო და გარეგანსური პოზიციების გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი.

კრისტალში სავალუტო რისკის მართვის პრინციპები განსაზღვრულია **სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკით**, რომელიც აწესებს შიდა თრიგერებსა და ლიმიტებს კრებსითი ღია სავალუტო პოზიციისთვის. კრებსითი ღია სავალუტო პოზიციის განმარტება და კალკულაციის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია სებ-ის მოთხოვნებთან.

ღია სავალუტო პოზიციის პირობებში, სავალუტო კურსების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ზარალი, რომელიც აისახება კრისტალის მომგებიანობასა და კაპიტალის მოცულობაზე.

აღკო და ფინანსური რისკები არიან სავალუტო რისკის მონიტორინგზე პასუხისმგებლები. ხაზინის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ღია სავალუტო პოზიციის მართვაზე ყოველდღიურად.

### საზედამხედველო მოთხოვნები

სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნა კრებსით ღია სავალუტო პოზიციაზე არის საზედამხედველო კაპიტალის  $+20\%$ , რომელიც ასევე შედის რისკის აპეტიტში შიდა თრიგერების/ლიმიტების გათვალისწინებით.

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, მიკრობანკი აკმაყოფილებდა სებ-ის დადგენილ ლიმიტს.

როგორც საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ნაწილი, კრებსითი ღია სავალუტო პოზიცია შეიწონება 100%-ით, რომელსაც ემატება საკრედიტო გადაფასების კორექტირების რისკი (CVA). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრებსით ღია სავალუტო პოზიცია არის 1,426,126 ლარი. საკრედიტო გადაფასების კორექტირების რისკი კონტრაგენტის რისკთან ერთად რეგულირდება სებ-ის N8/04 ბრძანების “კონტრაგენტის რისკის მართვის დებულების” მიხედვით. საკრედიტო გადაფასების კორექტირებისთვის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები განისაზღვრება კაპიტალის მოთხოვნების 12.5-ზე გამრავლებით. კაპიტალის მოთხოვნა ითვლება იმავე მეთოდით, რომლითაც კონტრაგენტის რისკი (#6.2 თავი). CVA რისკი მიიჩნევა საბაზრო რისკის ფორმად, რადგან ის ასახავს კონტრაგენტის რისკის პოზიციების საბაზრო ღირებულების ცვლილებას და არის კონტრაგენტთან არსებული პორტფელის შუალედური გადაფასების კორექტირება.

კონტრაგენტთან დაკავშირებული საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები - საკრედიტო გადაფასების კორექტირება (CVA)	საკრედიტო გადაფასების კორექტირებისთვის (CVA) დისკონტირებული რისკის პოზიცია	საკრედიტო გადაფასების კორექტირების (CVA) ხარჯი	ჩამოწერილი საკრედიტო გადაფასების კორექტირების (CVA) ხარჯი	კონტრაგენტის საკრედიტო რისკის საკრედიტო გადაფასების კორექტირების მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
<b>საკრედიტო გადაფასების კორექტირება</b>	<b>4,166,372</b>	<b>66,787</b>	-	<b>834,840</b>
დათვლილი სტანდარტიზებული მეთოდით	4,166,372	66,787	-	834,840
დათვლილი გამარტივებული სტანდარტიზებული მეთოდით	-	-	-	-
დათვლილი საწყისი რისკის პოზიციის მეთოდით	-	-	-	-

## 7.2 საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

კრისტალის საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პრინციპები განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პოლიტიკით. პოლიტიკის მიზანია, რომ ჩამოაყალიბოს პრინციპები და სტანდარტები რისკების მართვაში და აარიდოს კრისტალს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით გამოწვეული პოტენციური ზარალი. სხვადასხვა დროით მონაკვეთში მიკრობანკს წარმოეშევა გეპები აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რამაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს ზარალი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების პირობებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მონიტორინგზე პასუხისმგებლები არიან **ალკო და ფინანსური რისკები**.

პოლიტიკა შესაბამისობაშია სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნასთან და განსაზღვრავს საზედამხედველო ლიმიტის შიდა თრიგერს, რომელიც ასევე გათვალისწინებულია რისკის აპეტიტში. სებ-ი ლიმიტს აწესებს ეკონომიკური ღირებულების რისკზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პირველადი კაპიტალის 15%. ეკონომიკური ღირებულების რისკი (Economic Value Impact – EVI) ასახავს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენას კრისტალის კაპიტალზე, რომელიც საბანკო წიგნის პოზიციების გადაფასების შედეგია. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად იცვლება მომავალი ფულადი ნაკადების წმინდა ახლანდელი ღირებულება, რაც, თავისთავად ცვლის შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, გარე საბალანსო მუხლებსა და მათ ეკონომიკურ ღირებულებას. სებ-ის მეთოდოლოგია დაფუძნებულია მთლიან მომავალ ფულად ნაკადებზე.

**გადაფასების გეპის** რისკი წარმოიშობა აქტივებსა და პასივებს შორის სტრუქტურული სხვაობით სხვადასხვა დროის კალათებში. გადაფასების გეპი არის სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის დროის კონკრეტულ კალათაში. იმ შემთხვევაში, თუ დროის კონკრეტულ კალათაში აქტივები მეტია, ვიდრე ვალდებულებები, მაშინ გადაფასების გეპი არის პოზიტიური. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები მეტია, ვიდრე აქტივები, მაშინ გადაფასების გეპი არის ნეგატიური.

რაც შეეხება მიკრობანკის შიდა მეთოდოლოგიას, კრისტალი იყენებს საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძობიარე პოზიციების მხოლოდ ძირებს. შიდა მოდელში მიკრობანკი ითვლის როგორც EVI-ზე, ისე წმინდა საპროცენტო შემოსავალზე გავლენას (Net Interest Rate - NIR), რომელიც ითვლის საპროცენტო განაკვეთის შოკის ზემოქმედებას კრისტალის მოგება-ზარალზე. ICAAP-ის ფარგლებში კაპიტალის შიდა ადეკატურობის შესაფასებლად გამოიყენება NIR.

როგორც საზედამხედველო ლიმიტი, ისე შიდა მოთხოვნები ყოველთვის უნდა წარედგინება ალკოს.

## 8. საოპერაციო რისკი

### 8.1 საოპერაციო რისკის მართვა

კრისტალის საოპერაციო რისკის მართვა ხორციელდება სებ-ის ბრძანების N140/04 “მიკრობანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების” შესაბამისად, რომელიც ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ერთიან და თანმიმდევრულ მიდგომას რისკების შეფასებისა და მართვის პროცესში.

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამოწვეულია არასათანადო ან გაუმართავი შიდა პროცესებით, ადამიანური ფაქტორით, სისტემებით ან გარე მოვლენებით. აღნიშნული განსაზღვრება მოიცავს სამართლებრივ რისკს, თუმცა არ მოიცავს სტრატეგიულ და რეპუტაციულ რისკებს.

საოპერაციო რისკების მართვა კრისტალში ხორციელდება შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების ერთიანი ჩარჩოს საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მართვის პრინციპებს, მიდგომებსა და პასუხისმგებლობებს ორგანიზაციის მასშტაბით.

მიკრობანკში მოქმედებს საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული ძირითადი პოლიტიკები, მათ შორის:

- საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკა;
- ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკა;
- თაღლითობისა და სხვა არაკეთილსინდისიერი ქმედებების პრევენციის პოლიტიკა;
- აუტოსორსინგის პოლიტიკა.

აღნიშნულ პოლიტიკებთან ერთად, მიკრობანკში დანერგილია დამატებითი შიდა წესები, პროცედურები და ინსტრუქციები, რომლებიც არეგულირებენ კონკრეტულ პროცესებს და უზრუნველყოფენ საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტურ განხორციელებას პრაქტიკაში.

საოპერაციო რისკები შედის **რისკის აპეტიტშიც**, რომელიც აწესებს შიდა თრიგერებსა და ლიმიტებს და ასევე წარმოადგენს ტოლერანტობის ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო წარმოადგენს საოპერაციო რისკების მართვის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს და გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების, რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრის პროცესში. **სებ-ი** მიკრობანკებს არ უწესებს რაიმე ტიპის თანხობრივ ან რაოდენობრივ ლიმიტს საოპერაციო რისკებთან მიმართებით. შესაბამისად, რისკის აპეტიტი

მოიცავს მხოლოდ შიდა ინდიკატორებს, მაგალითად, ისეთი, როგორცაა მოსალოდნელი წლიური ზარალი ბოლო 2 წლის სტატისტიკის საფუძველზე.

### პასუხისმგებლობები

საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო ეფუძნება **სამი დონის დაცვის** მოდელს, რაც უზრუნველყოფს როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას ორგანიზაციის მასშტაბით და ეფექტურ კოორდინაციას რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის პროცესში. სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს და საოპერაციო რისკების პასუხისმგებლობები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- **სამეთვალყურეო საბჭო** უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების მართვის საერთო ზედამხედველობას და განსაზღვრავს მიკრობანკის რისკის აპეტიტსა და ტოლერანტობის ჩარჩოს. იგი ამტკიცებს საოპერაციო რისკებთან დაკავშირებულ პოლიტიკებს და ზედამხედველობას უწევს მათ ეფექტურ დანერგვას. სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული რისკების კომიტეტი რეგულარულად განიხილავს საოპერაციო რისკებთან დაკავშირებულ ანგარიშებს, აფასებს მიკრობანკის რისკის პროფილის შესაბამისობას რისკის განსაზღვრულ აპეტიტთან და უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი რისკ შემთხვევებისა და ცვლილებების განხილვას ზედა დონეზე.
- **დირექტორთა საბჭო** პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს დანერგვასა და ეფექტურ ფუნქციონირებაზე. იგი უზრუნველყოფს, რომ საოპერაციო რისკების მართვა ინტეგრირებულია მიკრობანკის ყოველდღიურ საქმიანობაში, განსაზღვრავს შესაბამის პოლიტიკებსა და პროცედურებს, ამტკიცებს მართვის მიდგომებს და უზრუნველყოფს საჭირო რესურსების არსებობას. მმართველი გუნდი ასევე პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციის ყველა დონეზე ჩამოყალიბებულია შესაბამისი რისკის კულტურა.
- **საოპერაციო რისკების განყოფილება** პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს განვითარებაზე, მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასა და მონიტორინგზე. ფუნქცია უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და ანგარიშგების პროცესების კოორდინაციას, ახორციელებს ინდივიდუალურ რისკ-შეფასებებს, მონაწილეობს ახალი ინიციატივების შეფასებაში და აკონტროლებს რეკომენდაციების შესრულების პროცესს. ამასთან, ფუნქცია

უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის შემთხვევებისა და დანაკარგების აღრიცხვასა და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზს, რაც ხელს უწყობს კონტროლის გარემოს გაუმჯობესებას.

აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების მართვის პროცესში დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტური კონტროლის გარემოს შენარჩუნებას მიკრობანკის მასშტაბით.

### საოპერაციო რისკის იდენტიფიცირების მექანიზმები

კრისტალი უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების სისტემურ იდენტიფიკაციასა და შეფასებას მიმდინარე საქმიანობისა და არსებული პროცესების ქრილში. აღნიშნული პროცესი მოიცავს პროდუქტების, მომსახურებების, პროცესებისა და სისტემების ანალიზს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება პოტენციური რისკები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები:

- **ახალი რისკების შეფასება (NRA)** - მიკრობანკში დანერგილია ახალი საქმიანობების, პროდუქტების, პროცესებისა და სისტემების რისკების წინასწარი შეფასების პროცესი (New Risk Assessment – NRA), რომელიც უზრუნველყოფს პოტენციური საოპერაციო რისკების იდენტიფიცირებას ინიციატივის განხორციელებამდე. NRA პროცესის ფარგლებში ხორციელდება დაგეგმილი ცვლილებების ანალიზი, მათთან დაკავშირებული რისკების შეფასება და საჭირო კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა, რაც საშუალებას აძლევს მიკრობანკს წინასწარ შეაფასოს ინიციატივის გავლენა რისკის პროფილზე და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მის დანერგვასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს რისკების პროაქტიულ მართვას და ამცირებს შესაძლო უარყოფით გავლენას მიკრობანკის ოპერაციებზე
- **რისკების ინციდენტების ბაზა (RED)** - მიკრობანკი ახორციელებს საოპერაციო რისკის შემთხვევებისა და შესაბამისი დანაკარგების სისტემურ აღრიცხვასა და ანალიზს რისკების მონაცემთა ბაზის (Risk Event Database – RED) მეშვეობით. RED-ის ფარგლებში ხორციელდება როგორც ფაქტობრივი ინციდენტების, ისე მათთან დაკავშირებული მიზეზების იდენტიფიცირება, რაც უზრუნველყოფს კონტროლის გარემოს სისუსტეების გამოვლენასა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება რისკების ტენდენციების ანალიზისთვის და მართვის გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად.

- **შეტყობინებების მექანიზმი (Whistleblowing)** - მიკრობანკში დანერგილია შეტყობინებების (whistleblowing) მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლების ან სხვა მხარეების მიერ შესაძლო დარღვევების, თაღლითობის ან არაკეთილსინდისიერი ქმედებების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად ან ანონიმურად დაფიქსირებას. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს მნიშვნელოვან კომპონენტს და ხელს უწყობს რისკების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებასა და კონტროლის გარემოს გაძლიერებას.
- **ძირითადი რისკების ინდიკატორები (KRI)** - KRI გულისხმობს მიკრობანკის მიერ განსაზღვრული მნიშვნელოვანი რისკების მონიტორინგს. რისკის ინდიკატორები მიკრობანკს ეხმარება პოტენციური რისკების ადრეულ იდენტიფიცირებაში, მათ დროულ შეფასებასა და შესაბამისი პრევენციული ან შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.
- **Follow-up** მექანიზმი - მოიცავს საოპერაციო რისკების მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრას, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი რისკების სრულფასოვან მართვასა და განმეორების ალბათობის შემცირებას.
- **რისკებისა და კონტროლის თვითშეფასება (RCSA)**- მიკრობანკში რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების პროცესი (Risk and Control Self-Assessment – RCSA) ხორციელდება საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში და წარმოადგენს არსებული პროცესების, პროდუქტებისა და სისტემების ინდივიდუალური შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. RCSA-ის ფარგლებში ხორციელდება საქმიანობებთან დაკავშირებული საოპერაციო რისკების იდენტიფიცირება და შეფასება, ასევე მოქმედი კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის ანალიზი. პროცესის მიზანია პოტენციური და არსებული რისკების დროული გამოვლენა და მათი მართვისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა. პროცესი ხორციელდება ბიზნეს მიმართულებების აქტიური მონაწილეობით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათი პროცესების ფარგლებში რისკების შეფასებასა და კონტროლის მექანიზმების დანერგვასა და გაუმჯობესებაზე. საოპერაციო რისკების მართვის ფუნქცია უზრუნველყოფს პროცესის მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, კოორდინაციასა და შედეგების კონსოლიდაციას ორგანიზაციის მასშტაბით.

## თაღლითობისა და სხვა არაკეთილსინდისიერი ქმედებების მართვა

კრისტალში დანერგილია თაღლითობისა და სხვა არაკეთილსინდისიერი ქმედებების მართვის ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი რისკების იდენტიფიცირებას, პრევენციას, გამოვლენასა და დროულ რეაგირებას, მათ შორის, მიკრობანკის კუთვნილი ინფორმაციული უსაფრთხოების რესურსების არაკეთილსინდისიერი გამოყენების პრევენციას. აღნიშნული ჩარჩო წარმოადგენს საოპერაციო რისკების მართვის სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს და ინტეგრირებულია მიკრობანკის ყოველდღიურ საქმიანობაში.

თაღლითობის შემთხვევების მართვა კოორდინირდება საოპერაციო რისკების განყოფილების მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მოკვლევის პროცესის ორგანიზებასა და წარმართვას. საჭიროების შემთხვევაში, პროცესში ერთვებიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს შემთხვევის სრულყოფილ და ობიექტურ შეფასებას.

ბანკში დანერგილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც შიდა, ისე გარე თაღლითობის შემთხვევების იდენტიფიცირებას. გამოვლენილი ან საეჭვო შემთხვევები ექვემდებარება შესაბამის მოკვლევას, რომლის ფარგლებშიც ხდება ფაქტების დადგენა, გამომწვევი მიზეზების ანალიზი და კონტროლის მექანიზმების შეფასება.

მოკვლევის დასრულების შემდეგ მომზადებული დასკვნა წარედგინება განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებს/ორგანოებს. კრიტიკული ან მაღალი მნიშვნელობის შემთხვევები ექვემდებარება მმართველი ორგანოების დონეზე განხილვას.

## აუთსორსინგის რისკების მართვა

მიკრობანკში აუთსორსინგთან დაკავშირებული რისკების მართვა ხორციელდება შესაბამისი პოლიტიკისა და საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მესამე მხარის მომსახურებებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და მართვას.

მიკრობანკი უზრუნველყოფს, რომ ახალი საქმიანობების, პროდუქტებისა და პროცესების შეფასების ეტაპზე მოხდეს აუთსორსინგის კომპონენტის იდენტიფიცირება. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ახალი ინიციატივების წინასწარი რისკ-შეფასების პროცესის ფარგლებში, რაც საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს მესამე მხარის ჩართულობით

წარმოქმნილი საოპერაციო რისკები და მათი გავლენა მიკრობანკის რისკის პროფილზე.

აუთსორსინგთან დაკავშირებული რისკების შეფასება მოიცავს მომსახურების ხასიათის, მნიშვნელობისა და მასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების ანალიზს. შეფასების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს მომსახურების უწყვეტობის, ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

### **ბიზნეს უწყვეტობის მართვა**

კრისტალში ბიზნესის უწყვეტობის მართვა ხორციელდება შესაბამისი პოლიტიკისა და საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში, რაც მიზნად ისახავს კრიტიკული საქმიანობების უწყვეტობის უზრუნველყოფასა და ოპერაციების სწრაფ აღდგენას საგანგებო ან დარღვევის შემთხვევებში.

ბიზნესის უწყვეტობის მართვა წარმოადგენს მიკრობანკის საოპერაციო რისკების მართვის სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს. საოპერაციო რისკების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს შესაბამისი ჩარჩოს, გეგმებისა და პროცესების განვითარებასა და კოორდინაციას, ხოლო ბიზნეს მიმართულებები პასუხისმგებელნი არიან მათი საქმიანობის ფარგლებში განსაზღვრული პროცესების განხორციელება და შესაბამისი მზადყოფნაზე.

მიკრობანკში შემუშავებულია **ბიზნესის უწყვეტობის გეგმა (BCP)**, რომელიც განსაზღვრავს მოქმედებებს სხვადასხვა სახის დარღვევის ან კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში.

მიკრობანკი უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობის გეგმების პერიოდულ ტესტირებას, რაც მიზნად ისახავს მათი ეფექტურობის შეფასებასა და შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირებას. ტესტირების შედეგები გამოიყენება გეგმის გაუმჯობესებისა და ორგანიზაციის მზადყოფნის დონის ამაღლებისთვის.

### **საოპერაციო დანაკარგები**

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული დანაკარგების წლიური მონაცემი კატეგორიების ქრილში, რომელიც ასახავს მიკრობანკის რისკის პროფილის ძირითად ტენდენციებს.

ინფორმაცია საოპერაციო დანაკარგების მოცულობის შესახებ	2025
დანაკარგების მთლიანი მოცულობა	92,706
დანაკარგების მთლიანი მოცულობა, რომლებიც აღემატება 10,000 ლარს	51,314
მოვლენების რაოდენობა, რომელთა დანაკარგაც აღემატება 10,000 ლარს	3
5 უმსხვილესი დანაკარგის საერთო მოცულობა	68,779

## 8.2 საზღვარგარეთო მოთხოვნები

სებ-ის N111/04 ბრძანების “მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების” მიხედვით, მიკრობანკები ვალდებული არიან ჰქონდეთ საოპერაციო რისკებისთვის საჭირო მინიმალური დონის კაპიტალი.

საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები განისაზღვრება კაპიტალის მოთხოვნის 12.5-ზე გამრავლებით. საოპერაციო რისკისთვის საჭირო კაპიტალის გამოსათვლელად მიკრობანკებისთვის ნებადართულია მხოლოდ **ძირითადი ინდიკატორის მეთოდი**. კაპიტალის მოთხოვნა შეადგენს ინდიკატორის 15%-ს, რომელიც ითვლება შემდეგნაირად:

- შესაბამისი ინდიკატორი განისაზღვრება, როგორც წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე;
- სამი წლის საშუალო გამოითვლება ფინანსური წლის ბოლოს მდგომარეობით ბოლო სამი თორმეტთვიანი დაკვირვებებით;
- თუ რომელიმე ინდიკატორისთვის წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამი უარყოფითი ან ნულის ტოლია, შემოთხსენებული შედეგი სამი წლის საშუალოს დათვლისას არ გაითვალისწინება. შესაბამისად, საოპერაციო რისკის კაპიტალის დათვლისათვის აიღება შედეგი, რომელიც ტოლია დადებითი ინდიკატორების ჯამის თანაფარდობისა იმ წლების რაოდენობაზე, როდესაც ეს ინდიკატორი იყო დადებითი;
- ინდიკატორი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისგან: საპროცენტო შემოსავლები, საპროცენტო ხარჯები, აქციებიდან მიღებული შემოსავალი, საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა მოგება/ზარალი ფინანსური ოპერაციებიდან, სხვა საოპერაციო შემოსავალი. თითოეული ელემენტი შეყვანილი უნდა იქნას

ელემენტთა ჯამის გამოთვლაში ელემენტის დადებითი ან უარყოფითი ნიშნის მიუხედავად.

N	საოპერაციო რისკების ძირითადი (საბაზისო) ინდიკატორის მეთოდი	2025	2024	2023	წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე	საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
1	წმინდა საპროცენტო შემოსავლები	117,187,763	101,487,058	82,580,157		
2	მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები	(9,726,195)	(232,196)	(3,332,319)		
3	<i>მინუს: ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)</i>	29,365	81,987.48	15,640.01		
4	<b>მთლიანი შემოსავალი (1+2-3)</b>	<b>107,432,203</b>	<b>101,172,875</b>	<b>79,232,198</b>	<b>95,945,759</b>	<b>179,898,297</b>

## 9. ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკები

### 9.1 ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკების მართვა

კრისტალის ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკების მართვის პრინციპები განსაზღვრულია ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკით, რომელიც ითვალისწინებს ლიკვიდურობის ადეკვატური დონის მიმართ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მიკრობანკის დაცვას ლიკვიდურობის მოკლევადიანი დეფიციტისა და გრძელვადიანი დაფინანსების რისკებისგან. პოლიტიკა შემუშავებულია სებ-ისა და შიდა მოთხოვნების დაცვით.

მიკრობანკი აიდენტიფიცირებს ორი ტიპის ლიკვიდურობის რისკს: მოკლევადიანი (გადახდისუნარიანობა) და გრძელვადიანი (სტრუქტურული) დაფინანსების რისკები.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მიკრობანკს არ შეუძლია გადაიხადოს მიმდინარე და მომავალი ვალდებულებები და მოიცავს ერთ წლამდე დროის ჰორიზონტს.

დაფინანსების რისკი ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მიკრობანკს არ შეუძლია გრძელვადიანი დაფინანსების მოზიდვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან/ბანკებისგან/ადგილობრივ ფულად ბაზარზე, ან დაფინანსებას იღებს, მაგრამ მხოლოდ ძალიან მაღალ საპროცენტო განაკვეთში. შინაარსობრივად, დაფინანსების რისკი არის გრძელვადიანი და ფარავს 1 წელზე მეტი ვადის დროის ჰორიზონტს.

ლიკვიდურობის რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, დროულად მართვისა და მონიტორინგისთვის მიკრობანკს შემუშავებული აქვს ჯანსაღი სტრატეგია, პოლიტიკები, პროცესები და სისტემები იმისათვის, რომ უზრუნველყოს ლიკვიდურობის ადეკვატური ბუფერების შენარჩუნება.

ლიკვიდურობის ადეკვატურობის შესაფასებლად საკმარის რაოდენობრივ ჩარჩოსთან ერთად, ხარისხობრივი მახასიათებლებიც უზრუნველყოფს ლიკვიდურობის აქტიურად მართვას. ეს მოიცავს ლიკვიდურობის ადეკვატურობის მახასიათებლების ისეთ მონიტორინგს, რომ პოტენციური საფრთხეები დაიდენტიფიცირდეს და შეფასდეს დროის სხვადასხვა ჰორიზონტზე დროულად, მაგალითად, დღის შიგნით, რომ დროულად შემუშავდეს პრაქტიკული დასკვნები და პრევენციულმა ღონისძიებებმა უზრუნველყოს მარეგულირებლისა და ლიკვიდურობის შიდა ბუფერების ადეკვატურ დონეზე დაცვა.

ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია სებ-ისა და შიდა მოთხოვნების დაცვით. აღნიშნული პოლიტიკა დაკავშირებულია

ლიკვიდურობის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესთან (ILAAP), რომელიც ინტეგრირებულია მიკრობანკის ბიზნესთან დაკავშირებულ, გადაწყვეტილებების მიღებისა და რისკების მართვის პროცესებში ისე, რომ ადეკვატური ლიკვიდურობა შენარჩუნებულია უწყვეტად. ILAAP-ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ასპექტები შესაბამისობაშია ერთმანეთთან და ასევე, მიკრობანკის ბიზნეს სტრატეგიასა და რისკის აპეტიტთან. ILAAP არის მართვის მთლიანი ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი და ითვალისწინებს რისკის აპეტიტის თრიგერებს/ლიმიტებს, ასევე შიდა და გარე მოთხოვნებსა და ფინანსური ქოვენანტების ზღვრებს. ILAAP ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკების მართვას მოიცავს როგორც ნორმატიულ, ასევე ეკონომიკურ პერსპექტივაში, ლიკვიდურობის ფაქტობრივ და საპროგნოზო ბუფერებს და სტრეს ტესტებს. სებ-ის მიერ დაწესებული მინიმალური მოთხოვნები გათვალისწინებულია რისკის აპეტიტში შიდა ბუფერების დამატებით.

ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია, რომ კრისტალმა:

- უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდური სახსრები და ადეკვატური ლიკვიდურობის დონე სტრესულ სიტუაციაში ყველა რელევანტურ ვალუტაში.
- დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიკვიდურობის რისკის რეგულაციებთან შესაბამისობა (ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)).
- მუდმივად მოხდეს მომავალში მოსალოდნელი შემოდინებებისა და გადინებების მონიტორინგი, დაგეგმილი მსხვილი ტრანზაქციების ანალიზი და ამ ტრანზაქციების გავლენის შეფასება ლიკვიდურობის რისკის პოზიციაზე.
- მუდმივი მონიტორინგის განხორციელება ბიზნესს აქტივობებზე, სასახო პორტფელისა და სადეპოზიტო პორტფელის ზრდის/კლების გავლენის შეფასება ლიკვიდურობის რისკის პოზიციაზე.

საზედამხედველო მოთხოვნების გარდა (LCR და NSFR), მიკრობანკი ითვლის შემდეგ შიდა ინდიკატორებს: ლიკვიდურობის 3-თვიანი ჰორიზონტი, ბანკთაშორის ბაზარზე დამოკიდებულების კოეფიციენტი და დეპოზიტების კონცენტრაციის ინდიკატორი. აღნიშნული ინდიკატორები ასევე წარმოადგენს რისკის აპეტიტის ნაწილს LCR და NSFR-თან ერთად და ყოველთვიურად წარედგინება ალკოს.

ლიკვიდურობის 3-თვიანი ჰორიზონტი გვიჩვენებს, საკმარისია თუ არა არსებული მაღალი ლიკვიდური აქტივები შემდეგი სამი თვის განმავლობაში დაგეგმილი გადინების დასაფარად საკონტრაქტო შემოდინების

გათვალისწინებით და აწესებს მინიმუმ პერიოდს - 3 თვეს. ბანკთაშორის ბაზარზე დამოკიდებულების კოეფიციენტი და დეპოზიტების კონცენტრაციის ინდიკატორი ზღუდავენ ზედმეტ დამოკიდებულებას დეპოზიტორებსა და ბანკებზე.

### პასუხისმგებლობები

ლიკვიდურობის რისკის მართვაზე პასუხისმგებელია **ALCO** და **ფინანსური რისკები**. ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის დანერგვაზე პირდაპირ პასუხისმგებელია **ხაზინა** და ფინანსური რისკები პასუხისმგებელ დირექტორებთან ერთად.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად, ორგანიზაციულ სტრუქტურაში ხაზინა და ფინანსური რისკები ფუნქციურად გამიჯნულია. ხაზინა ექვემდებარება ფინანსურ დირექტორს, ხოლო ფინანსური რისკები - რისკების დირექტორს.

დამატებით, ფინანსური რისკები და ხაზინა მუშაობენ **დაფინანსებისა და ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტთან** ერთად იმისათვის, რომ საკმარისი ლიკვიდურობის ბუფერები უზრუნველყონ როგორც საოპერაციო საჭიროებისთვის, ასევე საზედამხედველო ბუფერების დასაცავად. დაფინანსებისა და ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ფინანსურ დირექტორთან. აღნიშნული დეპარტამენტი წარმოადგენს მიკრობანკისა და კაპიტალის ბაზრების დამაკავშირებელ რგოლს და პასუხისმგებელია ინვესტორებთან კომუნიკაციაზე.

ხაზინის დეპარტამენტი ასევე პასუხისმგებელია შეინარჩუნოს საკმარისი საოპერაციო ლიკვიდურობა ყველა საჭირო ვალუტაში ყოველდღიურად.

კრისტალი საკუთარ ფულად სახსრებს ათავსებს მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებში ლიკვიდურობის მართვის მიზნებისათვის როგორც საზედამხედველო, ასევე საოპერაციო დონეზე. ლიკვიდური სახსრების ინვესტიციის საბოლოო მიზანია, რომ ყველა ინვესტიცია/განთავსება იყოს დაბალ რისკიანი და ასევე იყოს დივერსიფიცირებული. კონტრაგენტების შერჩევის პრინციპებზე დამატებითი ინფორმაცია მოცემულია #6.2 თავში.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრისტალს არ ჰქონდა აქტივები დაგირავებული ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით.

## 9.2 სახედახედველო მოთხოვნები

მიკრობანკებისთვის ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკების მინიმალური მოთხოვნები რეგულირდება სებ-ის N138/04 ბრძანების “მიკრობანკებისთვის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულების” (LCR) და N134/04 ბრძანების “მიკრობანკებისთვის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულების” (NSFR) მიხედვით.

**LCR**-ის მიზანია, რომ მიკრობანკი უნდა ფლობდეს ისეთი რაოდენობის ლიკვიდურ აქტივს, რომლებიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, მიკრობანკმა შეინარჩუნოს ლიკვიდურობის ადეკვატური მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს, გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში.

LCR-ის მონიტორინგი ხორციელდება ცალ-ცალკე ლარში, უცხოურ ვალუტასა და ყველა ვალუტაში და სებ-ის მინიმალური მოთხოვნაა 75%, 100% და 100% შესაბამისად.

**NSFR**-ის მიზანია მიკრობანკებისთვის აქტივებისა და გარესაბალანსო ოპერაციების შესაბამისი დაფინანსების სტრუქტურის ხელშეწყობა. დაფინანსების მდგრადი სტრუქტურა ხელს უწყობს იმის აღბათობის შემცირებას, რომ მიკრობანკის რეგულარული დაფინანსების წყაროების შეფერხება ლიკვიდურობის პოზიციას დააზიანებს ისეთნაირად, რომ გაიზრდება მარცხის საფრთხე და პოტენციურად შესაძლოა დადგეს უფრო დიდი სისტემური სტრესი. NSFR ზღუდავს მოკლევადიან საბითუმო დაფინანსებაზე ზედმეტ დამოკიდებულებას, ბიძგს აძლევს მიკრობანკს, რომ დაფინანსების რისკები შეაფასოს ყველა საბალანსო და გარეაბალანსური მუხლის გათვალისწინებით და შექმნას სტაბილური დაფინანსება. NSFR-ის მონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ ყველა ვალუტაში და სებ-ის მინიმალური მოთხოვნაა 100%.

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, მიკრობანკი აკმაყოფილებდა სებ-ის მოთხოვნებს LCR და NSFR კოეფიციენტებისთვის. შესაბამისი მონაცემები მოცემულია #1.3 თავში. დამატებით, LCR საილუსტრაციო მიზნებისთვის (ბაზელისა და სებ-ის მეთოდოლოგიით კვარტლის საშუალოები) და დეტალები NSFR-ზე მოცემულია #13 თავში.

## 10. AML და შესაბამისობის რისკები

**AML და შესაბამისობის დეპარტამენტის** AML განყოფილების მიზანია უზრუნველყოს მიკრობანკის დაცვა AML/CFT/Sanction მიმართულებით არსებული თუ მოსალოდნელი რისკებისგან.

მიკრობანკის AML/CFT ფუნქცია წარმოადგენს დამცავ ხაზს ფინანსური სისტემის ფინანსური დანაშაულისთვის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. AML განყოფილების საქმიანობა ეფუძნება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ განაწილებას და ამავდროულად ხელს უწყობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. აღნიშნული განყოფილების აქტიურად თანამშრომლობს მიკრობანკის შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან, რაც აძლიერებს მიკრობანკის შესაძლებლობას ეფექტიანად უპასუხოს ფინანსურ დანაშაულებთან და გლობალურ სანქციებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

AML/CFT/Sanction რისკების მართვის ჩარჩო კრისტალში შექმნილია ქვეყნის საკანონმდებლო/მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად და მოიცავს უსაფრთხოების ზომებს როგორც შიდა პოლიტიკების, წესების, პროცესების, ასევე დანერგილი სისტემების სახით. AML განყოფილება უზრუნველყოფს ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და მართვას.

მართვის ჩარჩო შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- პოლიტიკა და შიდა წესები;
- პროცესები, რომლებიც გაწერილია შესაბამისი პროდუქტების/მომსახურების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში
- აკრძალული გამონაკლისი საქმიანობების ჩამონათვალი (Exclusion List)
- KYC (Know Your Customer) სტანდარტი;
- მონაცემთა აღრიცხვა;
- ტრანზაქციისა და ქცევის მონიტორინგი;
- გარიგების აღსრულების შეჩერება;
- თანამშრომელთა შერჩევა და ტრენინგი;
- ახალი პროდუქტების და სერვისების დამტკიცების პროცესში ჩართულობა.

**შესაბამისობის** განყოფილება პასუხისმგებელია მარეგულირებელი ჩარჩოს (როგორც საკანონმდებლო, ასევე მიკრობანკის შიდა პოლიტიკა, პროცედურები, წესები, სტანდარტები) შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების იდენტიფიცირებაზე, აღნიშნული რისკების

მიტიგაციისთვის საჭირო ეფექტური პროცესების დანერგვასა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმის ხელშეწყობაზე.

შესაბამისობის განყოფილება არ არის პასუხისმგებელი არსებული საკანონმდებლო/მარეგულირებელი ნორმების ფაქტობრივ შესრულებაზე, აღნიშნული წარმოადგენს შესაბამისი განყოფილებების/დეპარტამენტების პასუხისმგებლობას. აღნიშნულის შესრულების მიზნით შესაბამისობის განყოფილება ეფუძნება შემდეგ კონცეფციას:

- შესაბამისობის განყოფილებამ უნდა იმოქმედოს დამოუკიდებლად;
- უზრუნველყოს შესაბამისობა კანონთან, რეგულაციებთან, მიკრობანკის შიდა წესებთან და პროფესიულ სტანდარტთან;
- უზრუნველყოს შესაბამისი სისტემის არსებობა, რომლის მეშვეობით შეფასდება მიკრობანკის შიდა კონტროლის მექანიზმები (შიდა წესი, პროცესი, პოლიტიკა), როგორც არსებული პროდუქტებისა და სერვისების, ასევე ახალი პროდუქტის/სერვისის დანერგვის შემთხვევაში;
- დაეხმაროს მიკრობანკის დირექტორთა საბჭოს შესაბამისობის წესების, სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფაში და მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულ სფეროში სიახლეებთან დაკავშირებით;
- გამოავლინოს და შეაფასოს შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები;
- დაეხმაროს მიკრობანკის დირექტორთა საბჭოს ამგვარი რისკების მართვასა და კონტროლში;
- ანგარიში ჩააბაროს უშუალოდ დირექტორთა საბჭოს არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე;
- შეასრულოს კოორდინატორისა და დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია გარე მხარეებსა და მიკრობანკის შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობაში, მარეგულირებელი და სხვა ადგილობრივი კანონმდებლობის საკითხებთან დაკავშირებით;
- განახორციელოს მომხმარებელთა უფლებების დაცვა და კოორდინირება გაუწიოს შესაბამის პროცესს;
- მოახდინოს პერსონალის ინფორმირება და განათლება.

შესაბამისობის განყოფილება უზრუნველყოფს დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების “გაშლილი მკლავი“-ს პრინციპით შესრულების ზედამხედველობას, მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად. მიკრობანკი თავის საქმიანობას წარმართავს იმგვარად, რომ თავიდან აიცილოს შესაბამისობის რისკები. აღნიშნული რისკებისადმი ნულოვანი ტოლერანტობა მიკრობანკის მიერ ასახულია რისკის აპეტიტშიც.

## 11. ანაზღაურების პოლიტიკა

კრისტალი ანაზღაურების სისტემას განიხილავს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს ორგანიზაციის გრძელვადიანი სტაბილური განვითარების, თანამშრომელთა მოზიდვისა და შენარჩუნების, ასევე ეფექტიანი და პასუხისმგებლიანი საქმიანობის ხელშეწყობისათვის.

ანაზღაურების პოლიტიკა მიზნად ისახავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მოტივაციას, შესრულებაზე ორიენტირებულ კულტურასა და მიკრობანკის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამის ქცევას. ამასთანავე, ანაზღაურების სისტემა აგებულია ისე, რომ არ ახალისებდეს გადაჭარბებული ან გაუმართლებელი რისკის აღებას და შეესაბამებოდეს მიკრობანკის რისკის მართვის ჩარჩოსა და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

მიკრობანკი უზრუნველყოფს ანაზღაურების სისტემის სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და ბაზართან შესაბამისობას. ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებულია როგორც ინდივიდუალური შესრულება, ასევე სტრუქტურული ერთეულის და მთლიანად მიკრობანკის შედეგები.

კრისტალი პერიოდულად ახორციელებს შრომის ბაზრის ანალიზს და ანაზღაურების შედარებით შეფასებას, ხოლო წლიური ბიუჯეტირების პროცესში ითვალისწინებს როგორც ბაზარზე არსებულ ტენდენციებს, ასევე შიდა ბენჩმარქინგის შედეგებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ანაზღაურების სისტემის კონკურენტუნარიანობას და ეფუძნება სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს.

ანაზღაურების სისტემა მოიცავს როგორც **ფიქსირებულ**, ისე **ცვლად** კომპონენტებს, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის სარგებელს, რაც ერთობლიობაში ქმნის კონკურენტუნარიანი და მოქნილი კომპენსაციის პაკეტს.

## ანაზღაურების ჩარჩო

კრისტალის **ანაზღაურების პოლიტიკა** წარმოადგენს თანამშრომელთა ან/და სასამსახურო სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირთა ანაზღაურების, კომპენსაციებისა და სარგებლის მართვის სტანდარტების ერთობლიობას. პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს ანაზღაურების სამართლიანი, გამჭვირვალე, კანონმდებლობასთან შესაბამისი და საბაზრო პირობებთან თანხვედრილი სისტემა.

კრისტალის ანაზღაურების მიდგომა ეფუძნება სამართლიანობის, კანონიერების, განჭვრეტადობის, მიღწევადობის, ბაზართან შესაბამისობის, დროულობისა და კონფიდენციალურობის პრინციპებს. თანამშრომლის ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებულია მისი განათლება, კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, სამუშაოს სპეციფიკა, პასუხისმგებლობის დონე და პოზიციის მნიშვნელობა ორგანიზაციაში.

მიკრობანკი იცავს თანაბარი ანაზღაურების პრინციპს თანაბარი შრომისთვის და გამორიცხავს ნებისმიერი სახის მიკერძოებას ან დისკრიმინაციას.

ანგარიშგების პერიოდში არ დაფიქსირებულა თანამშრომელი, რომლის ანაზღაურებამ ფინანსური წლის განმავლობაში გადააჭარბა 1 მილიონ ლარს.

### ანაზღაურების პოლიტიკის დამტკიცება

ანაზღაურების პოლიტიკა დამტკიცებულია მიკრობანკის **სამეთვალყურეო საბჭოს** მიერ. პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება განისაზღვრება **აქციონერთა საერთო კრების** გადაწყვეტილებით. აღნიშნული დამტკიცებულია აქციონერთა სერთო კრების მიერ 2025 წლის 29 ოქტომბერს. მიკრობანკის დირექტორთა საბჭოს წევრებთან დაკავშირებული ანაზღაურების საკითხები რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებითა და შიდა კორპორაციული დოკუმენტებით.

თანამშრომელთა ანაზღაურების განსაზღვრა და დაგეგმვა ხორციელდება მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის ფარგლებში.

ფრონტ ოფისის თანამშრომლებისთვის, შესაბამისი პოზიციების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრულია ფიქსირებული და ცვლადი ანაზღაურების სტრუქტურირებული სქემები. სხვა თანამშრომლებისთვის, მათ შორის, ბექ ოფისის თანამშრომლებისთვის, ანაზღაურების დაგეგმვა ხორციელდება ინდივიდუალური და სტრუქტურული საჭიროებების გათვალისწინებით. კერძოდ, წლის ბოლოს დირექტორები ამზადებენ მომავალი წლის სახელფასო ბიუჯეტს, სადაც ასახულია როგორც ვაკანტური პოზიციები, ასევე არსებული თანამშრომლებისთვის ანაზღაურების შესაძლო ზრდა, დაწინაურება ან პოზიციური ცვლილებები. აღნიშნული ინიციატივები ტალანტების განვითარებისა და მართვის დეპარტამენტთან ერთად განიხილება მათი მიზანშეწონილობისა და შიდა თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით. შესაბამისი რეკომენდაციების

გათვალისწინების შემთხვევაში, წინადადებები წარედგინება გენერალურ და ფინანსურ დირექტორებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ანაზღაურების პოლიტიკის გადახედვა ხორციელდება პერიოდულად, არანაკლებ 12 თვეში ერთხელ, მისი ბაზართან შესაბამისობის, თანამშრომელთა ინტერესების დაცვისა და მიკრობანკის გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

### **ფიქსირებული ანაზღაურება**

კრისტალში ანაზღაურების ძირითადი კომპონენტია ფიქსირებული ანაზღაურება - ხელფასი, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ან სასამსახურო ხელშეკრულებით.

ფიქსირებული ანაზღაურება განისაზღვრება თანამშრომლის პროფესიული გამოცდილების, კვალიფიკაციის, სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და პოზიციის ორგანიზაციული მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მიკრობანკის თანამშრომელთა ანაზღაურება, როგორც წესი, განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში. გამონაკლის შემთხვევებში, ხელშეკრულებით შესაძლებელია ანაზღაურების უცხოურ ვალუტაში დაფიქსირება, ხოლო ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

### **ცვლადი ანაზღაურება და საბონუსე სისტემა**

კრისტალში შესაძლებელია ცვლადი ანაზღაურების განსაზღვრა კონკრეტული თანამშრომლებისთვის, პოზიციებისთვის, სტრუქტურული ერთეულებისთვის ან მათი დანაყოფებისთვის. ცვლადი ანაზღაურება შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც ინდივიდუალურ, ისე ბიზნესერთეულის და მთლიანად მიკრობანკის საქმიანობის შედეგებს.

ცვლადი ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებულია მიკრობანკის საერთო შედეგები, თანამშრომლის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულება, KPI-ების (Key Performance Indicator) შესრულების ხარისხი, მიკრობანკის მომგებიანობა, აღებული რისკის წონა და სხვა შესაბამისი პარამეტრები.

ცვლადი ანაზღაურება დისკრეციული ხასიათისაა. შესაბამისად, მიუხედავად დადგენილი საბონუსე სქემებისა, მიკრობანკს უფლება აქვს შეცვალოს,

შეამციროს ან გააუქმოს ბონუსის ოდენობა, თუ მისი გადახდა უარყოფითად იმოქმედებს მიკრობანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, რისკის მოცულობაზე ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საზედამხედველო პარამეტრებზე.

მიკრობანკში მოქმედი ცვლადი ანაზღაურების სისტემა იყოფა ორ ძირითად კატეგორიად:

- **მატერიალური რისკის ამლები პირებისთვის** განსაზღვრული საბონუსე სისტემა;
- სხვა თანამშრომლებისთვის განსაზღვრული საბონუსე სისტემა.

ანგარიშგების პერიოდში გაცემული ანაზღაურება იყო მხოლოდ ფულადი ფორმით.

თანამშრომლებისთვის შესაძლებელია ყოველთვიური, კვარტალური ან წლიური ბონუსის განსაზღვრა. წლის დასაწყისში, შესაბამისი ბიზნესმიმართულებებისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, განისაზღვრება გეგმები და მიზნობრივი მაჩვენებლები, რომელთა შესრულების საფუძველზეც შესაძლებელია ბონუსის გაცემა.

კრიტაღში, განსაკუთრებით ფრონტ ოფისის პოზიციებისთვის, დანერგილია ფიქსირებული და ცვლადი ანაზღაურების სტრუქტურირებული სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგებზე ორიენტირებულობასა და შესაბამის მოტივაციურ გარემოს.

თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრული ანაზღაურების სქემები დამტკიცებულია შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, მიკრობანკის უფლებამოსილებების ავტორიზაციის მატრიცის შესაბამისად. ანაზღაურების სქემები არის წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე და თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს ანაზღაურების პროგნოზირებადობასა და შესრულებაზე დაფუძნებულ მიდგომას.

ფრონტ ოფისის თანამშრომლების ცვლადი ანაზღაურება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრული ინდივიდუალური და/ან სტრუქტურული ერთეულის მიზნების შესრულებას და მოიცავს შესაბამის ბიზნეს მაჩვენებლებს, მათ შორის, გაყიდვების მოცულობას, პორტფელის ხარისხს, მომსახურების ეფექტურობასა და სხვა საქმიანობის შედეგებზე ორიენტირებულ ინდიკატორებს.

ანაზღაურების სქემების გადახედვა ხორციელდება პერიოდულად, მიკრობანკის შიდა პროცედურების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა თანამშრომელთა მოტივაციასთან, შრომის ბაზარზე

არსებულ კონკურენტულ გარემოსა და მიკრობანკის სტრატეგიულ მიზნებთან.

### **რისკებთან შესაბამისობა და ცვლადი ანაზღაურების კორექტირება**

კრისტალის ანაზღაურების პოლიტიკა ითვალისწინებს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას და მიზნად ისახავს, რომ ანაზღაურების სისტემა არ ახალისებდეს გადაჭარბებული ან გაუმართლებელი რისკის აღებას.

მიკრობანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ცვლადი ანაზღაურების გადახდაზე ან განახორციელოს მისი შემცირება, გაუქმება ან დაბრუნების მოთხოვნა, თუ გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რომლებიც უარყოფითად აისახება მიკრობანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, რისკის პროფილზე, კაპიტალის მოთხოვნებზე ან საზედამხედველო შესაბამისობაზე.

ცვლადი ანაზღაურების კორექტირება შესაძლებელია, მათ შორის, შემდეგ შემთხვევებში:

- ანაზღაურების მიმღებმა პირმა ჩაიდინა ქმედება, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მიკრობანკს;
- პირმა აღარ დააკმაყოფილა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმები;
- დაფიქსირდა არამართლობიერი ქცევა ან ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსის /შიდა წესების მატერიალური დარღვევა;
- გაუარესდა ფინანსური მაჩვენებლები შესაბამისი პირის მონაწილეობით;
- გამოვლინდა რისკების მართვასთან დაკავშირებული არსებითი პრობლემები;
- გაიზარდა კაპიტალის მოთხოვნები შესაბამისი პირის მოქმედების შედეგად;
- პირის ქმედებამ გამოიწვია საზედამხედველო სანქციის დაწესება.

### **მატერიალური რისკის ამღებ პირთა ანაზღაურება**

კრისტალში მატერიალური რისკის ამღები პირები განისაზღვრებიან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ შესაბამისად.

მატერიალური რისკის ამლები პირებისთვის წლიური ინდივიდუალური ბონუსის გაცემა შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მატერიალური რისკის ამლები პირებად მიიჩნევიან სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრები, ასევე სხვა მატერიალური რისკის ამლები პირები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აღწერილია #3.3 თავში, ხოლო დირექტორთა საბჭოს წევრი მატერიალური რისკის ამლები პირების პოზიციები მოცემულია #3.4 თავში. სხვა მატერიალური რისკის ამლებთა პოზიციებია: ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსი ოფიცერი, IT განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

### **თანამშრომელთა სარგებელი და დამატებითი ბენეფიტები**

ფიქსირებული და ცვლადი ანაზღაურების გარდა, კრისტალში მოქმედებს თანამშრომელთა სარგებლისა და დამატებითი ბენეფიტების სისტემა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ჯანმრთელობის დაზღვევას, დანამატებს, დეკრეტული შვებულების ფინანსურ ანაზღაურებას და სხვა ბენეფიტებს.

ბენეფიტების განსაზღვრა ხორციელდება მიკრობანკის შიდა წესების, ბიუჯეტის, ფინანსური მდგომარეობისა და შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების საფუძველზე.

მოცემული ცხრილი აჯამებს ყველა მატერიალური რისკის ამღებ პირზე წლის განმავლობაში გაცემულ ანაზღაურებას.

ფინანსური წლის განმავლობაში მინიჭებული ანაზღაურება		დირექტორატი	სამეთვალყურეო საბჭო	სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები
ფიქსირებული ანაზღაურება	<b>თანამშრომელთა რაოდენობა</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>2</b>
	მთლიანი ფიქსირებული ანაზღაურება	1,463,721	560,378	465,000
	მათ შორის: ფულადი ფორმის	1,463,721	560,378	465,000
	მათ შორის: გადავადებული			
	მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
	მათ შორის: გადავადებული			
	მათ შორის: სხვა ფორმის			
	მათ შორის: გადავადებული			
ცვალებადი ანაზღაურება	<b>თანამშრომელთა რაოდენობა</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>2</b>
	მთლიანი ცვალებადი ანაზღაურება	117,719		34,782
	მათ შორის: ფულადი ფორმის	4,687		31,250
	მათ შორის: გადავადებული	0		
	მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
	მათ შორის: გადავადებული			
	მათ შორის: სხვა ფორმის	113,032		3,532
	მათ შორის: გადავადებული			
<b>სულ ანაზღაურება</b>		<b>1,581,441</b>	<b>560,378</b>	<b>499,782</b>

## 12. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები

კრისტალისთვის მიიჩნევა, რომ მდგრადობის საკითხების ანგარიშგება და გამჟღავნება წარმოადგენს მდგრადი ფინანსური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას და ზრდის დაინტერესებული მხარეებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმა (ხელმისაწვდომი მიკრობანკის ვებ-გვერდზე) მიზნად ისახავს უზრუნველყოს ESG-სთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადოდ წარდგენა, თანმიმდევრული და შესაღარიფი ფორმით სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფორმა ასახავს მიკრობანკის ხედვას, რომლის მიხედვითაც ESG-სთან დაკავშირებულმა რისკებმა და შესაძლებლობებმა შესაძლოა კრისტალზე გავლენა იქონიოს როგორც საკუთარი ოპერაციების ფარგლებში, ასევე ფინანსური შუამავლის როლის შესრულებისას მსესხებლებთან, მომხმარებლებთან და სხვადასხვა კონტრაგენტებთან. ESG საკითხების გამჟღავნება მოიცავს არამხოლოდ მიკრობანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს, არამედ იმ რისკებსა და გავლენებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას გარემოსა და საქართველოს ფართო საზოგადოების მიმართ, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ან უკავშირდებოდეს ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას. კრისტალის მიდგომა ორიენტირებულია მდგრადობისა და სტაბილურობის გაძლიერებაზე, ფინანსური ჩართულობისა და კეთილდღეობის მხარდაჭერაზე, ასევე ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების არასასურველი შედეგების თავიდან აცილებასა და მითიგაციაზე.

ფორმა აჯამებს მმართველობით პროცესებსა და პროცედურებთან დაკავშირებულ ხარისხობრივ ინფორმაციას, ESG და მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებს, რომლებიც ინტეგრირებულია ბიზნეს მოდელსა და ფინანსური დაგეგმარებაში, რისკების მართვის ჩარჩოსა და რაოდენობრივ ინფორმაციას KPI-ებზე.

### 13. სხვა საკითხები

ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი	საანგარიშგებო პერიოდი		
	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ
<b>მიკრობანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით მიღებული გარანტიები</b>	1,073,381,008	7,165,006	<b>1,080,546,013</b>
თავდებობა, სოლიდარული პასუხისმგებლობა	1,073,381,008	7,165,006	<b>1,080,546,013</b>
გარანტია	-	-	-
<b>გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები:</b>	879,792,090	54,866,715	<b>934,658,805</b>
ძვირფასი ლითონები და ქვები	22,551,851	80,998	<b>22,632,848</b>
უძრავი ქონება:	697,421,278	54,058,360	<b>751,479,639</b>
<i>საცხოვრებელი</i>	697,421,278	54,058,360	<b>751,479,639</b>
მოდრავი ქონება	159,371,902	727,357	<b>160,099,259</b>
სხვა	447,059	-	<b>447,059</b>
<b>სესხის გაცემის ვალდებულებები</b>	2,392,893	42,591	<b>2,435,484</b>
<b>წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები</b>	(304,541,152)	283,816,624	<b>(20,724,528)</b>
სავალუტო კურსთან დაკავშირებული კონტრაქტების (გარდა ოფციონებისა) ფარგლებში მისაღები თანხები	1,068,172	286,730,916	<b>287,799,087</b>
სავალუტო კურსთან დაკავშირებული კონტრაქტების (გარდა ოფციონებისა) ფარგლებში გასაცემი თანხები	(305,609,324)	(2,914,292)	<b>(308,523,616)</b>
<b>ზარალში ჩამოწერილი ვალები</b>	13,341,145	-	<b>13,341,145</b>
ბოლო 3 თვის განმავლობაში ბალანსიდან ჩამოწერილი საკრედიტო მოთხოვნების ძირი თანხა	2,669,658	-	<b>2,669,658</b>
ბოლო 3 თვის განმავლობაში ბალანსზე აუღიარებელი და ბალანსიდან ჩამოწერილი მისაღები პროცენტები და ჯარიმები	1,033,671	-	<b>1,033,671</b>
ბოლო 5 წლის განმავლობაში (ბოლო 3 თვის ჩათვლით) ბალანსიდან ჩამოწერილი საკრედიტო მოთხოვნების ძირი თანხა	9,733,401	-	<b>9,733,401</b>
ბოლო 5 წლის განმავლობაში (ბოლო 3 თვის ჩათვლით) ბალანსიდან ჩამოწერილი და ბალანსზე აუღიარებელი მისაღები პროცენტები და ჯარიმები	3,607,744	-	<b>3,607,744</b>

კილარ 3-ის წლიური ანგარიშგება 2025

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი	შეუწონავი მონაცემები (დღიური საშუალო)			სებ-ის მეთოდოლოგიით შეწონილი მონაცემები (დღიური საშუალო)			ბაზელის მეთოდოლოგიით შეწონილი მონაცემები (დღიური საშუალო)		
	ლარი	უცხ. ვალუტა	სულ	ლარი	უცხ. ვალუტა	სულ	ლარი	უცხ. ვალუტა	სულ
<b>მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები</b>									
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები				27,588,081	19,620,988	<b>47,209,069</b>	25,707,234	11,658,654	<b>37,365,888</b>
<b>გადინება</b>									
ფიზიკური პირების დეპოზიტები	36,780,878	24,942,126	<b>61,723,003</b>	4,996,931	3,504,764	<b>8,501,695</b>	993,068	593,729	<b>1,586,796</b>
არაუზრუნველყოფილი საბითუმო დაფინანსება	188,463,002	263,796,019	<b>452,259,021</b>	5,755,863	4,510,314	<b>10,266,177</b>	5,725,587	4,510,312	<b>10,235,899</b>
უზრუნველყოფილი დაფინანსება	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსგარეშე გალდებულებები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა მოკლე პოზიცია	22,865,132	53,303	<b>22,918,435</b>	1,069,788	12,288	<b>1,082,076</b>	715,814	5,870	<b>721,684</b>
სხვა საკონტრაქტო გადინება	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა გადინება	992,075	571	<b>992,646</b>	206,201	-	<b>206,201</b>	206,201	-	<b>206,201</b>
<b>ფულის მთლიანი გადინება</b>	<b>249,101,087</b>	<b>288,792,019</b>	<b>537,893,106</b>	<b>12,028,783</b>	<b>8,027,366</b>	<b>20,056,149</b>	<b>7,640,669</b>	<b>5,109,911</b>	<b>12,750,580</b>
<b>შემოდინება</b>									
უკურეპო ოპერაციები და ფასიანი ქაღალდების სესხება	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა შემოდინება კონტრაგენტებიდან	533,031,610	856,351	<b>533,887,961</b>	23,708,158	6,006	<b>23,714,164</b>	25,589,005	7,968,340	33,557,345
ფულის სხვა შემოდინება	1,442,830	27,241	<b>1,470,071</b>	53,083	-	<b>53,083</b>	53,083	-	53,083
<b>ფულის მთლიანი შემოდინება</b>	<b>534,474,439</b>	<b>883,592</b>	<b>535,358,031</b>	<b>23,761,241</b>	<b>6,006</b>	<b>23,767,247</b>	<b>25,642,088</b>	<b>7,968,340</b>	<b>33,610,428</b>
				მთლიანი თანხა სებ-ის მეთოდოლოგიით (ლიმიტების გათვალისწინებით)			მთლიანი თანხა ბაზელის მეთოდოლოგიით (ლიმიტების გათვალისწინებით)		
<b>მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები</b>				<b>27,588,081</b>	<b>19,620,988</b>	<b>47,209,069</b>	<b>25,707,234</b>	<b>11,658,654</b>	<b>37,365,888</b>
<b>ფულის წმინდა გადინება</b>				<b>3,007,196</b>	<b>8,021,360</b>	<b>5,014,037</b>	<b>1,910,167</b>	<b>1,277,478</b>	<b>3,187,645</b>
<b>ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)</b>				<b>917.40%</b>	<b>244.61%</b>	<b>941.54%</b>	<b>1345.81%</b>	<b>912.63%</b>	<b>1172.21%</b>

კილარ 3-ის წლიური ანგარიშგება 2025

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი	შეწონავი ღირებულება ნარჩენი ვადიანობის მიხედვით				შეწონილი ღირებულება
	უვალო*	< 6 თვე	6 თვიდან 1 წლამდე	>= 1 წელი	
<b>ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება</b>					
კაპიტალი:	98,738,857	-	-	266,704,364	365,443,221
საზედამხედველო კაპიტალი	98,738,857	-	-	27,051,876	125,790,733
1 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის გამოუთხოვადი ვალდებულებები				239,652,488	239,652,488
ფიზიკური პირების გამოთხოვადი ან 1 წელზე ნაკლები ნარჩენი ვადიანობის გამოუთხოვადი დეპოზიტები	11,354,222	24,569,099	25,767,101	3,173,433	61,397,148
რეზიდენტი	11,354,222	24,488,548	25,350,953	3,173,433	61,148,798
არარეზიდენტი	-	80,551	416,148	-	248,350
საბითუმო დაფინანსება	156,399	116,144,830	84,630,470	-	44,287,139
გამოთხოვადი ან 1 წელზე ნაკლები ნარჩენი ვადიანობის გამოუთხოვადი დაფინანსება, რომელიც მიღებულია სახელმწიფო ან მის კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებიდან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და იურიდიული პირების მხრიდან, ვარდა საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისა	-	3,943,808	4,279,278	-	4,111,543
გამოთხოვადი ან 1 წელზე ნაკლები ნარჩენი ვადიანობის გამოუთხოვადი დაფინანსება, რომელიც მიღებულია ცენტრალური ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან	156,399	112,201,022	80,351,193	-	40,175,596
ურთიერთდაკავშირებული ვალდებულებები	-	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	26,729,677	5,595,501	522,127	-
დერივატივებთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	9,012,060	3,267,978	522,127	-
ყველა სხვა ვალდებულებები და კაპიტალის ინსტრუმენტები, რომლებიც არ შედის ზემოთ აღნიშნულ კატეგორიებში	-	17,717,617	2,327,524	-	-
<b>სულ ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება</b>					<b>471,127,509</b>
<b>სტაბილური დაფინანსების საჭიროება</b>					
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები	31,200,503	25,924,290	-	-	561,666
სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხები და ფასიანი ქაღალდები:	-	160,208,654	120,580,146	250,696,552	353,514,727
ფინანსურ ინსტიტუტებზე გაცემული სესხები და დეპოზიტები, რომლებიც უზრუნველყოფილია პირველი დონის ლიკვიდური აქტივებით	-	-	-	-	-
ფინანსურ ინსტიტუტებზე გაცემული სესხები და დეპოზიტები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი ან უზრუნველყოფილია არა პირველი დონის ლიკვიდური აქტივებით	-	-	188,384	188,384	282,576
არაფინანსურ ინსტიტუტებსა და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, მათ შორის:	-	160,208,654	120,391,762	250,508,168	353,232,151
რომლებსაც 35% ან ნაკლები წონა ენიჭება	-	-	-	-	-
საცხოვრებელი ქონებით უზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის:	-	-	-	-	-
რომლებსაც 35% ან ნაკლები წონა ენიჭება	-	-	-	-	-
ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ კლასიფიცირდება მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებად	-	-	-	-	-
ურთიერთდაკავშირებული აქტივები	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	28,263,951	22,696,021	8,382,818	16,133,146	64,581,377
დერივატივებთან დაკავშირებული აქტივები	-	-	-	-	-
ყველა სხვა აქტივი, რომელიც არ შედის ზემოაღნიშნულ სდს კატეგორიებში	28,263,951	22,696,021	8,382,818	16,133,146	64,581,377
გარეგადასურს მუხლები	-	1,952,038	126,189	357,257	121,774
<b>სულ სტაბილური დაფინანსების საჭიროება</b>					<b>418,779,543</b>
<b>წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი</b>					<b>112.50%</b>

აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ საბალანსო ელემენტებს შორის კავშირები	საბალანსო ღირებულებები ფასს სტანდარტების აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებები	
		ელემენტი, რომელზეც არ ვრცელდება კაპიტალის მოთხოვნა ან ექვემდებარება კაპიტალიდან დაქვითვას	საკრედიტო რისკით შეწონვას დაქვემდებარებული საბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება
<b>სტანდარტიზებული საზედამხებელო ანგარიშგების საბალანსო ელემენტები</b>			
<b>ნაღდი ფული, ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნული ბანკში და სხვა ბანკებში</b>	57,501,561	-	57,501,561
ნაღდი ფული	29,517,349		29,517,349
ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	16,374,130		16,374,130
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	11,610,082		11,610,082
<b>ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები</b>	568,057,792	-	568,057,792
სავალო ფასიანი ქაღალდები	-		-
გაცემული სესხები და მოთხოვნები	568,057,792		568,057,792
<b>ინვესტიციები შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში</b>	609,791	609,791	-
<b>მატერიალური აქტივები</b>	22,672,753	-	22,672,753
ძირითადი საშუალებები	22,672,753		22,672,753
საინვესტიციო ქონება	-		-
<b>არამატერიალური აქტივები</b>	7,511,206	7,511,206	-
გუდვილი	-		-
სხვა არამატერიალური აქტივები	7,511,206	7,511,206	-
<b>საგადასახადო აქტივები</b>	4,221,870	-	4,221,870
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	3,827,004		3,827,004
გადავადებული საგადასახადო აქტივები	394,866		394,866
<b>სხვა აქტივები</b>	9,914,888		9,914,888
მათ შორის: დასაკუთრებული ქონება	3,206,755		3,206,755
მათ შორის: მისაღები დივიდენდები	-		-
<b>საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული საბალანსო ელემენტების ჯამური ღირებულება კორექტირებებამდე</b>	<b>670,489,861</b>	<b>8,120,997</b>	<b>662,368,864</b>

საბალანსო ელემენტების ღირებულებასა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ რისკის პოზიციებს შორის განსხვავებები	თანხა
<b>საბალანსო ელემენტების ჯამური ღირებულება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნებისთვის კორექტირებამდე</b>	662,368,864
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება	2,435,484
კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება	286,186,624
<b>საბალანსო და არასაბალანსო ელემენტების ჯამური ღირებულება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნებისთვის კორექტირებამდე</b>	950,990,971
კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის გაუფასურებასთან დაკავშირებული საზედამხებელო კორექტირებების ეფექტი	-
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვასთან დაკავშირებული გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი	(1,825,414)
კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვასთან დაკავშირებული გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი (ცხრილი CCR)	(281,980,537)
სხვა კორექტირებების ეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	-
<b>სულ საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიციები</b>	<b>667,185,021</b>

კილარ 3-ის წლიური ანგარიშგება 2025

ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და საზედამხებველო მიზნებისთვის მომზადებულ ანგარიშგებას შორის კავშირი			
აქტივები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინ. ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ფინ. ანგ-ში მოცემული საბალანსო ღირებულებები	საბალანსო ღირებ-ები ფასს-ის მიხედვით საზ. მიზნებისთვის გამოყენებული კონსოლიდაციის დონეზე (ინდ ფინ ანგარიშგება)	შენიშვნები
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	57,132,959	29,517,349	ფასს-ის მიხედვით გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ეს მუხლი ნაღდ ფულთან ერთად მოიცავს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებში განთავსებულ წმინდა თანხებს. ხოლო საზედამხებველო ანგარიშგებაში, ამ მუხლში შესულია მხოლოდ ნაღდი ფული სალაროში და ბანკომატებში
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	385,105	27,984,212	ფასს-ის მიხედვით გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ეს მუხლი ნაღდ ფულთან ერთად მოიცავს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებში განთავსებულ წმინდა თანხებს. ხოლო საზედამხებველო ანგარიშგებაში, ამ მუხლში შესულია მხოლოდ ნაღდი ფული სალაროში და ბანკომატებში
გასაყიდად გამიზნული აქტივები	304,257	-	საზედამხებველო ანგარიშგებაში გასაყიდად გამიზნული აქტივები არ არის ცალკე გამოყოფილი და წარდგენილია სხვა აქტივებში
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	549,711,056	568,057,792	საზედამხებველო ანგარიშგებაში მომხმარებლებზე გაცემული სესხები წარდგენილია გაცემული სესხები და მოთხოვნების მუხლში, სადაც ასევე შედის წმინდა ინვესტიცია იჯარებში, დღგ-ს ჩათვლით, რაც ფასს-ის მიხედვით გამოქვეყნებულ ანგარიშგებაში შედის სხვა აქტივებში
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	16,188,511	-	საზედამხებველო ანგარიშგებაში მომხმარებლებზე გაცემული სესხები წარდგენილია გაცემული სესხები და მოთხოვნების მუხლში, სადაც ასევე შედის წმინდა ინვესტიცია იჯარებში, დღგ-ს ჩათვლით, რაც ფასს-ის მიხედვით გამოქვეყნებულ ანგარიშგებაში შედის სხვა აქტივებში
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	3,827,004	3,827,004	-
აქტივების გამოყენების უფლება	15,533,528	-	საზედამხებველო ანგარიშგებაში Right-of-use asset არ არის გამოყოფილი და წარდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად
ძირითადი საშუალებები	7,144,111	22,672,753	საზედამხებველო ანგარიშგებაში Right-of-use asset არ არის გამოყოფილი და წარდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად
არამატერიალური აქტივები	7,511,216	7,511,206	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	394,866	394,866	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	609,791	-
სხვა აქტივები	11,768,934	9,914,888	საზედამხებველო ანგარიშგებაში მომხმარებლებზე გაცემული სესხები წარდგენილია გაცემული სესხები და მოთხოვნების მუხლში, სადაც ასევე შედის წმინდა ინვესტიცია იჯარებში, დღგ-ს ჩათვლით, რაც ფასს-ის მიხედვით გამოქვეყნებულ ანგარიშგებაში შედის სხვა აქტივებში
მთლიანი აქტივები	669,901,547	670,489,861	

ვალდებულებები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ფინ. ანგ-ში მოცემული საბალანსო ღირებულებები	საბალანსო ღირებ-ები ფასს-ის მიხედვით საზ. მიზნებისთვის გამოყენებული კონსოლიდაციის დონეზე (ინდ ფინ ანგარიშგება)	შენიშვნები
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	12,802,165	12,802,165	-
კლიენტთა ანგარიშები	33,096,932	33,096,932	-
გადასახდელი დივიდენდები	64,450	64,450	-
საიჯარო ვალდებულება	15,760,877	15,760,877	-
გამოშვებული თამასუქები	59,703,058	59,703,058	-
ნასესხები სახსრები	394,779,103	394,779,103	-
სუბორდინირებული ვალი	40,802,676	40,802,676	-
სხვა ვალდებულებები მთლიანი ვალდებულებები	6,808,204	6,808,204	-
563,817,466	563,817,466		
კაპიტალი (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ფინ. ანგ-ში მოცემული საბალანსო ღირებულებები	საბალანსო ღირებ-ები ფასს-ის მიხედვით საზ. მიზნებისთვის გამოყენებული კონსოლიდაციის დონეზე (ინდ ფინ ანგარიშგება)	შენიშვნები
სააქციო კაპიტალი	3,634,576	3,634,576	-
საემისიო კაპიტალი	22,109,970	22,109,970	-
გაუნაწილებელი მოგება	80,339,534	80,927,848	-
მთლიანი კაპიტალი	106,084,081	106,672,394	

უმაღლესი მენეჯმენტის მფლობელობაში არსებული აქციები (რაოდენობა)

		აქციების ფლობა პერიოდის დასაწყისში						
		გადავადებული	განადღებული	სულ				
უმაღლესი მენეჯმენტის მფლობელობაში არსებული აქციები (რაოდენობა)								
	სულ:	0	661,698	661,698				
დავით ბენდელიანი			208,195	208,195				
კახა გაბესკირია			16,665	16,665				
არჩილ ბაკურაძე			436,838	436,838				
სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები								
	სულ:							
		ცვლილება პერიოდის განმავლობაში						
		გაცემა		განადღება	ჩამორთმევა		სხვა ცვლილებები	
		მათ შორის: გადავადებული	მათ შორის: განადღებული		მათ შორის გადავადებულის	მათ შორის: განადღებულის	ყიდვა	გაყიდვა
უმაღლესი მენეჯმენტის მფლობელობაში არსებული აქციები (რაოდენობა)								
	სულ:	0	0	0	0	0	0	0
დავით ბენდელიანი								
კახა გაბესკირია								
არჩილ ბაკურაძე								
სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები								
	სულ:							
		აქციების ფლობა პერიოდის ბოლოს						
		გადავადებული	განადღებული	სულ				
უმაღლესი მენეჯმენტის მფლობელობაში არსებული აქციები (რაოდენობა)								
	სულ:	208,195	661,698	869,893				
დავით ბენდელიანი		208,195	208,195	416,390				
კახა გაბესკირია		0	16,665	16,665				
არჩილ ბაკურაძე		0	436,838	436,838				
სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები								
	სულ:	0	0	0				

**მადლობა**